ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 30 აპრილი 1999 №78 (851) — ფასი 1 ლარი



5 მიმსახურეთ, ბატონო! ამბობს ლატვიის ნაკრების ქართველი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი

8 საიდუმლო სერობა კამპ ნოუზე მიამიტ ცბიერთა დამაბნეველი ვაჭრობა

11 აიაქსის დაბრუნება





## ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს

# მაგიურ 8000 მეტრზე

გუშინ ჯომოლუნგმაზე მოიერიშე ექსპედიცია „მშვიდობიანი კავკასია 99"-ის წევრმა ბიძინა გუჯაბიძემ გვაცნობა, რომ ის და მისი თანაგუნდელები დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე 8000 მეტრამდე ასულან, მარშრუტი დაუმუშავებიათ, იქ მეოთხე ბანაკი დაუდგამთ და კვლავ საბაზოში დაბრუნებულან. აქ ისინი ხუთიოდე დღით აპირებენ დასვენებას, სულის მოთქმას და კვლავ ზემოთ გაუდგებიან გზას, რათა იქ, დაახლოებით 8300-8400 მეტრის სიმაღლეზე დადგან ბოლო საიერიშო ბანაკი, საიდანაც „დედამიწის სახურავზე" გადამწყვეტ იერიშზე გადავლენ.

ამ ექსპედიციის გარდა ჯომოლუნგმაზე სამხრეთიდან ასვლას კიდევ თოთხმეტი გუნდი ცდილობს. ჯერჯერობით ყველანი ჩვენი მთამსვლელებივით ამუშავებენ მარშრუტებს და საშუალედო ბანაკებს აწყობენ.

როგორც ვიუწყებოდით, „კავკასია 99" შემადგენლობაში ჩვენს მთამსვლელებთან: ბენო ქაშაკაშვილთან (ხელმძღვანელი), ბიძინა გუჯაბიძესთან, აფი გიგანთან, ლევონ სარქისოვთან და ბაქოელ სარიდან მურსაკალოვთან ერთად გაერთიანდნენ იაპონელი კენ ჰოგუჩი და მექსიკელი ელზა კარსოლიო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ ეს დასჭირვებიათ პერმიტის მისაღებად, რაც მწვერვალზე ასვლის ნებართვას ნიშნავს. იაპონელიცა და მექსიკელიც ჯომოლუნგმას ფერდობზე თავთავიანთი გზით დადიან, ჩვენი მთამსვლელები კი, როგორც ჩაფიქრებული იყო, დამოუკიდებლად მოქმედებენ.

სამწუხაროდ, ახლა ჯომოლუნგმას რაიონში ამინდი გაფუჭებულა, მაგრამ ჩვენი მთამსვლელები ვარაუდობენ, რომ მანამ ისინი ხუთი დღით ისვენებენ, მწვერვალი ღრუბლებს გადაიყრის და დაშოშმინდება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# 1:7?!

# ქართული ფეხბურთის პოლარული ღამე

წავაგებთ და ვიტყვით, ქართულ ფეხბურთს შავი დღე გაუთენდაო. შავი დღე ვის არ დასდგომია, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით გადაუტანია. ჩვენ კი ჩამოგვიღამდა, კარგა ხანია, ბნელა და ამ წკვარამის გამტეხველი ცეცხლიც გაგვიქრა. ბნელა და არც ვინმეა, კვესს აბედი გაჰკრას, ნაპერკწალი გაგვიჩინოს და წყვდიადის მძლეველი სინათლე გვაჩუქოს. ასეთ საჩუქარს, ეტყობა, არ ვიმსახურებთ. რისი ღირსნიც ვართ, განგება იმასვე მოგვაგებს. ამასაც მოვესწარით, ქართული ფეხბურთი „მოთხილამურეთა" ფეხქვეშ ითელება საქართველოს ეროვნული ნაკრები ნორვეგიასთან 1:4 აგებს, ახალგაზრდული კი ჩრდილოელ თანატოლებთან 0:3. გნებავთ, ცალკე და, გნებავთ, ერთად აღებული, სამარცხვინოდ წაგებულნი ვართ. ქართველები ერთ გოლს დავჯერდით, ნორვეგიელებმა შვიდი გაგვიტანეს!..

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები



ქართველ ბავშვებს შინაური კერპები შემოაკლდათ და ავტოგრაფს ჩვენებურთა შემარცხვენელ ტორე ანდრე ფლოს სთხოვენ

# არც პირველი და არც უკანასკნელი

ზოგჯერ რა ადვილად გამოდის ყველაფერი. აი, ჩამოვიდა ნორვეგიის ეროვნული გუნდი, ირგვლივ კეთილგანწყობა და ღიმილი აფრქვია. არც ერთ მათგანს არ უგრძნობინებია, წყალწაღებულები და საცოდავები ხართო. პირიქით, კომპლიმენტები არ დაუშურებიათ ჩვენი ფეხბურთისა და ფეხბურთელების მისამართით, მაგრამ...

სამაგიეროდ, გუშინწინ, საღამოს ეროვნულის გაზონზე მობურთალი ვიკინგები მთელი თამაშის მანძილზე ოთხჯერ გაიქცნენ, 20 წუთში ოთხი გოლი გაგვიტანეს და დადგნენ.

მწარედ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ნორვეგიამ დაამარცხა. თამაში ჩვენებმა წააგეს. ტოგონიძის კარში გატანილი ოთხივე გოლი ქართველების ფანტაზიის ნაყოფი იყო.

მოსაწყენი და დამღლელია მორიგი წაგებისა და განადგურების ყურება. მუდმივად ცუდის დანახვაც ძნელი ასატანია ჟურნალისტისთვის. ვცდილობ, გონებას მაქსიმალურად ვბაძავ, რაიმე კარგი შევამჩნიო, მაგრამ რომ ვერაფერს ვხედავ, სწორედ ეს არის, ალბათ, უბედურება.

უბედურია დღეს ქართული ფეხბურთი, ერთ დროს სათაყვანებელი სპორტის სახეობა საქართველოში. ცუდს, სასოწარკვეთას და უღონობას რომ ხედავ, სანამ დროა, განგაში უნდა ატეხო, ადრესატს სათქმელი პირში მიახალო, მაგრამ გახსენდება, რომ წაქცეულს არ ურტყამენ და...

მიუხედავად ამისა, გაჩერება არ შეიძლება. ახლა გაჩუმება ფეხბურთის არქონის ტოლფასია, თუმცა თქმითაც არაფერი მოემატება სულის მღაფავ ქართულ ფეხბურთს. ვერავინ დათვლის, რამდენჯერ თქმულა, ორმაგი დოზით დაწერილა და გაშუქებულა, მაგრამ ყურიც არავის შეუბერტყავს. საქმის თავის ნებაზე მიშვებამ, ყველაფრის სტიქიურად წარმართვამ კი სავალალო შედეგი გამოიღო.

დღეს საცოდავ ქართულ ფეხბურთს ერთი დანჯღრეული ურემიც არ გააჩნია. რომ ჰქონდეს, სადღაც გადაბრუნდებოდა ის ოხერი. ურმის ამოყირავებას კი გზის გამოჩენა მოჰყვება, რომელიც თავის მხრივ იმ სავალს გაპოვნინებს, რომელიც საბოლოოდ ტაძრამდე მიიყვანდა ქართულ ფეხბურთს.

რატომ გათახსირდა ასე ქართული ფეხბურთი? იმიტომ რომ ფეხბურთი არ არის მარტო 22 მოთამაშის ალმაცერმა სირბილი. ფეხბურთი მოედნის გარეთ, ათასგვარი წვრილმანი თუ მსხვილმანი, ორგანიზაციული და სხვა საკითხების სწორად წარმართვით იწყება. მინდორზე ბურთაობა კი ბოლო რგოლია საკმაოდ გრძელი ჯაჭვისა, რომელიც ჩვენში გაწყვეტილი კი არა, დაფლეთილია.

რა ხანია ტირიან. წუწუნებს ყველა, ვისაც არ ეზარება, თუმცა არიან გამონაკლისებიც. ისინი საერთოდ არაფერს ამბობენ. უსახსრობაზე და უღონობაზე ჩივილმა კი დაგვაქცია.

დღევანდელ მსოფლიო ფეხბურთში წარმოუდგენლად დიდი ფულია ჩადებული. მას შეუძლია ყველაფერი თავდაყირა დააყენოს, მაგრამ რას მოაქვს ფული? რას და სალ აზრს და მუხლჩაუხრელ შრომას. საქართველოში ცოტა ფიქრობს, უფრო ნაკლები შრომობს და ბევრი ჭამს. ამიტომაც გვაქვს საქმეები „აწყობილად".

ყველაზე ცუდიც ის არის, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელს ფიქრი დაავიწყდა. თავისი არსებობის მანძილზე ეროვნულ ნაკრებს ახალი არაფერი უჩვენებია, არაფერი გამოუგონია. უკუსვლის მიზეზი არასწორად აზროვნებაშიც უნდა ვეძიოთ. წამით ჩავფიქრდეთ და გავიხსენოთ, რომელი გუნდის მწვრთნელს ან ფეხბურთელს გაუცია შეკითხვისთვის ორჭოფული პასუხი. გვესტუმრა კატანეცი და პირდაპირ, მოურიდებლად თქვა, თბილისიდან ქულის წასაღებად ჩამოვედიო. მოვიდა სემბი და მთლად გულები დაგვიხეთქა, არ გეწყინოთ, მაგრამ უეჭველად მოვიგებთო. შესაბამისად იწინასწარმეტყველეს თამაშის შედეგი ჯერ სლოვენიელმა ზაჰოვიჩმა, მერე კი ნორვეგიელმა სოლსკიაერმა.

ამის შემდეგ ქართველი სპეციალისტების წინასამატჩო „ნაზრევი" გავიხსენოთ, უკეთესი და იმედისმომცემი არც მათი დამოძღვრილებისგან მოგვისმენია. ქართველებს გამარჯვებისთვის სამი უსაფუძვლო მოტივაცია გამოუგონიათ. პირველი აუცილებლად ღვთის წყალობაა. რატომღაც ჰგონიათ, რომ ღმერთმა მაინცდამაინც ქართველებს უნდა დააფრქვიოს ამქვეყნად ყველანაირი სიკეთე. მეორე, ვლადიმერ გუცაევი ყისმათა და იღბლიანი კაცია. ამ თეორიის სიყალბე ჯერ კიდევ ლატვიურ-ბერძნული სამარცხვინო ვოიაჟისას დამტკიცდა.

მესამე, ვეცდებით გავიმარჯვოთ და ამისათვის თავს დავდებთო. ფეხბურთელებში არავინაა ისეთი, რომელიც ლოგიკურად დაასაბუთებდა, რატომ უნდა მოიგონ. ანაც პირიქით, რატომ უნდა წააგონ. რაც შეეხება თავის დადებას, ფეხბურთელმა, რომელმაც ელემენტარული სიტყვების მნიშვნელობა არ იცის და უბრალოდ შეკითხვის შემდეგ პირდაღებული, დაბნეული თვალებით შემოგცქერის, არ შეიძლება, იცოდეს, რას ნიშნავს თავის დადება, თავგანწირვა და ბრძოლა. ვისაც ჰგონია, რომ გუშინწინ ეროვნული ნაკრები ნორვეგიას ებრძოდა, ცდება. ის იყო განწირულების ბოლო გაფართხალება, რომელიც 17 წუთში დასრულდა.

პრესკონფერენციაზე ნორვეგიელმა მწვრთნელმა ასეთი რამ თქვა, მართალია, ვიგებდით, მაგრამ არ მსურდა მეორე ტაიმის წაგება, მინდოდა, ჩემს ფეხბურთელებს ისევ პრესინგი ეთამაშათ, ამის გაკეთებისკენ მოვუწოდებდი, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პირველ ნახევარში ბრწყინვალედ თამაშმა ისინი მოადუნა და ველარ მოახერხეს უპირატესობის შენარჩუნება. სწორედ ამიტომ ვღელავდიო.

სემბი პროფესიონალია, თანაც თავმოყვარე და ისეთმა უსუსტესმა გუნდმა, როგორიც საქართველოს ნაკრებია, მის გაწვრთნილებს რომ გოლი გაუტანა, ძალიან ეწყინა. ამის შემდეგ ნებისმიერი ქართველი მწვრთნელი ავილოთ. დიდი ანგარიშით მოგების შემთხვევაში არც ერთი მათგანი არ შეაწუხებდა თავს და ფეხბურთელებს ზედმეტ დარიგებებს არ მისცემდა.

არა, სულაც არაა გასაკვირი, ასეთ დღეში რომ ვართ. ამდენი გაუგებრობისა და ხარვეზის მქონე გუნდი არ შეიძლება, რამეს იგებდეს. რაც ჭირს საქართველოს ნაკრებს, ყველაფერი რეალური და კანონზომიერია.

წავიდა ვლადიმერ გუცაევი. მერე რა, ალექსანდრე ჩივაძეც და დავით ყიფიანიც წასულან, მაგრამ ასე უპატივცემლოდ, ასე შეურაცხყოფილად გუცაევის წინამორბედნი არ გადამდგარან. ჩივაძეს უელსის განადგურების და ბულგარეთის ძლევას გაუხსენებენ, ყიფიანს იტალიასთან ფრეს და პოლონეთთან კარის გაჯახუნებას. გუცაევისთვის გასახსენებელი არაფერი დარჩენილა. მან ვერც დასახული მიზნები განახორციელა და ბოლომდე პრინციპულობაც ვერ გამოიჩინა. გუცაევი თავიდანვე იყო განწირული, მიხვდა კიდეც ამას და მაშინ, როცა ყველაფერი დაკარგული ჰქონდა.

ამას დაუმატეთ მწვრთნელთა კორპუსის გამოუსწორებელი შეცდომები ყველა ოფიციალურ მატჩში. რაღა გასაკვირია, რომ გუცაევი ნაკრებიდან უსახელოდ მიდის.

ბოლოს ფეხბურთელებზეც ვთქვათ. თბილისში ჯერაც არნახული მარცხის შემდეგ ორიოდ მათგანმა ბოღმანარევი ხმით დაიჩივლა, ჩვენ აწი აქ ჩამომსვლელები არა ვართო.

ნუ ჩამოხვალთ, ბიჭებო, ამის სრული უფლება გაქვთ და ვერც ვერავინ გაგამტყუნებთ, არც არავინ აგიმხედრდებათ. თქვენი ჩამოსვლით ნაკრებს არც რამე ემატება და არც ჩამოუსვლელობით დააკლდება. კარგი გიკეთებიათ, არ დაგვიკარგავს და ორჯერ მეტად გაგვილმერთებიხართ, ვიდრე გეკუთვნოდათ, ცუდი გვინახავს, კრიტიკაც არ დაგვიკლია. ჩვენ მეტი ვერაფრით შეგეწევით, იმ სიმართლით გაგიმარჯოთ და გევლოთ, რაც ნაკრებისთვის და ქვეყნისთვის გითესიათ.

თქვენს ჩამოსვლას კი ნურავის ამადლით. ნაკრებში თამაშით, პირველ რიგში, თქვენს საქმეს იკეთებთ, აქაური სახელი ისევ თქვენი კარიერას სჭირდება. ეს ასეა და ვისაც არ სურს, რეალობას თვალი უსწოროს, იგი სიმართლეს გაურბის, მუდამ წაგებული დარჩება.

ქართულ ფეხბურთში კი ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. საძირკველი ჩასაყრელია, ახლა, როცა ნაკრებმა ყველაფერი წააგო, იქნებ მომავალი ციკლისთვის დავიჭიროთ თადარიგი. გუნდში ახალი ხალხია მისაყვანი ახალი მწვრთნელის თამადობით. ეს თაობა წაგებულია, მას არ ძალუძს რამე მოიგოს, სიახლე და პროგრესი ამათ ძალებს აღემატება. მწვრთნელი კი კარგი და სერიოზულია მოსაძებნი, რომლის სავიზიტო ბარათი მისი კვალიფიკაციურობა იქნება. არა ისეთი, აქამდე რომ გვინახავს, დილეტანტი და აფერისტი, ანაც ევროპაში მუშაობის უფლებაჩამორთმეული.

მოვახერხებთ ამას, ხომ კარგი და დიდებული, არადა მაინც წყალ და ქარწაღებულია ყველაფერი და სიკეთე არაფრით მოვა თავისით.

**მამუკა ძგანტალიანი**



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

ვლადიმერ გუცაევმა კარიც ვერ გაიჯახუნა



გაგი კითიაშვილის ფოტო

გუშინწინდელი მატჩისთვის ჩვეული სურათი: ნორვეგიელებმა ქართველთა დაცვა დაზაფრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ დილით საბურთალოზე, უბანში, 30-32 წლის კაცები:
— ესენი ვინ არიან, ვერ გამიგია, რა უნდათ.
— ფეხბურთის აზრზე არ არიან. შინ ასე წაგება სირცხვილი არაა?
— რა სირცხვილი, რომელ სირცხვილზე მელაპარაკები...
— რა ვიცი, ძმაო, იგროკები ეგენი არიან, გამოვიდნენ და...
— მეტი არაა ჩემი მტერი, აწი ამათზე ვინერვიულო.
გუშინ, 39 ნომერ ავტობუსში, 10-12 წლის გოგონები
— უყურე გუშინ ფეხბურთს?
— ჩვენებმა რომ წააგეს?
— ჰო.
— მამაჩემმა კინაღამ ტელევიზორი დალეწა.
— თამაში არ იციან.
— დღეს ბიჭები სულ ამაზე ლაპარაკობნენ...
იქვე, 20-22 წლის ბიჭები
— იყავი ბოლო-ბოლო სტადიონზე?
— ჰო, და რა მინდოდა.
— გითხარი მე შენ, არ ჯობდა, შინ მჯდარიყავი?
— რაში გადავყარე ათი ლარი. წავსულიყავი, ხინკალი მეჭამა.
— კაროჩე, ამათ არაფერი ეშველებათ. რა ქნეს, ტო? რა გუნდია ამისთანა ნორვეგია?
— ჩვენზე მაგრები კი არიან და...
გუშინვე, სატელეფონო ზარი რედაქციაში. ხანშიშესული მამაკაცის ხმა
— „სარბიელია"?
— დიახ.
— გამაგებინეთ ერთი, რა ხდება?
— რაზე ბრძანებთ?
— რა იყო გუშინ, თავმოყვარეობა სულ დაკარგეს?
— როგორც თქვენ ნახეთ თამაში, ისე ვნახეთ ჩვენც...
— თამაშის მერე რაო, რას ამბობდნენ?
— რა უნდა ეთქვათ?
— წავიდა გუცაევი?
— დიახ.
— ახლა ვის ნიშნავენ?
— არ ვიცით.
— ვინმე ნორმალური მაინც დანიშნონ, ეგება რამე გვეშველოს...
საბურთალოზე, ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში. გამყიდველი — მყიდველს
— პახმელიაზე ხარ?
— ჰო, გუშინ ბევრი მომივიდა. ჩვენებმა რომ წააგეს, დავიბოლმე, წავედი და დავლიე.
— ფეხბურთზე იყავი?
— გიჟი არა ვარ, სად მივდიოდი.
— მალე ყველა მოგვიგებს...
— რა ვიცი... მომეცი ერთი ეგ პივა.
საქართველო — ნორვეგიის მატჩის მიმდინარეობისას. „ენტევე ფუტბოლის" არხზე. კომენტატორი ალექსეი ანდრონოვი მეორე ტაიმის შუაში
— ...ჩვენებმა ამას წინათ ფარერები დაამარცხეს დიდი ანგარიშით, მაგრამ მაშინ სტუმრები იბრძოდნენ მაინც. დღეს კი საქართველოს ნაკრები იმდენად უსუსურია, ფარერებთანაც კი გაუჭირდება...
ერთ-ერთი სარბიელელი მანდილოსანი ტელეფონით მეგობარს
— შენ ეგ მითხარი, უყურე გუშინ ფეხბურთს?
— ...



საქართველო — ნორვეგია 1:4. ლევან კობიაშვილის ერთ-ერთი იშვიათი სტუმრობა მეტოქის საჯარიმოში

# ნორვეგია — ქარი, საქართველო — ფოთოლი

## რუსმა თქვა, ქართველებს მეთევზეებიც მოუგებენო

— აბა, რა სამარცხვინოდ წააგეს...
ყოველივე იმ 90-წუთიანი კოშმარის გამოძახილი გახლდათ, რაც 28 აპრილს ეროვნულ სტადიონზე მოხდა.

ძნელია, მეტად ძნელია ქართველთა საშინელ მარცხს ახსნა მოუძებნო. მათ ფეხბურთი არ უთამაშიათ. გუშინწინ მოედანზე თეთრი ფერი ლანდად თუ ჩანდა, წითელმაისურიანთა ლანდად. ისინი შესცქეროდნენ ნალდ ფეხბურთელებს და არ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. ნორვეგიელებმა ქართველები მიწასთან გაასწორეს. როგორც შემოდგომის ქარი მიმოაქროლებს ხოლმე თავის ნებაზე დამჭკნარ-გაყვითლებულ ფოთლებს, ისე დაერივნენ ეროვნულ სტადიონზე ნორვეგიელები ჩვენებს...

სიმართლეს თვალი ვუსწოროთ, ილუზიებს ნუ შევიქმნით, ვიყოთ ობიექტურნი — საქართველოში სურთ ფეხბურთის თამაში, მაგრამ არ იციან და სამწუხაროდ, ერთეულთა გარდა, არც უნდათ, რომ ისწავლონ.

სადღაც ვიღაც გაფაფხურდება. არიქა, უკვე ვარსკვლავია, თავი ყოჩად უჭირავს.

28 აპრილს დამტკიცდა, რანიც არიან. რისი გაკეთება შეუძლიათ, როგორი გუნდია საქართველოს ნაკრები.

აბსოლუტურად მოშლილი დაცვა, მონოტონურად მოთამაშე ნახევარდაცვა, თავდასხმაც ასეთივე. აი, საქართველოს ნაკრებისა და მთლიანად ქართული ფეხბურთის დღევანდელი სახე.

ტექნიკა, იმპროვიზაციის უნარიო, გავიძახით. დავრწმუნდით თუ არა, სხვებს, თუნდაც ჩრდილოეთის ქვეყნის შვილებს, უკეთ რომ ხელეწიფებათ თამაში?

28 აპრილმა ესეც დაამტკიცა.

ტაქტიკა ტაქტიკად, ტექნიკა, ფიზიკური მომზადებაც, ყველანაირი განსწავლულობაც ჯანდაბას, მაგრამ ძარღვებში სისხლი არ უნდა ჩქეფდეს? რატომ აგდებს ქომაგი 10 ლარს? ღირს კი ამ ფასად მისი ტანჯვა? ალბათ, არა.

ამბობენ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი აზრიაო. მოვლენებს ყველა ერთი თვალით არ უყურებსო. კაცია და გუნებაო, მაგრამ ალბათ დაგვეთანხმებით, საქართველოს ეროვნულ გუნდზე ყველა ერთს ფიქრობს — ქართველთა ნაკრებმა არ იცის... შემდეგ შესაძლოა აზრები გაიყოს. არ იცის ტაქტიკა, არ იცის კომბინაცია, არ იცის პასი, არ იცის თავით თამაში, არ იცის ფეხბურთი!

აქამდე კი... რა იყო აქამდე?

ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე შეკრებილნი შედეგით უკმაყოფილებას პლასტმასის ბოთლების, ვაშლების, სხვადასხვა ნივთების სროლით გამოხატავდნენ. ეს პროტესტი იყო, ავისმომასწავებელი მომავლის ნიშანი. ვაითუ, ეს მომავალი ოთხშაბათს დაიწყო?

თამაშის შემდეგ არაფერი ყოფილა, თქვენ წარმოიდგინეთ, სიტყვიერადაც იშვიათად შეურაცხყოფდნენ მათ, ვის გამოც ხალხმა 10 ლარი გაიმეტა და სანაცვლოდ აქით დარჩა შეურაცხყოფილი. იყო სიჩუმე, აქა-იქ თუ შეუძახებდნენ-ხოლმე. არც ბოთლები, აღარც ვაშლები. მატჩის 38-ე წუთზევე ქომაგები და სამშაბათს ევროსაბჭოს შენობის წინ ამაყად მდგარი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ალბათ საბოლოოდ დარწმუნდნენ, გუშინდელი „სარბიელისა" არ იყოს — ქართული ფეხბურთი დამბლადაცემულია. როცა ქვეყნის პირველი პირი ტაიმის ჩამთავრებას არ დაუცდის და თავისი სავარძლიდან შესვენებამ-დე წამოდგება, მგონი, ბევრზე მეტყველებს.

ვლადიმერ გუცაევმა მატჩის დამთავრებისთანავე ცალი თვალით სამთავრობო ლოჟაში მსხდომთ ახედა. მგონი, ესეც რაღაცაზე მეტყველებს. სწორედ მაშინ მწვრთნელისკენ მეორე იარუსიდან პირველად და უკანასკნელად ბოთლი ისროლეს. რიგით გულშემატკივარს მოხვდა. მას, რომელსაც, ნერვები დაწყვეტილი ჰქონდა, რომელსაც თავადვე აქვს ხელი ჩაქნეული, მას, რომელმაც 28 აპრილის სირცხვილი საკუთარი თვალით იხილა და საკუთრივ იწვნია. ამ დღეს ყველაზე მეტად ის დაზარალდა. ხედავდა ნორვეგიელებს, ვითომცდა არაფერიო, მაგრამ გახარებულთ, ხედავდა ქართველებს, ვითომცდა... მას ახსოვს მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, ჩივაძე, ყიფიანი, იგივე გუცაევი, ახსოვს 13 მაისი, ახსოვს დიდი „დინამო" და უმწეო ქართული ფეხბურთის შემხედვარეს გული უკვდება. მან იცის ქართული ფეხბურთის ფასი, დარწმუნებულია, რომ ნიჭიერია, მაგრამ ისიც იცის, ხვალ მეორე ბოთლი მოხვდება, ზეგ მესამე...

მაშ, რა საჭიროა ტრიბუნა? მხოლოდ სამასლაათოდ? იმიტომ, რომ ბოთლი მოგვხვდეს თავში? ღმერთმანი, არა.

მაგრამ იმედი რომ არ კვდება, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი უახლოეს დღეებში შეიკრიბება? რა ვქნათ, რა ვაკეთოთ? განვკურნავთ კი დამბლას?

როდემდე იტყვის 10 წლის გოგონა, მამაჩემმა ტელევიზორი კინაღამ დალეწაო, ანაც...

**კობა ინასარიძე**

# ქართველთა რბევის ქრონიკა

ოთხშაბათს საქართველოს ნაკრებმა მეშვიდედ წააგო დიდი ანგარიშით, პირველად შინ — ეროვნულ სტადიონზე. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსისკარგვასთან ერთად ქართველმა ფეხბურთელებმა სარეკორდო ანგარიშით წაგებებსაც უხშირის. გუშინწინდელ მატჩში კი სავალალო ისიც იყო, რომ საშინაო შეხვედრაში მესამედ გავუშვით ორი და პირველად ოთხი გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო/ერ.ნაკრ./ | | | 1 |
| ნორვეგია /ერ.ნაკრ./ | | | 4 |
| 17 წთ | ივერსენი | N 6 | ნორ |
| 27 წთ | ფლო | N 9 | ნორ |
| 36 წთ | სოლსკიაერი | N10 | ნორ |
| 38 წთ | ფლო | N 9 | ნორ |
| 58 წთ | ჯანაშია ზ. | N10 | საქ |

### საქართველოს ნაკრების დიდი ანგარიშით წაგებული მატჩები

11.06.94. იბადანი
50 000 მაყურებელი
**ნიგერია 5:1 საქართველო**

06.09.95. ნიურნბერგი
40 000 მაყურებელი
**გერმანია 4:1 საქართველო**

24.04.96. ბუქარესტი
25 000 მაყურებელი
**რუმინეთი 5:0 საქართველო**

14.06.97. კატოვიცე
1 000 მაყურებელი
**პოლონეთი 4:1 საქართველო**

19.08.98. კიევი
13 500 მაყურებელი
**უკრაინა 4:0 საქართველო**

14.10.98. ათენი
15 000 მაყურებელი
**საბერძნეთი 3:0 საქართველო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შინ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 |
| სტუმრად | 6 | 0 | 0 | 6 | 3:25 |
| სულ | 7 | 0 | 0 | 7 | 4:29 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტორე ანდრე ფლო (№9) კახა კალაძეს გაურბის

# თავს ზემოთ ძალა არ არის

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ამგვარად ბოლოს შარშან, 4 სექტემბერს შერცხვა. მართალია, მაშინ ჩვენი გუნდის კარში სამი ბურთი არ გასულა, მაგრამ ალბანელებთან თბილისში „ეროვნულ" სტადიონზე 0:1 მარცხი, ალბათ, ნორვეგიასთან 0:3 წაგებაზე ნაკლებ სასირცხვილო არ გახლდათ. ალბანელებთან თამაშის შემდეგ მარცხზე პასუხისმგებლობა მთლიანად ნაკრების იტალიელმა კონსულტანტმა რობერტო ლანდიმ იტვირთა, თუმცა ოფიციალურად მთავარი მწვრთნელი მაშინაც გიგლა იმნაძე იყო. ლანდი ამჯერადაც თბილისში გახლდათ, მაგრამ ახალგაზრდული ნაკრების მზადებაში საერთოდ არ ჩარეულა. მარცხზე პასუხიც, ცხადია, პირველ ყოვლისა იმნაძეს და მის თანაშემწეებს მოეთხოვებათ. ნორვეგიელებთან მატჩისშემდეგომ პრესკონფერენციაზე იმნაძის ნაცვლად მისი თანაშემწე ოთარ გაბელია გამოცხადდა. თუმცა გულშემატკივარს, ცხადია, მთავარი მწვრთნელის კომენტარი უფრო აინტერესებდა. რომელსაც დღეს შემოგთავაზებთ.

თამაშის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ კი იმნაძესაც შევხვდით და მატჩის შესახებ გავესაუბრეთ.

— ნორვეგიელებმა ყველა კომპონენტში გვაჯობეს, ფიზიკურადაც დაგვჯაბნეს, ტაქტიკურადაც და ტექნიკურადაც. მათ ძალიან ძლიერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და დამსახურებულადაც მოგვიგეს. შედეგი სრულიად კანონზომიერად მიმაჩნია. თუმცა მარცხს მარტო მეტოქის კარგ თამაშს ვერ დავაბრალებ, თავადაც ვერ გამოვიყურებოდით სათანადოდ. ჩვენ ჩვენი დადებითი მხარეების (ტექნიკის) გამოყენება გვმართებდა.

**— კონკრეტულად რა დაავალეთ გუნდს მატჩის წინ?**

— ჩვენი მთავარი მიზანი მეტოქის დაცვის მოკლე პასებით გარღვევა იყო. უნდა გამოგვეყენებინა მცირე უპირატესობა ბურთის ფლობაში და საერთოდ ტექნიკაში მაგრამ პირიქით კი მოხდა. რაც შეეხება დაცვას — მცველებს ვთხოვე, მჭიდროდ და მობილურად ეთამაშათ, მაგრამ მეტოქე მაინც ახერხებდა მარწუხებისგან თავის დაღწევას.

**— ნორვეგიელების ასეთ თამაშს თუ ელოდით?**

— ძლიერნი რომ იყვნენ, მსმენოდა, მაგრამ მათი თამაში აქამდე არ მენახა. ისე კი ველოდი, რომ მეტოქე, სიმაღლის გათვალისწინებით, საჰაერო ბრძოლებზე გაამახვილებდა ყურადღებას. ფაქტობრივად, ასეც მოხდა.

**— ჩვენს გუნდში ხომ არ იყო ვინმე ისეთი, ვისიც განსაკუთრებით გეიმედებოდათ, მაგრამ მოლოდინი გაგიცრუათ?**

— როცა მთელი გუნდი ასე ცუდად თამაშობს, ძნელია, ვინმე ცალკე გამოყო.

**— ამ მარცხზე რაიმე სხვა მიზეზმაც ხომ არ მოახდინა გავლენა?**

— არა. პირობებზე თუ ვისაუბრებთ, გეტყვით, რომ სლოვენიასთან ბევრად უფრო ცუდი პირობები გვქონდა, ვიდრე ახლა, თუმცა თამაში ასე თუ ისე ნორმალურად ჩავატარეთ. მაშინ ფორტუნამ გვაქცია ზურგი. ვერც მსაჯებს დავაბრალებდი ამ წაგებას. ვიმეორებ, მარცხში მთავარი „დამნაშავე" ნორვეგიელთა სიძლიერეა. ასეთ მეტოქეებთან თავს ზემოთ ძალა არ არის.

**— ახალგაზრდულ ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ აქვს. დარჩენილ მატჩებში უმიზნოდ ითამაშებთ?**

— არა, ჩვენი მიზანი მომავალი შესარჩევი ეტაპისთვის მზადება იქნება. საამისოდ შემადგენლობაშიც მოვახდენთ გარკვეულ ცვლილებებს. მომდევნო შეხვედრებისთვის იმ ფეხბურთელებს გამოვიძახებთ, რომლებიც მომავალში გამოგვადგება.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი *იორნ ჰანსენი* და საქართველოს 21-წლამდელთა თავკაცის თანაშემწე ოთარ გაბელია გამოცხადდნენ.

სტუმართა გუნდის ხელმძღვანელი შეხვედრის შედეგით ერთობ კმაყოფილი ჩანდა:

— ეს იყო ჩემი ბიჭების საუკეთესო თამაში. პირველ ტაიმში ოთხი გაფრთხილების მიღების მერე ფეხბურთელებს ფრთხილად მოქმედებისკენ მოვუწოდე. მეორე ნახევარი ბრწყინვალედ ჩავატარეთ.

ვფიქრობ, ეს მინდორი ტექნიკური ქართველებისთვის ხელისშემშლელი იყო. ჩვენებმა კი ძალიან მაგრად იმუშავეს და ყველა დავალება შემისრულეს.

თქვენებურთაგან ჩემზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება მეშვიდე და მერვე ნომრებმა (ყიფიანმა და ალექსიძემ) დატოვეს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შესახებ საკმაო ინფორმაციას ვფლობდი. გამიხარდა, დისკვალიფიცირებულმა მუჯირმა რომ ვერ შეძლო ჩვენს წინააღმდეგ თამაში.

ჩემი გუნდიდან ვერავის გამოვარჩევ. ყველამ ძლიერად ითამაშა. თუმცა გეთანხმებით, რომ ანდერსენი (№7) ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. რაც შეეხება მისდამი თქვენს მიერ ასეთ დაინტერესებას, გეტყვით, რომ იგი ნორვეგიის ჩემპიონატის ბინადარ „სტაბეკში" თამაშობს. საკმაოდ ნიჭიერი და ენერგიული 20 წლის ბიჭია.

*ოთარ გაბელია:*

— რა უნდა ვთქვა. ნორვეგიელებმა ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ჩვენებმა მწვრთნელის დავალებები ვერ შეასრულეს. ვაფრთხილებდით, რომ სტუმართა სტანდარტულ მდგომარეობებზე ფხიზლად ყოფილიყვნენ და დაბალი პასებით ეთამაშათ სწრაფ ტემპში. თუმცა ნახეთ, რომ იმ გუნდმა არაფრის საშუალება არ მოგვცა. არადა, ბერძნებმა სწორედ სისწრაფით მოუგეს ნორვეგიელებს 2:1. არც მათ ჰყოლიათ შემადგენლობაში მაღალი ფეხბურთელები. სულ სამი კაცი იყო ისეთი, სკანდინაველებს რომ ცოტათი ჩამოუვარდებოდა სიმაღლეში.

ჩვენ დიდი არჩევანის საშუალება არ გვაქვს. ამ ასაკში საუკეთესონი ვინც არიან, თითქმის ყველა გამოვიძახეთ. მომავალშიც, ალბათ, ამ ოც ფეხბურთელიდან მოგვიწევს შემადგენლობის დასახელება.

ისე, სიმართლე გითხრათ, დღეს ნორვეგიელთა ძლევა წარმოუდგენელი იყო.

**ვანო ოქროპირიძე**

**ხვიჩა სანიკიძე**



საქართველო — ნორვეგია 0:3. ნორვეგიის „სტაბეკისა" და ახალგაზრდული ნაკრების გამთამაშებელი მარტინ ანდერსენი (№7) „შევარდენზე" საუკეთესო იყო

# სიბრძნე სიცრუისა

## ხუთშაბათ დილას დაღამდა

— რატომ გაჩუმდი, ბაბუ?

— რაო, რას მეკითხებოდი?

— რა და ნორვეგიელებმა როდის არ შეგვიცოდეს-მეთქი.

— გვიანია, ბაბუ, დავიძინოთ ახლა.

— ძალიან მაინტერესებს და გეხვეწები, მითხარი რა...

— რა უნდა გითხრა, რა გვჭირდა ქართველებს ნორვეგიელების შესაცოდი. ვიკინგებმა რომ ფეხბურთის თამაშის სწავლა დაიწყეს, ჩვენები ცის კაბადონს ეკიდებოდნენ.









— ვარსკვლავებივით, ბაბუ?

— ვარსკვლავები იყვნენ, ნამდვილი ვარსკვლავები. მესხი რომ მეტოქეს შემოუვლიდა, თავბრუდახვეული მცველი მინდორზე ვარდებოდა. ყიფიანი რომ ბურთს კეფაზე გაიჩერებდა მოწინააღმდეგე გაოგნებული შესცქეროდა. შენ მეტრეველის პენალტი უნდა გენახა, ბაბუ. რა დამავიწყებს იმ მეკარეების საცოდავ გამომეტყველებას, რომლებიც სლავას თერთმეტმეტრიანს ელოდნენ.

— ვიკინგები, ბაბუ?

— ეჰ, ვიკინგებმა ომი იცოდნენ მხოლოდ.

— მერე შენ არ მითხარი, თუ არ იომე, ისე ვერ მოიგებო?

— ფეხბურთი სულ სხვაა, ნიჭი უნდა გქონდეს, ნიჭი.

— ნორვეგიელები უნიჭოები იყვნენ?

— მათ მხოლოდ სიმაღლე ჰქონდათ. ჰოდა, თავით თამაში ეხერხებოდათ. ჰო, კიდევ აუტების შორს ჩაწოდება...

— ქართველებმა თუ იცოდნენ თავით თამაში და აუტების შორს ჩაწოდება?

— ჩვენმა ბიჭებმა ყველაფერი იცოდნენ, ბაბუ, მაგრამ ხელებისა და თავის მოშველიება არ სჭირდებოდათ. ფეხბურთი ფეხით ბურთის თამაშია პირველ ყოვლისა. ქართველებს ფეხებშიც ჰქონდათ ტვინი. საოცრად მოქნილები იყვნენ. ფინტების ისეთ კორიანტელს აყენებდნენ, ისე დაძვრებოდნენ ჭოკივით მაღალ ნორვეგიელებს შორის, სახტად დარჩენილი ვიკინგები შლეგიანებივით დარბოდნენ აქეთ-იქით.

— აბა, ვუგებდით ნორვეგიელებს მწარედ?

— ვუგებდით? მარტო მაგათ კი არა, ბაბუ, ვიკინგების მეზობელი ქვეყნების გუნდებს სადაც შევხვდით, ყველგან დაბადება ვაწყევლინეთ.

— გიხაროდათ, ბაბუ?

— ისე რა. იოლად მიზნის მიღწევამ დიდი სიხარული არ იცის, ბაბუ. ვიკინგებთან შეხვედრებზე, უბრალოდ, გასართობად დავდიოდით. მანდილოსნებიც მიგვყავდა-ხოლმე სტადიონზე. ვერც გინებას გაიგონებდი, ვერც სტვენას. ვიჯექით და ვხარხარებდით.

— რაზე, ბაბუ?

— რაზე და იმ ორმეტრიანი ფეხბურთელების წვალებაზე.

— მერე ის ბავშვი არ გეცოდებოდათ?

— ვინ ბავშვი?

— ვინ და ოლე გუნარ...

— შენ საიდან იცი სოლსკიაერი?

— შენს შენახულ გაზეთში ვნახე მისი დიდი ფოტო.

— ეჰ, იმას და ტორე ანდრე ფლოს რა ჰქონდა შესაცოდი.

— რატომ, ბაბუ?

— მაგათ დღე გვაყარეს, მტრისას...

— ეგ როდის?

— როდის და... 1999 წლის 28 აპრილს. ოთხშაბათ საღამოს.

— ასეთი რა გვიქნეს, ბაბუ?

— ეჰ, იმ დღის გახსენებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლის...

— მიამბე, რა.

— ჰე. დავიძინოთ ახლა, თორემ გათენდება სადაცაა. დილით მოგიყვები.

— მალე გათენდება, ბაბუ...?

**ხვიჩა სანიკიძე**

# რევაზ ძოძუაშვილი: მიმსახურეთ, ბატონო!

*თბილისში, ნორვეგიელებთან შერცხვენილი საქართველოს ნაკრები თავჩაღუნული სტოვებდა ეროვნულ სტადიონს, ზუსტად იმ დროს კი რიგაში ალბანელი ფეხბურთელები უზომო სიხარულს მისცემოდნენ. ისინი ფრეს ზეიმობდნენ, ლატვიის ნაკრებთან სტუმრად მოპოვებულ ქულას.*

*ვაი, ჩვენს თავს — არა მგონია, ლატვიაში ჩასული ნორვეგიელები იქაურ ჟურნალისტებს ნინდაწინ უპირობო გამარჯვებას დაპირდნენ. დღეს ასეა, ჩვენგან განსხვავებით, ლატვიელები ბევრისთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ და ვინ იცის, იქნებ ბერძნებსაც გაუხარდათ გულის სიღრმეში ლატვიაში მოპოვებული ქულა...*

*გუშინ რიგაში ლატვიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს დავუკავშირდით, ბუნებრივია, ლატვია-ალბანეთის მატჩის კომენტარი გვსურდა. თუმცა ჩვენი საუბარი მარტო ამით არ შემოიფარგლა.*



**— ლატვიის ნაკრები ალბანელებს არასრული შემადგენლობით წარუდგა.**

— საამმატჩოდ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი მოვისაკლისეთ, ასტაფიევსის, ბაბიჩევსის და ზემლინსკისის ტრავმებს შეგუებული ვიყავი. ბლეიდელისი ბოლო წუთს დაგვიშავდა. ინგლისიდან მარიან პახარსის ჩამოსვლისას კი გაირკვა, რომ მას კუნთი დაეჭიმა და თამაშს ვერ შეძლებდა. მოკლედ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

**— თავად მატჩი როგორი იყო?**

— ვფიქრობ, ძალიან საინტერესო თამაში გამოდგა. ლატვია და ალბანეთი ხომ რანგით მაინც ტოლ-სწორნი არიან. ოთხი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ სტუმართა მეკარემ წარმოუდგენელი სირთულის ბურთები აიღო. ერთადერთი ნაკლი სანახაობის მხრივ ის იყო, რომ სტადიონზე მოსულმა მცირერიცხოვანმა მაყურებელმა გოლი ვერ იხილა, მაგრამ მეტოქეც შეძლებისდაგვარად ღირსეულად იდგა და ოდნავი მოდუნების საშუალებასაც არ იძლეოდა.

**— ცოტა უცნაურად მეჩვენება, ალბანელებთან საშინაო მატჩში ექვსი ნომინალური მცველით გითამაშიათ.**

— ამასაც ჰქონდა თავისი მიზეზი და ისევ წამყვანი მოთამაშეების არყოფნას უკავშირდება. მოგეხსენებათ, ტრადიციულად 4-5-1 სისტემით ვთამაშობთ, მაგრამ, ჩემი აზრით, მწირი არჩევანის გამო ამგვარად თამაში გამართლებული არ იქნებოდა. ამიტომ ნახევარმცველთა რაოდენობა ოთხამდე დავიყვანე, ერთი კაცი უკან გადმოვწიე და ამით ზედმეტ გართულებებს მოვერიდე. თანაც ალბანელებს ერთი მეტად საინტერესო ფეხბურთელი ჰყავდათ, ცხრა ნომერი (ბლეიდარ კოლა — პ.კ.), რომელსაც ფაქტობრივად თამაში მიჰყავდა და იძულებული გავხდი, მისთვის პერსონალური მცველი მიმეჩინა.

**— ლატვიის ნაკრების ერთერთი სასარგებლო ფეხბურთელი ვიტალი შარანდო რატომღაც ბოლოს ჩართეთ თამაშში...**

— შარანდოს, ბოლო კვირის განმავლობაში მცირე ტრავმა აწუხებდა. მატჩის წინ მითხრა, რომ მხოლოდ 15-20 წუთი შეძლებდა თამაშს. მის თხოვნას, ბუნებრივია, ანგარიში გავუწიე და ამიტომ მხოლოდ მატჩის ბოლოს ჩავრთე საქმეში, ისიც იმიტომ, რომ დასვენებული მოთამაშის, მოედანზე შეყვანის აუცილებლობა დავინახე. სხვათა შორის, ბოლო წუთზე მას გოლის გატანის საუცხოო შანსი მიეცა, მაგრამ ალბანელთა მეკარე მართლაც კარგად თამაშობდა.

**— ბუნებრივია, შედეგით კმაყოფილი არ იქნებით.**

— რა თქმა უნდა, ცოტათი იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ მდგომარეობას რეალურად ვაფასებ. თქვენც იცით, საქართველოში, მარტო უბნებში და ეზოებში, რამდენი ნიჭიერი ბავშვი თამაშობს, ლატვიაში ამას ვერ ნახავთ. აქ სხვაგვარი სიტუაციაა, თორემ მყოლოდა არჩილ არველაძის დარი შემსრულებელი და გარწმუნებთ, ალბანელებს კინკილა გოლს ჩვენც გავუტანდით. ისე, ერთი რამის აღნიშვნა მინდა. ამ თამაშმა კმაყოფილების საბაბი მაინც მომცა. იმიტომ რომ ხუთი ახალგაზრდა, ჯერაც გამოუცდელი ფეხბურთელის გასინჯვა შევძელი. ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან, ამხანაგური მატჩებისგან განსხვავებით, დებიუტანტის ოფიციალურ დონეზე გამოცდა სულ სხვაა. ამ ფეხბურთელებმა გამიმართლეს, დავალება ყველამ კარგად შეასრულა. ამან კი გარკვეული სტიმული მომცა და იმედი გამიჩინა, რომ სათანადო რეზერვი მეყოლება. მერწმუნეთ, ყოველივემ დიდი სიამოვნება მომანიჭა.

**— ბერძნებთან მატჩის შემდეგ ლატვიის შანსებს მოკრძალებულად აფასებდით. ახლაც ასე ფიქრობთ?**

— ჩვენ შეგვიძლია, პატარ-პატარა სიურპრიზები შემოგთავაზოთ, თორემ ლატვიის მიზნები დღეს მართლაც მოკრძალებულია. ჯგუფის ფავორიტი კი გამოიკვეთა — ნორვეგიის ნაკრებმა თბილისში სრულად დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები. საეჭვოა, სკანდინაველებმა პირველობა ვინმეს დაუთმონ.

**— საქართველო — ნორვეგიის ვიდეოჩანაწერი თუ ნახეთ?**

— სამწუხაროდ, საშუალება არ მომეცა, არადა, ამის დიდი სურვილი მაქვს. ამ დღეებში ფირს ჩამომიტანენ და ბუნებრივია, ვნახავ.

**— ამ მატჩმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ ქართულ ფეხბურთს კატასტროფა ემუქრება.**

— დღეს ქართული ფეხბურთი მართლაც არნახულ კრიზისშია. უდავოა, სწორი ანალიზია გასაკეთებელი. საბედნიეროდ, ქართულ საფეხბურთო სამყაროში კიდევ დავრჩით მცონდე და გამოცდილი ხალხი. უნდა შევიკრიბოთ, გავერთიანდეთ, გავერკვიოთ შექმნილ მდგომარეობაში. დამპალი ფესვებია საძიებელი, თორემ გაფუჭებული საქმის კონკრეტული პიროვნებისთვის დაბრალება არასწორად მიმაჩნია.

**— მცოდნე ხალხში საკუთარი თავიც იგულისხმეთ. მოხარული ვარ, რომ ქართულ ფეხბურთში დაბრუნების სურვილი გაქვთ.**

— მე ქართული ფეხბურთის სამსახურზე უარი არასოდეს განმიცხადებია. ბევრჯერ მითქვამს — ძალიან მაწუხებს ჩვენს ფეხბურთში შექმნილი სიტუაცია. არის საქართველოში ხალხი, ვისაც დღეს ევალება (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) ქართული ფეხბურთის აღორძინება. თუ ისინი მოინდომებენ ჩემი აზრის გაზიარებას, მზად ვარ, გვერდით დავუდგე.

დღეს იქნებ უშუალოდ ვერ ვემსახურები ქართულ ფეხბურთს, მაგრამ ვფიქრობ, ქართულ საქმეს აქაც ვაკეთებ. საქართველო — ნორვეგიის თამაში არ მინახავს, თუმცა არა მგონია, რეხვიაშვილი „სკონტოდან" ცუდ ფორმაში მყოფი გამომეშვას ნაკრებში სათამაშოდ. და საერთოდ, ვთვლი, რომ „სკონტოს" ქართველი ლეგიონერები მალე დაიმკვიდრებენ ადგილს ეროვნულ გუნდში. მეტი რა შემიძლია აქედან გავუკეთო საქართველოს?

საერთოდ კი ასე ვიტყოდი — მზად ვარ, ყოველთვის ვემსახურო ქართულ ფეხბურთს და მიმსახურეთ, ბატონო!

**პაატა ქვანტალიანი**



28 აპრილს უეფს ვიცე პრეზიდენტი და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი პიერ რავნ ომდალი, ვაკეში „ირაოს" კოხტა სტადიონს ეწვია. „თავს ვდებ ასეთი სტადიონი ნორვეგიაშიც ძნელად საპოვნია და ყველა ღონეს ვიხმარ დახმარება გაგიწიოთო" — თქვა ნორვეგიელმა სტუმარმა სტადიონის ერთ-ერთ თავკაც გრიგოლ ცაავასთან შეხვედრისას.

# სოსო ჭედია შეიძლება გენერალი გახდეს

„ოდიშმა" რუსთავის „გორდასთან" 2:6 მარცხი რომ იწვნია და მატჩის მერე სოსო ჭედიამ განაცხადა აბა, ჰე, მშვიდობითო, იმის მერე კიდევ გაურკვეველი იყო, დატოვებდა თუ არა მთავარი მწვრთნელი „ოდიშს". სთხოვეს დარჩიო, ასეთ დროს გუნდის მიტოვება არ შეიძლებაო, ქალაქის ხელმძღვანელობამაც დაიბარა, ისაუბრეს, ითათბირეს და...

— გუნდი ვერ მივატოვე, დავრჩი და თვითონაც ხედავთ, ბიჭების ვარჯიშებს.

**— კი მაგრამ, რას შეგპირდნენ ასეთს, რომ სამი დღის წინ მიღებული გადაწყვეტილება შეცვალეთ?**

— იქნებ გაგიკვირდეთ კიდეც დიდი არაფერი. უბრალოდ, ვისაუბრეთ იმაზე, რომ ასეთ კრიტიკულ მომენტში ჩემი წასვლა არასწორი ნაბიჯი იქნებოდა და იქნებ კატასტროფის ტოლფასიც ყოფილიყო. გადავწყვიტეთ, რომ თავი არ დავზოგოთ და როგორმე სატურნირო ცხრილის სამარცხვინო ადგილიდან დროზე ამოვიდეთ. არადა, ამის უდიდესი შანსი არსებობს.

**— იქნებ დიდ ფულსაც შეგპირდნენ?**

— (იცინის) იცით, მერიის დახმარება რითი შემოიფარგლება? თამაშის დღეს ავტობუსს მოგვცემს. მოგეხსენებათ, კლუბს საკუთარი ავტობუსიც კი არ ჰყავსა. ეს არის და ეს. მარტო ამის იმედზე კი... მე კი ცალკე მინდა გამოვყო პიროვნებები, რომლებიც მხარში რომ არ ამომდგომოდნენ, გუნდი არც გააგრძელებდა ჩემპიონატს. ომარ გარმელია, ზური კიკალეიშვილი, გია მალანია, მამუკა თორდია ის ხალხია, ვისაც „ოდიშთან" გულშემატკივრობის გარდა არაფერი აკავშირებს, მაგრამ იციან ჩვენი გაჭირვებაა და ამ ხალხის დამსახურებაა, რომ „ოდიში" ისევ არსებობს.

**— კი მაგრამ, ფეხბურთელები? მათაც ხომ უნდათ ხელფასები და ამის გამო რამდენიმე მატჩიც გამოტოვეს.**

— ეს ცალკე საუბრის თემაა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ უჭირთ მათ. ვარჯიშზე რომ მოხვიდეთ, ნახავთ, ნახევარი გუნდი ფეხშიშველი (პირდაპირი გაგებით) ვარჯიშობს, რადგან ბუცები არა აქვთ და თამაშის დროს, არ დამიჯერებთ, უმცროსი ასაკის გუნდებთან დადიან თავიანთი ზომა ბუცების სათხოვნელად. ხელფასებზე და პრემიებზე ხომ ლაპარკი არაა. ასეთ პირობებში გასაგები იყო მათი გაფიცვა, მაგრამ უკვე სეზონის ბოლოც მოახლოვდა და როცა დაინახეს, რომ „ოდიშმა" პირველი ჯგუფი შეიძლება დატოვოს, ყველაფერზე, მათ შორის ფულზეც ხელი ჩაიქნიეს და პირდაპირ მითხრეს, თუ მოგვცემენ ხელფასს, ხომ კარგი, თუ არადა ჩვენ მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთო. ოღონდ ერთი პირობით, მე არ უნდა წავსულიყავი გუნდიდან. სწორედ ამან განაპირობა ყველზე მეტად ჩემი დარჩენა. მე და მთელი გუნდი ყველაფერს გავიღებთ მიზნის მისაღწევად.

**— გუნდში ამ სეზონის ბოლომდე რჩებით თუ...? გავიგე, ერთ-ერთ თბილისურ კლუბთან გაქვთ მოლაპარაკება.**

— მე რომ ზუგდიდში დავრჩი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეს „ოდიშს" მოვახმარ. მით უმეტეს, ასეთ პირობებში. მე დამწყები მწვრთნელი ვარ და მინდა, ბევრს მივაღწიო. არავის არ უნდა გაუკვირდეს, თუ ჩემი გზა „ოდიშს" გაშორდება. ის კი, არა, უახლოეს მომავალში იქნებ უცხოეთში გავემგზავრო მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად. იქიდან ჩამოსვლის მერე რა მოხდება, ვნახოთ. იმ ჯარისკაცს რა ვუთხარი, გენერლობაზე რომ არ ოცნებობსო, ხომ გაგიგია?

**— შაბათს კი უშუალო კონკურენტი „სიონი" გეწვევათ...**

— ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს ორვე გუნდისთვის და დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. გავიგე, „სიონს" ორი ფეხბურთელი — ისიანი და ტყავაძე დაუმატებიათ, ჩვენ კი ორი გამოგვაკლდა: ღურწკაიამ რუსთავში წითელი ბარათი მიიღო, ხოლო ტაბაღუა სამი ყვითელი ბარათის გამო გამოტოვებს მატჩს. მათი შემცვლელი არავინ მყავს. არ ვიცი, რამეს მოვიფიქრებ. ამ მატჩმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი ბედი.

**— და მაინც, დარჩება „ოდიში" პირველ ჯგუფში?**

— ამაში ეჭვი რომ მეპარებოდეს, თავს არც მე გავიწვალებდი და არც ბიჭებს გავაწვალებდი. ასე რომ, დაიჯერეთ, „ოდიში" წლეულს არ გავარდება.

**თენგიზ ქოჩუა**
**ზუგდიდიდან**



სოსო ჭედია

საქართველოს ჩემპიონატი

# 25 ტური

# მაისის თვეა შენი...

## ტიტე ნატუტარი და ეროვნული ჩემპიონატი

მოშიაშვილის არ იყოს, ნამეტანი გრძელი ჭია ჰყოლია ეროვნულ ნაკრებს. ვერა და ვერ მოახერხა მისი გახარება, ქართველი გულშემატკივრის გულის მოგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ქუდებს იხდიან გულმოკლული ქომაგები და ერთმანეთს უსამძიმრებენ ეროვნული ნაკრების გარდაცვალების გამო. თუმცა გარდაცვალება ერთი ცხოვრებიდან მეორეში გარდასახვას უფრო გალისხმობს და არა იმას, რაც ჩვენი ქვეყნის პირველ გუნდს დაემართა ნორვეგიელებთან მატჩში. თუ მაინც სჯერათ და სწამთ ქართველ გულშემატკივრებს ეროვნული ნაკრების მკვდრეთით აღდგომის, ცდა კარგა ხანს მოუწევთ. ლოდინი კი ძალიან ძნელია და ხანაც აუტანელი, მით უმეტეს მაშინ, როცა უსაზღვროა ჩვენი მოლოდინი...

იდეა მაქვს მათთვის, ვისთვისაც უფეხბურთოდ ყოფა გაუსაძლისი ტკივილებით ცხოვრებას ნიშნავს, ოღონდ არ გაგეცინოთ, თუმც აწი სიცილსაც და ტირილსაც ერთი ფასი აქვს. მოდით, დაუბრუნდით ეროვნულ ჩემპიონატს — ქართული ფეხბურთის ყველა დონეზე წარუმატებლობის მთავარ მიზეზს. ერთად ვუწამლოთ ჩვენს გათამაშებას და ყველაფერს ეშველება, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაქვთ. თუ არადა, გულს მაინც გადააყოლებთ ტრიბუნებიდან იმ შეხვედრების ხილვას, ფეხბურთის ელემენტებს რომ მოიცავს ხანდახან. „ყვარყვარე თუთაბერში" მაზრის უფროსად ტიტე ნატუტარის დანიშვნის გასასამართლებელი არგუმენტისა არ იყოს — ჩვენ სხვა გამოსავალი მაინც არა გვაქვს.

25-ე ტურით მაისის თვეც დაუდგება ეროვნულ ჩემპიონატს. მაისის თვეში კი ყველაფერი ცნობილი გახდება — პრიზიორები, პირველი ჯგუფიდან გავარდნილები, მათ ნაცვლად მეორედან აღზევებულნი და თასის მფლობელი. ერთი ინტრიგაც დაემატა გაზაფხულის ბოლო თვეს. მაისში თამაშები 18 საათზე დაიწყება და თუ კიდევ დაფიქსირდა სტადიონებზე სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანების დაგვიანების ფაქტები, მერე ილოცონ სფფ-ის ინსპექტორებმა და შეევედრონ დღეს — ნუ დაღამდები მალეო...

ჩემპიონატის გუნდებს სეზონის ბოლოს ადრე ფედერალისტ და მერე ანარქისტ ტიტე ნატუტარივით „ბნელ-ბნელი" აზრები აწუხებთ. მაშინ ახსენდებათ ევროსაგზური, ჯგუფიდან არგავარდნა და სხვა ამგვარი. გულშემატკივრებსაც ამ დროს სჩვევიათ გამოფხიზლება და კლუბებისთვის და მსაჯებისთვის „სტიმულის" მიცემა. ასეთ დროს კი ფედერაციას მთელი ძალებით მობილიზება მართებს, თორემ სპორტისა და ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში გახშირდება სადისციპლინო კომიტეტის სხდომები.

„ოდიში" — „სიონი". ეს შეხვედრა, გინდ ტურის ცენტრალურ მატჩად მონათლეთ, გინდაც ჩვეულებრივად, მაინც ყველაზე დამაინტრიგებელი გახლავთ. ორი გაჭირვებული აუტსაიდერის დაჯახება დიდ ყურადღებას ითხოვს, რადგან ამ წყვილში დამარცხებული ფაქტობრივად განწირულ ყოფაში ჩავარდება და ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს, რათა გართულებებს თავი აარიდოს. არავინ უწყის, რა მოხდება ზუგდიდურ მატჩში. აღარ არის „ოდიში" ის ძველი გუნდი, შინაურ კედლებში არწაგება რომ გარანტირებული ჰქონდა. უსუსტეს „სიონსაც" თავისუფლად ძალუძს ოდიშარების გაწბილება. თუმცა ამ შეხვედრის შედეგის ძირითად განმსაზღვრელად ობიექტური მსაჯობა რჩება. „შავოსნების" სინდისზე ჰკიდია, შეხვედრის საბოლოო ოქმში რა ანგარიში დაფიქსირდება.

„ვიტ ჯორჯია" — „მერანი". ორი ინტერტოტოს საგზურისთვის მებრძოლი გუნდი ხვდება ერთმანეთს. მავანი იკითხავს, სად მეოთხე ადგილი და სად 3!-ქულიანი „ვიტ ჯორჯიაო". როგორც შევიტყვეთ, სამქულაჩამოკლებული კლუბის ხელმძღვანელობა ფედერაციაში სარჩელის შეტანას აპირებს — თუ ქულების ჩამოკლებით დასჯის მეთოდი უარყავით, მე რად დავიჩაგრეო. იმასაც ამბობენ, ახალი ფედერაციის მესვეურები ძველების ამ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევენ და თანახმანი არიან, ვიტელებს სამი ქულა დაუბრუნონო. „მერანი" და „ვიტ ჯორჯია" აღმავლობის გზაზე დგანან და გამართულ ფეხბურთს თამაშობენ. ასე რომ, მცხეთაში კარგი სანახაობა გველის.

შინ თამაშობენ ვერცხლის მედლებისთვის მებრძოლი „ტორპედო" და „ლოკომოტივი". ორივე გუნდს გამარჯვებისთვის ერთნაირი სტიმული ამოძრავებს, ეს შურისძიების გრძნობაა. „სამგურალისგან" თასის ნახევარფინალში გამწარებული რკინიგზელები ვაკეში რევანშის აღებას შეეცდებიან. ქუთაისელებს კი მწარედ ახსოვთ მეათე ჩემპიონატში გორში პირველი და თანაც დიდი ანგრიშით დამარცხების გემო. ორივე შეხვედრაში მასპინძლებს ვანიჭებთ უპირატესობას, რადგან მათ ქულების დაკარგვის უფლება არა აქვთ და მოედანზე მობილიზებულნი გავლენ. თუმცა აუტსაიდერთა ზონაში მყოფ წყალტუბოელებისთვისაც თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაედო. „დილა" კი ხასიათის გუნდია და მხოლოდ უფალმა უწყის, რა განწყობილებით ჩავლენ გორელები ქუთაისში.

სტუმართა მოგებებს უნდა ველოდეთ სამტრედიასა და ლანჩხუთში. „დინამოს" არ უნდა გაუჭირდეს იმერლების ძლევა და ოქროს მედლებთან კიდევ უფრო მიახლოება. თუმცა, თუ მოხდა სასწაული და მარადმა ჩემპიონებმა ქულები დაკარგეს, ეს, ალბათ, იებრიელი ტყუპების — ვასო და სოსო გიგიაძეების დამსახურება იქნება.

„გურია" „არსენალს" მასპინძლობს. არმიელების შესაძლო გამარჯვებაზე კი ახლახან გუნდში მომხდარმა სასიკეთო ძვრამ აგვალაპარაკა. ფეხბურთელებს კარგა ხნით დაგვიანებული ხელფასები დაურიგდათ და ფინანსურ კრიზისს ყადაღა დაედო.

ზღვისპირელები, ალბათ, დაგეგმილ სამ-სამ ქულას აიღებენ. „ბათუმი" წინა ტურში „მერანთან" დამარცხების მერე საკუთარი გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაციას „გორდაზე" ძლევით შეეცდება. იგივე ითქმის ბოლნისში ორი ქულის დამკარგველ „კოლხეთზეც". თუმცა დისკვალიფიცირებულ ფოთელებს ლანჩხუთში მოუწევთ ამის გაკეთება, თსუსთან შეხვედრაში.

და კიდევ. პირველ ჯგუფთან ერთად ნუ დაგვავიწყდება მეორეც.

დღეს ვანში, დასავლეთის ჯგუფის „ა" ქვეჯგუფის ლიდერი „სულორი" ზესტაფონის „მარგვეთს" მასპინძლობს. აბა, იქ ნახავთ თუ ნახავთ ტიტე ნატუტარივით „ბნელ-ბნელი" აზრებითა და ზღვარს გადასული ემოციებით დახუნძლულთ, რა თქმა უნდა, ერთობ დაძაბულ და ღირსეულ ორთაბრძოლასაც.

**ხვიჩა სანიკიძე**



ირაკლი იორდანიშვილის ფოტო

დავით ასლანაძე „ლოკომოტივთან" ხვალაც არგაშვებას შეეცდება

მცხეთა. „არმაზი". 30 აპრილი. 16 საათი

### ვიტ ჯორჯია — მერანი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ა. ქარქაშაძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე". 1 მაისი. 18 საათი

### იბერია — დინამო

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 30 აპრილი. 16 საათი".

### კოლხეთი — თსუ

მსაჯები: ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

ბათუმი. „დინამო". 1 მაისი. 18 საათი

### ბათუმი — გორდა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ქუთაისი. „გივი კილაძე". 1 მაისი. 18 საათი

### ტორპედო — დილა

მსაჯები: ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); თ. ხუქუა (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხანიაშვილი

ზუგდიდი. „ცენტრალური". 1 მაისი. 18 საათი

### ოდიში — სიონი

მსაჯები: ა. კრიჟაშვილი (თბილისი); პ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); თ. გიორგაძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

თბილისი. „26 მაისი". ვაკე. 1 მაისი. 18 საათი

### ლოკომოტივი — სამგურალი

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); [illegible]ნიკაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ლანჩხუთი. „ევგრაფი შევარდნაძე". 1 მაისი. 18 საათი

### გურია — არსენალი

მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

**XXVI ტური**

5 მაისი

არსენალი — კოლხეთი (2:3)

თსუ — ოდიში (1:1)

მერანი — იბერია (0:0)

დინამო — ლოკომოტივი (0:0)

სამგურალი — ტორპედო (1:3)

დილა — გურია (2:4)

სიონი — ბათუმი (0:1)

გორდა — ვიტ ჯორჯია (1:2)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 24 | 19 | 5 | 0 | 73:12 | +61 | 62 | 12 | 10 | 2 | 0 | 47:9 | +38 | 32 | 12 | 9 | 3 | 0 | 26:3 | +23 | 30 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 24 | 16 | 4 | 4 | 57:21 | +36 | 52 | 12 | 9 | 2 | 1 | 31:8 | +23 | 29 | 12 | 7 | 2 | 3 | 26:13 | +13 | 23 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 24 | 13 | 10 | 1 | 31:12 | +19 | 49 | 12 | 7 | 5 | 0 | 15:4 | +11 | 26 | 12 | 6 | 5 | 1 | 16:8 | +8 | 23 |
| 4 ბათუმი (2) | 4 | 24 | 10 | 9 | 5 | 33:17 | +16 | 39 | 12 | 7 | 4 | 1 | 24:6 | +18 | 25 | 12 | 3 | 5 | 4 | 9:11 | -2 | 14 |
| 5 კოლხეთი (3) | 5 | 24 | 11 | 5 | 8 | 49:35 | +14 | 38 | 12 | 8 | 1 | 3 | 32:12 | +20 | 25 | 12 | 3 | 4 | 5 | 17:23 | -6 | 13 |
| 6 მერანი (7) | 6 | 24 | 9 | 9 | 6 | 24:21 | +3 | 36 | 12 | 5 | 5 | 2 | 9:4 | +5 | 20 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:17 | -2 | 16 |
| 7 იბერია (დ) | 9 | 24 | 9 | 5 | 10 | 37:39 | -2 | 32 | 12 | 5 | 4 | 3 | 20:12 | +8 | 19 | 12 | 4 | 1 | 7 | 17:27 | -10 | 13 |
| 8 დილა (9) | 7 | 24 | 9 | 5 | 10 | 29:37 | -8 | 32 | 12 | 6 | 2 | 4 | 17:12 | +5 | 20 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:25 | -13 | 12 |
| 9 ვიტ ჯორჯია (10) | 8 | 24 | 10 | 4 | 10 | 29:23 | +6 | 31 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:11 | +5 | 17 | 12 | 5 | 2 | 5 | 13:12 | +1 | 17 |
| 10 არსენალი (დ) | 10 | 24 | 6 | 10 | 8 | 27:40 | -13 | 28 | 12 | 3 | 6 | 3 | 15:20 | -5 | 15 | 12 | 3 | 4 | 5 | 12:20 | -8 | 13 |
| 11 სამგურალი (12) | 11 | 24 | 7 | 3 | 14 | 22:43 | -21 | 24 | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | -6 | 13 | 12 | 3 | 2 | 7 | 12:27 | -15 | 11 |
| 12 თსუ (8) | 12 | 24 | 5 | 9 | 10 | 17:26 | -9 | 24 | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | -5 | 12 | 12 | 2 | 6 | 4 | 5:9 | -4 | 12 |
| 13 გორდა (11) | 13 | 24 | 5 | 9 | 10 | 20:34 | -14 | 24 | 12 | 4 | 5 | 3 | 14:15 | -1 | 17 | 12 | 1 | 4 | 7 | 6:19 | -13 | 7 |
| 14 სიონი (13) | 15 | 24 | 5 | 6 | 13 | 20:43 | -23 | 21 | 12 | 4 | 5 | 3 | 14:13 | +1 | 17 | 12 | 1 | 1 | 10 | 6:30 | -24 | 4 |
| 15 ოდიში (5) | 14 | 24 | 6 | 2 | 16 | 18:45 | -27 | 20 | 12 | 4 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 13 | 12 | 2 | 1 | 9 | 6:26 | -20 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 24 | 3 | 3 | 18 | 23:61 | -38 | 12 | 12 | 3 | 1 | 8 | 16:27 | -11 | 10 | 12 | 0 | 2 | 10 | 7:34 | -27 | 2 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

# საიდუმლო სერობა კამპ ნოუზე

ოთხშაბათს დილით მადრიდის „რეალის“ უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ესპანელ ჟურნალისტებთან კლარენს ზეედორფის თაობაზე ისაუბრა. ტოშაკის გუნდში მისვლის შემდეგ, მასსა და ჰოლანდიელ ნახევარმცველს შორის გამუდმებული უთანხმოებებია. მწვრთნელი გაიძახის, რომ ფეხბურთელი თავის შესაძლებლობებში ზედმეტად არის დარწმუნებული, ხოლო ზეედორფის თქმით, უელსელი მისთვის უხერხულ ადგილას, ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე აყენებს, არადა ჰოლანდიელს, თურმე გამთამაშებლობა უფრო ეხერხება. ჰოდა, კონფლიქტმა ოთხშაბათს დილით კიდევ ერთხელ იფეთქა. კერძოდ, ტოშაკმა თქვა:

— ზეედორფი ფეხბურთზე ვერ აკეთებს კონცენტრაციას, სულ სხვა რაღაცეებზე ფიქრობს. მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე აკეთებს, რაც ყველაზე მეტად სამწუხაროა. რა მნიშვნელობა აქვს, მარჯვენა ფლანგზე იქნება თუ ცენტრში, შედეგი მაინც არ ჩანს. ამ ნიჭიერი ფეხბურთელით საშინლად იმედგაცრუებული ვარ.

მადრიდულ კლუბში დიდი რეფორმებია მოსალოდნელი. „რეალის“ უფროსობამ გაძლიერების პროგრამა შეადგინა, რომლის ერთ-ერთი პუნქტიც, არც მეტი, არც ნაკლები, ზეედორფის თავიდან მოშორება გახლავთ. მთელი სეზონის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა სააგენტოები ავრცელებენ ინფორმაციებს ჰოლანდიელის შესაძლო გაყიდვის შესახებ. ბოლო ცნობით, მისი შეძენა იტალიურ გიგანტებს, რომის „ლაციოს“ და ტურინის „იუვენტუსს“ მონდომებიათ. ფასი — 15 მილიონი დოლარი...

ოთხშაბათს საღამოს, ბარსელონის „კამპ ნოუზე“ გამართულ ზეიმზე, რომელიც კატალონიური კლუბის საუკუნოვან იუბილეს ეძღვნებოდა, ორი პიროვნება გამოჩნდა მიამიტი გამომეტყველებით. ისინი ლოჟაში გვერდიგვერდ დასხდნენ და „ბარსელონა“ — ბრაზილიის დაწყების მოლოდინში მეგობრული ბაასი გააბეს. ამაში თითქოს ალსანიშნავი არაფერი უნდა იყოს, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ეს მეგობრული ბაასი კი არა, საიდუმლო სერობა ყოფილა.

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის, ლორენსო სანსის და ტურინის „იუვენტუსის“ ვიცე-პრეზიდენტის, რობერტო ბეტეგას დიალოგის წვრილმანები უცნობია. თუმცა თემა უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო.

მოლაპარაკება თურმე ფეხბურთელთა გაცვლა-გამოცვლის შესახებ მიმდინარეობდა. ვიყოთ უფრო ზუსტნი — ბეტეგამ სანსს სრულიად „იუვენტუსის“ დიდი სურვილი, კლარენს ზეედორფის ტურინულ კლუბში გადაბირება შესთავაზა. სანსის პასუხი მეტად საქმიანი გახლდათ — 19,16 მილიონი დოლარი ჩამოყაჭე და ეგ ბიჭი სადაც გინდა, იქ წაიყვანეო. ცბიერმა იტალიელმა კონტრპასუხი მიახალა — კი გვაქვს ამდენი, მაგრამ არ აჯობებს, პაოლო მონტეროს დაგითმობთ და ცოტა ფულს კიდევ დაგიმატებთო. სანსი დაფიქრდა და თუ რა გადაწყვიტა, არავინ იცის.

სერობა ამით არ დასრულებულა. ჩაფიქრებულმა სანსმა ზინედინ ზიდანის სახელი ახსენა და ახლა ბეტეგამ



კლარენს ზეედორფი

მიიღო მოაზროვნის სახე. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ პლანეტის უძლიერესმა ფეხბურთელმა ასე თქვა, ჩემს ანდალუზიელ ცოლს ესპანეთში დაბრუნება სურს და წინ ვერ აღვუდგები, იქ უნდა გავაგრძელო კარიერაო. ამის მერე „იუვენტუსმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წააგო და ზიდანიც კვლავ გამოჩნდა ავანსცენაზე — გუნდს გასაჭირში ვერ მივატოვებ, ერთი წელიც აუცილებლად უნდა დავრჩე ტურინში — თქვა ფრანგმა.

„კამპ ნოუს“ ლოჟაში დავბრუნდეთ. დაძაბული სიჩუმე სანსმა დაარღვია, ჰა, ჯანი გავარდეს, ან რობერტო კარლოსს დაგითმობ, ან პრედრაგ მიატოვიჩს, ზევიდან 13 მილიონ დოლარსაც დავამატებ და გამოუშვი ზიდანი მადრიდში, მეტი რაღა გითხრაო.

ბარსელონური საიდუმლო სერობა ჩვენთვის ამით სრულდება. შეთანხმდნენ თუ არა რამეზე სანსი და ბეგეტა, ესეც უცნობია. ისე, ვაჭრობამ იმ დონეს მიაღწია, სარგებელს ორივე ნახავდა. ამ ხალხმა ხომ ყველაზე კარგად უწყის, რომ დრო — ფულია!

დავით ქოვზირიძე

ჰოლანდიაში გასულ კვირას „ფეიენოორდისა“ და „ბრედას“ თამაშის შემდეგ ამტყდარ დიდ ჩხუბზე უკვე ვწერდით, მაგრამ ისტორიას გაგრძელება მოჰყვა: როტერდამის სასამართლოს წინაშე ოთხშაბათს რვა ბრალდებული წარსდგა, ხუთშაბათს კი შვიდი. ამ თხუთმეტი ადამიანის ბედს მოსამართლეები საფუძვლიანად განიხილავენ და ვერდიქტს, ალბათ, 6 მაისს გამოიტანენ. ქალაქის მერია კი ახლა დღევანდელზეც ნერვიულობს. ჰოლანდიის დედოფლის დღის გამო საყოველთაო ზეიმია და ისე როგორ იქნება ლაზათიანი თავ-პირის მტვრევა არ ატყდეს. კვირის ჩხუბში მონაწილეთაგან კი 68 გაანთავისუფლეს — მათ განსაკუთრებული არაფერი გაუფუჭებიათ, უბრალოდ იხულიგნეს და ამ უბრალო ხულიგნობისთვის წვრილ-წვრილად დაჯარიმდებიან. საკუთრივ პოლიციამ იმ დღეს ხალხის დასაშოშმინებლად ცეცხლსასროლ იარაღსაც მიმართა და ოთხი კაცი დაჭრა. საბოლოო მონაცემებით, „ფეიენოორდის“ გაჩემპიონებას („ბრედასთან“ 2:2 ითამაშა, მაგრამ ერთი ქულა ყოფნიდა) 50 ათასიანი ზეიმი მოჰყვა, მაგრამ მოზეიმეთაგან 150-200 ახალგაზრდა პოლიციასთან ბრძოლის იშტაზე მოვიდა და ჩხუბის ეშხში შესულებმა მაღაზიათა ვიტრინებიც ჩალეწეს. როტერდამის პოლიციის შეფებმა აღარ იციან რა გზას დაადგნენ. იმასაც კი ამბობენ, ამდენი ჩხუბის გაძლება აღარ შეიძლება და ხალხისთვის ტყვიის სროლის ოფიციალურ ნებართვას ვითხოვთო. ტყვიის სროლა, ალბათ, მეტისმეტია, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ ქალაქის პატრონებს მოთმინების ფიალა აევსოთ: ოთხშაბათს არნემში ჩატარებული ჰოლანდიისა და მაროკოს ამხანაგური მატჩის შემდეგ (1:2), როტერდამში 200-მა მაროკოელმა იჩხუბა.

**ბულგარეთის თასის ნახევარფინალის პირველი თამაშები. ლოკომოტივი — ლიტექსი 0:0, ცსკა — ლევსკი 1:0. საპასუხო მატჩები 12 მაისს გაიმართება.**

ისრაელის თასის მეოთხედფინალი. კფარ სავას ჰაპოელი — თელ ავივის ჰაპოელი 0:3, ჰაიფას მაკაბი — იერუსალიმის ბეითარი 1:1 (1:5 დ.დ.), ფეთაჰ თიქვას ჰაპოელი — ჰენზლიას მაკაბი 1:0, ბენი იეჰუდა — ჰაიფას ჰაპოელი 3:2. კენჭისყრის შედეგები: ბეითარი — ბენი იეჰუდა; თელ ავივის ჰაპოელი — ფეთაჰ თიქვას ჰაპოელი. თამაშები 4 მაისს გაიმართება.

**იაპონური „ჯუბილო ივატა“ გახდა ჯეი ლიგის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც აზიის საკლუბო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. „ჯუბილო ივატას“ წარმატებამ იაპონელ გულშემატკივარს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ესპანეთთან 0:4 წაგების შემდეგ გუნება გამოუკეთა. იაპონური კლუბის მოწინააღმდეგე, ნახევარფინალში, არაბთა გაერთიანებული საემიროების გუნდი „ალ აინი“ გახლდათ. გამარჯვებული პენალტებმა გამოავლინა — 4:2. არაბთა პენალტისტებიდან მიზანს ცნობილმა, აბედი პელემ და რაშიდ დაოუდიმ ააცილეს. მანამდე კი იყო ძირითადი და დამატებითი დრო, რომელიც 2:2 დასრულდა. მეტოქეებმა დამატებითი დროის ოქროს გოლის წესით ვერ ისარგებლეს. „ჯუბილო ივატას“ მეტოქე ფინალში იქნება ირანული გუნდი „ესტეგლალი“, რომელმაც სწორედ ოქროს გოლით დაამარცხა ჩინეთის „დალიან ვანდა“ 4:3 და მეოთხედ მოიპოვა კონტინენტის საკლუბო ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრაში თამაშის უფლება. 1970 და 1990 წლებში „ესტეგლალმა“ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1991 წელს კი დამარცხდა. „ესტეგლალის“ და „დალიან ვანას“ შეხვედრაში, რომელსაც 70 ათასი გულშემატკივარი ესწრებოდა, თავიდან „ესტეგლალი“ დაწინაურდა — 2:0, მაგრამ შეუპოვარმა ჩინელებმა ძალ-ღონე მოიკრიბეს და სამი საპასუხო გოლის გატანა შეძლეს. თუმცა გაირკვა, რომ შეუპოვრობით არც ირანელები არიან ნაკლები ბიჭები.**

ჩეხმა მწვრთნელმა, დუშან უჰრინმა, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩეხეთის ნაკრებმა 1996 წელს ევროპის ვიცე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ისრაელის „ჰაიფა მაკაბისთან“ დადებული ორწლიანი კონტრაქტი შუა გზაში გაწყვიტა. მიზეზი მარტივია და საფეხბურთო მწვრთნელთათვის ნაცნობი — ცუდი შედეგები. „უჰრინი ჰაიფელთა პრეზიდენტს იაკოვ შაჰარს შაბათს შეხვდა და თანამდებობიდან განთავისუფლება სთხოვა. პრეზიდენტმა დასტური მისცა“ — განაცხადა „მაკაბის“ პრესმდივანმა გილ ლევანონიმ, თავად უჰრინმა კი წასვლის წინ ოპტიმისტური სიტყვა დაიბარა: „ჩემპიონატში წინ კიდევ ხუთი ტურია და თუ საქმე აეწყობა, სულაც არაა გამორიცხული, რომ გუნდმა მეორე ადგილი მოიპოვოს“. აღსანიშნავია, რომ ჩეხ მწვრთნელს ისრაელის ფეხბურთში კარგი კვალიც აქვს დატოვებული. „მაკაბიმ“ მისი ხელმძღვანელობით თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში ითამაშა, ასეთი წარმატება კი ამ ქვეყნის კლუბებს არასდროს ჰქონიათ. ხსენებულ ნახევარფინალში უჰრინის გუნდმა მოსკოვის „ლოკომოტივთან“, ქართველთა საამაყოდ კი ზაა ჯანაშიას ჰეთ თრიკთან დაყარა ფარ-ხმალი. ჯერჯერობით უჰრინის საქმეს მისი ნაასისტენტარი, დანიელ ბრაილოვსკი იტვირთავს, მაგრამ ბრაილოვსკის „მაკაბიში“ პერსპექტივა არ გააჩნია. ცნობილია, რომ ის სეზონის ბოლოს გუნდიდან უნდა წავიდეს. ამბობენ, რომ მომავალი სეზონიდან ჰაიფელებს ისრაელის ეროვნული გუნდის ახლანდელი მწვრთნელი შლომო შარფი ჩაუდგება სათავეში. პრესაში გავრცელებული ხმების თანახმად შარფი 2000 წლამდე (ნაკრებთან კონტრაქტის ვადაა) ორივე გუნდს გაუწევს ხელმძღვანელობას.

**ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი „კაშიმა რეისოლში“ თამაშობს, იუგოსლავიელი დრაგან სტოიკოვიჩი კი „ნაგოია გრამპუს ეითში“. მსოფლიოს ჩემპიონატის ვეტერანთა გუნდები იაპონური ჯეი ლიგის მორიგი ტურის შეხვედრაში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ძირითადი დრო 0:0 დასრულდა, ხოლო ოქროს გოლიანი დამატებითის მეორე ტაიმის მეორე წუთზე 33 წლის ბულგარელმა ვარსკვლავმა ცნობილი ცაციით შეხვედრას წერტილი დაუსვა. სტოიჩკოვმა ამ სეზონში „კაშიმას“ შემადგენლობაში ექვსი თამაში ჩაატარა და მეორე გოლი შეაგდო, ხოლო მას მერე, რაც სოფიის ცსკ-დან ამომავალი მზის ქვეყანას მიაშურა, 22 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო ბურთს მოწინააღმდეგის კარის ხაზი ათჯერ გადააკვეთინა.**

ბრაზილიელი გარემარები სავიო ჩივის, მადრიდის „რეალში“ ცუდად მეპყრობიანო. სავიოს ჩივილი ამ კვირაში მესამეა. ჯერ იყო და იუგოსლავიელმა პრედრაგ მიატოვიჩმა გამოთქვა უკმაყოფილება, მერე ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა, ახლა სავიომ. სამივეს ერთი საწუხარი აქვს: სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. სხარტ ბრაზილიელ გარემარბს მართლა სეზონის დასაწყისში სასაყვედურო არაფერი ჰქონდა, მაგრამ დეკემბრის მერე ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით მოიკიდა ფეხი. „ზოგი ფეხბურთელი ზედიზედ ხუთ თამაშს ვერ ატარებს კარგად და მაინც მოედანზეა, მე კი მართალია მადრიდში თავს კარგად ვგრძნობ, კლუბში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა აღარ შემიძლია“.

## საფრანგეთი

### თასის ნახევარფინალი

**ნანტი 1:0 ნიმი (II)**

1:0 სავინო (77)

ნანტი: ლანდრო, შანელე, დეკრუა, ფაბრი (ჟილე 50), სავინო, კარიერი, პიოსელი, ოლემბე, და როშა, სიუფო (დეროფი 85), მონტერუბიო

ნიმი: კარვა, დარმონი, შარპენე, ეკერი, სუკასი, ვოზალო, ბელბეი (ფრიიო 68), სტრზელკზაკი, ლორე (ლამპერერი 82), საკო, მარქსი (მენდი 64)

„საფრანგეთის თასის ნახევარფინალის იოლად მოგება არ შეიძლება. „ნიმთან“ გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდა. მეტოქე თავის ნახევარს თითქმის არ სცილდებოდა, მთელი ძალებით საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. ამიტომაც პირველ ტაიმში თითქმის არ გვქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა. შესვენების შემდეგ ფლანგების აქტიურად გამოყენება დავიწყეთ, რის ხარჯზეც მოწინააღმდეგის დაცვა შედარებით გაიწელა და ჩვენს თავდამსხმელებსაც მეტი გასაქანი მიეცათ“ — თქვა ფინალში გასვლის შემდეგ „ნანტის“ მწვრთნელმა რეინალდ დენუემ.

# ფინალში!



REUTERS ნანტიდან

ნანტელი ნიკოლა სავინო მეტოქის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

„ნიმმა“ დაცვითი ტაქტიკით კი ითამაშა, მაგრამ რამდენჯერმე მწვავე კონტრშეტევაც განახორციელა. თამაში ახალდაწყებული იყო, როცა ბელბეის ჩაწოდება-დარტყმამ მასპინძელთა კაპიტან ლანდროს გვარიანი შიში აჭამა. პირველ ორმოცდახუთ წუთში ამის გარდა კიდევ ორად ორი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ორივე სტუმართა კართან. 33-ე წუთზე სიუფოს დარტყმული კარვამ გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე. 45-ე წუთზე კი იმავე სიუფოს მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ ბურთი მილიმეტრებში ასცდა კარს.

მეორე ტაიმში „ნანტს“ თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნა და მის ფეხბურთელებსაც რამდენჯერმე შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ „ნიმის“ მეკარე და დაცვა თავდადებულად თამაშობდნენ და საქმის პენალტებამდე მიყვანასაც იმედოვნებდნენ. 77-ე წუთზე კი და როშას მშვენიერი პასის შემდეგ ახალგაზრდა ნახევარმცველმა სავინომ სტუმართა „სტად დე ფრანსზე“ თამაშის იმედები გააქარწყლა.

„ძნელი მატჩი მოვიგეთ. ძალიან მიხარია, როცა ვფიქრობ, რომ ფინალში გავედით და „სტად დე ფრანსზე“ ვითამაშებთ. იმედი მაქვს, თასს ჩვენ დავეუფლებით, თუმცა „სედანი“ ხელწამოსაკრავი გუნდი ნამდვილად არ არის“ — განაცხადა „ნანტის“ მეკარე მიკაელ ლანდრომ.

მართლაც არ ცდება ლანდრო, როცა მეორედივიზიონელ „სედანს“ იოლ მეტოქედ არ თვლის. გაისად თასის ფინალისტები ხომ, ალბათ, ერთმანეთს ჩემპიონატის მატჩებშიც შეხვდებიან. არა, „ნანტს“ ნამდვილად არა აქვს საქმე გასავარდნად (მე-7 ადგილზეა). უბრალოდ, „სედანს“ ძალიან დიდი შანსი აქვს პირველი დივიზიონის კარი შეაღოს, რადგან გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზეა და მეოთხე ადგილოსან „ლილს“ საკმაოდ უსწრებს (სულ სამი გუნდი გადადის პირველ დივიზიონში), ჩემპიონატის დამთავრებამდე კი მხოლოდ ოთხი ტურილა დარჩა.

გაიოზ თალაქვაძე

## ამხანაგური მატჩები



REUTERS ათენიდან

საბერძნეთი — შვეიცარია 1:1. ბერძენი ანატოლაკისის (№4) და შვეიცარიელი კომიზეტის (№11) დუელი

### საბერძნეთი 1:1 შვეიცარია

0:1 ჰაასი (20), 1:1 გეორგატოსი (57)
საბერძნეთი: ატმაციდისი (ელეფტეროპულოსი 46), მავროგენიდისი, უზუნიდისი, ანატოლაკისი, კასარისი, ჯანაკოპულოსი (ციკოსი 80), პურზანიდისი (ზაგორაკისი 46), ნინიადისი (ფრანცესკოსი 46), გეორგატოსი, ლიბეროპულოსი, კიპარიზისი (კონსტანტინიდისი 32)
შვეიცარია: ბრუნერი (ჰუბერი 46), მიულერი, ჰოდელი, ვოლფი, ჰაასი, სფორცა, ფოგელი, ფურნიე (დი ჯორიო 75), სესა (ვისი 85), შაპუიზა (რეი 79), კომიზეტი
მსაჯი: მენდესი (პორტუგალია)

მატჩის წინა ღამეს ათენში იმ სასტუმროს წინ, სადაც შვეიცარიის ეროვნული ნაკრები იყო დაბანაკებული, ტერორისტული აქტი მოხდა. ბომბის აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთიც მძიმედ დაშავდა. ამ ამბავმა შვეიცარიელები ერთობ შეაშფოთა, მიუხედავად იმისა, რომ ტერორი მათ წინააღმდეგ არ ყოფილა მიმართული. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამავე სასტუმროში ყოფილან დაბინავებული საერთაშორისო ეკონომიკური სიმპოზიუმის მონაწილენი. პოლიციის ცნობით, ტერორისტებმა სწორედ ისინი ამოიღეს მიზანში.

ამ ფაქტის შემდეგ მატჩის გადადებაზეც ითქვა, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც ჩატარდა.

საერთოდ, საბერძნეთის ნაკრების შეხვედრები ათენში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა, მაგრამ ევროპის შესარჩევი ეტაპზე (ბერძნები, შეგახსენებთ, ჩვენს ქვეჯგუფში არიან) ბოლოდროინდელი წარუმატებელი თამაშის შემდეგ ნაკრებისადმი ინტერესი აშკარად დაიკარგა. ახლაც ოლიმპიურ სტადიონზე გამართულ შეხვედრას სულ 1500 ქომაგი დაესწრო. შინ დარჩენილთ სანანებელი არაფერი ჰქონიათ, რადგან თამაში არც ისე კარგი სანახავი გამოდგა. სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და მე-20 წუთზე ანგარიშიც გახსნეს. თავი მიხეილ ყაველაშვილის თანაკლუბელმა, „გრასჰოპერში" მოთამაშე ბერნდ ჰაასმა გამოიჩინა. მალე შვეიცარიელებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ კომიზეტის დარტყის შემდეგ მასპინძლები ხარიხამ იხსნა. მეორე ტაიმში ბერძნების ერთ-ერთ იშვიათ შეტევას სტუმართა კარში საპასუხო გოლი მოჰყვა, მე-58 წუთზე გეორგიატოსის დარტყმულმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — ფრე 1:1.

### სლოვენია 1:1 ფინეთი

0:1 პაატელაინენი (22პ), 1:1 ზაჰოვიჩი (61პ)

### ჰოლანდია 1:2 მაროკო

0:1 პაჯი (59), 0:2 ბასირი (69), 1:2 ვან ნისტელროოი (90)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, ვან გასტელი, ვან ჰინტუმი, ზეედორფი (მულდერი 80), ბუსატა (ვინტერი 65), ვან ბრონკჰორსტი, მოლსი, ვან ნისტელროოი, ოვერმარსი (ვან ფოსენი 46)
მაროკო: ფუამი, აბრამი, როსი, ნაიბეტი, ელ ჰადრიუ, რამზი (სელამი 90), ელ ხალეჯი, ჩიპო (ჩიბა 76), ჰაჯი, ბასირი (ზერუალი 87), ჰადა

— მაროკოელები უფრო მობილიზებულები, აგრესიულები და მიზანმიმართულები იყვნენ. ჩვენ პირიქით, ნელა ვმოძრაობდით და ბურთს ხშირად ვკარგავდით. ამას შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემები დავუმატოთ და ჩვენი დღევანდელი მარცხის მიზეზები გასაგები გახდება — ჰოლანდიელთა თავკაცმა ფრენკ რაიკარდმა გუნდში მისვლის შემდეგ პირველად წააგო და ბუნებრივია, უხასიათოდ იყო.

არნემში ჩასული 7 ათასი მაროკოელი ქომაგი თანამემამულეთა უპირატესობის მომსწრე გახდა, თუმცა პირველ ტაიმში სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს ედვინ ვან დერ სარს. აი, მეორე ნახევარში კი აფრიკელთა უპირატესობა შედეგშიც გამოიხატა. ანგარიში 1998 წლის შავი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელმა, მუსტაფა ელ ჰაჯიმ გახსნა. მაროკოს ნაკრებისა და ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას" ნახევარმცველმა ადილ რამზისთან („ტილბურგის" ლეგიონერი, რომელმაც უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში თბილისში „დინამოს" ულამაზესი გოლი გაუტანა) კედელი გაითამაშა და ვან დერ სარს აულებელი დაურტყა.

ზუსტად ათ წუთში მეორე „დეპორტივოელმა" სალეჰადინ ბასირმა გაიხარა. მან ჰაჯის კარგი პასით და ჰოლანდიელი მცველების შეცდომით ისარგებლა და მაროკო ორი ბურთით დააწინაურა.

ყველაფერ ამას მასპინძელთა გამოფხიზლება და მწვავე შეტევები მოჰყვა. თუმცა რაიკარდის შეგირდებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს. თავი ეინდჰოვენელმა ფორვარდმა, ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირმა რუუდ ვან ნისტელროოიმ გამოიჩინა მარკ ვან ჰინტუმის „ქროსის" შემდეგ.

— ბურთის შეგდება ძალიან გამიხარდა, მაგრამ თავს მაინც ცუდად ვგრძნობ, ჩვენ ხომ დავმარცხდით — იტყვის ნამატჩევს ვან ნისტელროოი.

— მომეწონა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, კმაყოფილი დავრჩი დაცვაში კის ვან ვონდერენის თამაშით, ეს იყო და ეს. ამ მატჩმა კარგად დაგვანახა, რომ უბრძოლველად დღეს ქუჩის გუნდსაც ველარ მოუგებ — კვლავ რაიკარდი.

ბუნებრივია, კამყოფილი იყო სტუმართა ფრანგი დამრიგებელი ანრი მიშელი, განსაკუთრებით მცველებმა მაიამოვნესო, თქვა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ზემოხსენებულ მაროკოელ ქომაგთა ბანაკს დაახლოებით ორასი კაცი გამოეყო. ეს ჯგუფი არნემთან ახლოს მდებარე როტერდამს ეწვია და ხულიგნობას მიჰყო ხელი. პოლიციის რაზმებმა სტუმრების დაშოშმინება მხოლოდ ღამის 4 საათისთვის მოახერხეს. სამართალდამცავთა ცნობით, არავინ დაშავებულა.

### გერმანია 0:1 შოტლანდია

0:1 ატკინსონი (65)
გერმანია: ლემანი, ნოვოტნი, მათეუსი, ვიორნსი, შტრუნცი (იანკერი 86), ჰამანი (ბალაკი 57), იერემისი (რამელო 46), ჰაინრიხი, ნოივილი, ბირჰოფი (კირსტენი 57), ჰელდტი
შოტლანდია: სალივანი, ვეირი, ჰენდრი (რიჩი 66), ბოიდი, ჯემილი (ჯესი 57), დურანტი (ვინტერსი 72), ლამბერტი (კამერონი 84), ჯონსონი (ონილი 86), დავიდსონი (უაიტი 79), ატკინსონი, დოდსი

1959 წლის მაისში შოტლანდიელებმა გლაზგოში გერმანელებს 3:2 რომ მოუგეს, მას შემდეგ ასეთი რამ აღარ ჩაუდენიათ. და აი, ოთხშაბათს ნავსი გატყდა. თანაც როგორ — სქოთებმა სახელოვან მეტოქეს მისივე სარბიელზე, ბრემენში სძლიეს.

და კვლავ დაიძრა გერმანიაში ანტირიბეკული ტალღა. საზოგადოება მხცოვანი მწვრთნელის თანამდებობიდან გაშვებას ითხოვს. სამართლიანადაც, ვინაიდან სტუმრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებს ყველაფრით სჯობდნენ — სათამაშო დისციპლინით დაწყებული, ჯიგრით დამთავრებული.

— ვერ ვიტყვი, რომ დღეს იდეალურად ვითამაშეთ, მაგრამ მეტოქეს რომ ვაჯობეთ, ფაქტია. მართალია, მათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ არც ჩვენ ჩავსულვართ ბრემენში სრული შემადგენლობით. ასე რომ, დამსახურებულად მოვიგეთ — ამბობდა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა მთავარი მწვრთნელი კრეიგ ბრაუნი.

თავს იმართლებდა მისი გერმანელი კოლეგა ერიხ რიბეკი — შოტლანდიელებმა, უბრალოდ, ცოტათი გვაჯობეს. ამაში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ. ვფიქრობ, დღეს ჩვენი ნაკლოვანებები გამოჩნდა, რასაც მალე აღმოვფხვრით კიდეც. ამხანაგური მატჩის მთავარი დანიშნულება ხომ ეს არის. ერთი სიტყვით, მშვენიერი შეხვედრა იყო მომზადების თვალსაზრისით.

მასპინძელთა თავკაცმა ახალწვეულებიც შეაქო — ჰორსტ ჰელდტი, რომელმაც, რიბეკის თქმით, ღირსეულად შეცვალა ბრემენელი მარკო ბოდე და „კაიზერსლაუტერნის" წევრი მიხაელ ბალაკი.

ერთადერთი გოლი, რომელსაც დიდი შანსია, ზემოთმოსაუბრე პიროვნება შეეწიროს, შოტლანდიის ნაკრებში მეორედ მოთამაშე დონ ჰაჩისონმა გაიტანა საჯარიმოს სიახლოვიდან. საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ სტადიონზე 15 წუთით შუქი გამოირთო.

### ხორვატია 0:0 იტალია

პაოლო მალდინიმ, იტალიის ნაკრების კაპიტანმა ქვეყნის პირველ გუნდში საიუბილეო, მეასე შეხვედრა ჩაატარა. „მილანის" მცველს ცოტა დააკლდა, ღირშესანიშნავ მატჩში გოლიც გაეტანა, მაგრამ არ გაუმართლა, თუმცა:

— სასიამოვნოა, როცა ამდენს აღწევ. ხორვატებთან თამაში სამუდამოდ დამამახსოვრდება. ნაკრებში ასი მატჩის ჩატარება თვითმიზნად არასდროს გამიხდია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „სკუადრა აძურაში" ჩატარებული მეასე მატჩი რიგითი მოვლენა იყო. სასიხარულოა, როცა განვლილ წლებს გაიხსენებ, მთელი ცხოვრების გზას თვალს გადაავლებ — პაოლო მალდინი შეხვედრის შემდგომ ჟურნალისტებსაც გაესაუბრა.

24-ე წუთი იყო. იტალიელები უტევდნენ. კრისტიან პანუჩიმ მარჯვნიდან საჯარიმოში ბურთი ჩაჰკიდა, იქ კი მალდინიმ მცველს დაასწრო და ბურთს პირველი შეეგება. ხორვატთა მეკარე დაჟენ ლადიჩს ძელმა უშველა...

მთლიანობაში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თამაში გახლდათ. ხან ერთნი უტევდნენ, ხან მეორენი, გოლი კი არ გადიოდა. იყო მომენტები თავდამსხმელები სცოდავდნენ, მეკარეებიც რთულ ბურთებს იგერიებდნენ...

იტალიის ნაკრებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. ხორვატთა შორისაც იყვნენ ახალბედები. ისე, მასპინძელთა ნაკრებს აშკარად ეტყობოდა ზვონიმირ ბობანის, დავორ შუკერის და კიდევ რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის არყოფნა.

— ამხანაგური მატჩები ოფიციალურ შეხვედრებში შედეგიანად სათამაშოდ უნდა გამოვიყენოთ. გუნდის გადახალისებას ვცდილობ და ამას თქვენც შეამჩნევდით. ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება. იქ კი აუცილებლად მაღალ შედეგებს უნდა მივაღწიოთ — დინო ძოფს რაიმე ახალი არ უთქვამს. ამას თითქმის ყველა ნაკრების მწვრთნელი ამბობს ყოველი შეხვედრის შემდეგ.

იტალიის ნაკრებმა კვლავ ფრედ ითამაშა. გასაკვირია — რაც გუნდს დინო ძოფი წვრთნის, აპენინელებს ამხანაგური მატჩი არ მოუგიათ, თუმცა არც დამარცხებულან — ესპანეთთან, ნორვეგიასთან და აგერ ხორვატიასთან იტალიელებმა ფრედ ითამაშეს. ცხადია, ამხანაგური თამაშების ჩამონათვალში არ ვგულისხმობთ იტალიის დაპირისპირებას მსოფლიოს ნაკრებთან, რომელიც უფრო შოუ გახლდათ, ვიდრე თამაში. რაც შეეხება იტალიელთა დაუმარცხებელ სვლას, „სკუადრა აძურა" მას შემდეგ უძლეველია, რაც მსოფლიოს ჩემპიონატამდე შვედებთან წააგო, ეს ძლევამოსილი სერია კი აგერ უკვე 13 თამაშს ითვლის.

### დანია 1:1 ს. აფრიკა

1:0 სანდი (40), 1:1 მოშოუ (72)
დანია: შმაიხელი, კოლდინგი, ჰენრიკსენი, ჰელვეგი (ფრედრიკსენი 85), ჰაინცე, ტოფტინგი, გრავესენი (სტინ ნილსენი 78), დალ ტომასონი (გოლდბეკი 60), გრონკიაერი (შონბერგი 78), იორგენსენი (მოლნარი 60), სანდი
ს. აფრიკა: ვონკი, ფიში, ისა, რადებე (მოკოენა 90), ნიატი, ფორტუნი (მოშოუ 58), მნგომენი, მკალელე, ხუმალო, ნდლენია (მუკანსი 81), მასინგა

პეტერ შმაიხელის შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა ის, რომ დანიამ, სამხრეთ აფრიკის მასპინძელმა ამხანაგური მატჩში, ფრედ 1:1 ითამაშა. „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე შეუდარებელი გახლდათ.

შმაიხელი იმ დღეს ნაკრებში 110-ედ თამაშობდა. მისი მოქმედება კაცს აფიქრებინებდა, ამ გიგანტი მეკარეს უკან უდიდესი, წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილებააო. ის, რომ სამხრეთ აფრიკამ დანია ვერ დაამარცხა, სწორედ შმაიხელის დამსახურებაა.

პირველი ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთი იყო დარჩენილი, როცა დანიამ ანგარიში გახსნა — „ბრონდბიუს" თავდამსხმელი ებე სანდი, გერმანიაში, ბუნდესლიგის კლუბ „ჰამბურგში" მოთამაშე ტომას გრავესენის ჩაწოდებულ ბურთს პირველი გამოეხმაურა და ანგარიშიც გახსნა. აფრიკელი მცველები აშკარად შეცდნენ — სანდს ხელი ვერავინ შეუშალა.

პირველ ტაიმში სამხრეთაფრიკელთა ყველაზე რეალური საგოლე მომენტი სერია A-ში, კერძოდ კი „ბარიში" მოთამაშე ფილემონ მასინგას მიეცა, თუმცა მის მიერ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი შმაიხელმა შესანიშნავი ნახტომით მოიგერია.

დანიელთა პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა მასპინძელთა მწვრთნელმა „უდინეზეს" ნახევარმცველი მარტინ იორგენსენი „სევილიას" თავდამსხმელ მიკლოშ მოლნარით შეცვალა. სტუმრებს ნახევარდაცვის დაპყრობა არ გასჭირვებიათ და მალე რამდენჯერმე სახიფათო შეტევაც განახორციელეს, რომელთა სულისჩამდგმელი — პოლენ ნდლენია და დოქტორ ხუმალო იყვნენ.

მალე დანიამ გოლი გაუშვა — შეცვლაზე შესულმა ჯონ მოშოუმ დაახლოებით 20 მეტრიდან უძლიერესად



REUTERS ბრემენიდან

გერმანია — შოტლანდია 0:1. ბილი დოდსი (№7) გერმანელი იენს ნოვოტნის შეჩერებას ცდილობს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

და რაც მთავარია, ზუსტად დაარტყა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში ბაფანა ბაფანელი მასინგა დანიელთა საჯარიმოში შეიჭრა, თუმცა შმაიხელმა კიდევ ერთხელ იმარჯვა.

### უნგრეთი 1:1 ინგლისი

0:1 შირერი (22პ), 1:1 პრუტკა (79)

1981 წლის შემდეგ უნგრეთი რვაჯერ შეხვდა ინგლისს და ოთხშაბათამდე გოლი ვერ გაჰქონდა. 28-ში ნავსი გატყდა — ტანმაღალმა იანუშ ჰრუტკამ შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ალან შირერის პირველ ტაიმში გატანილ პენალტს უპასუხა.

ინგლისელები უნგრეთს ექსპერიმენტული შემადგენლობით ესტუმრნენ — ნაკრების დროებითმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა ქვეყნის ეროვნული გუნდის ღირსების დაცვის შესაძლებლობა პირველად მისცა ხუთ ფეხბურთელს და დებიუტანტებმაც არ უმტყუნეს.

ლივერპულელი ჯეიმი კარაგერი, სანდერლენდელები კევინ ფილიპსი და მაიკლ გრეი, მანჩესტერელი ვეს ბრაუნი და ლესტერელი ემილ ჰესკი პირველად თამაშობდნენ ინგლისის ნაკრებში.

— ხუთი-ექვსი რეალური საგოლე მომენტი გვქონდა, რაც ჩვენი გაახალგაზრდავებული გუნდის მობილურობაზე მეტყველებს. მე მჯერა ამ ბიჭების. მჯერა, რომ ისინი ბევრს მიაღწევენ — განაცხადა კევინ კიგანმა.

ინგლისი 22-ე წუთზე დაწინაურდა — პრემიერლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ალან შირერი უნგრელებმა საჯარიმოში წააქციეს და პენალტით დაისაჯნენ. დაზარალებულმა თავად იძია შური.

მეორე ტაიმში, როგორც გითხარით, ჰრუტკამ გააყაიმა.

ცნობისთვის: მას შემდეგ, რაც უნგრეთის ნაკრების მწვრთნელად 1998 წლის მარტში ბერტალან ბიცკეი დაინიშნა, გუნდი 12 მატჩში ერთადერთხელ დამარცხდა.

### რუმინეთი 1:0 ბელგია

1:0 განეა (47)

რუმინეთი: სტელეა, კონტრა, ნანუ, ნასტასე, გალკა (ლინკარი 61), ფილიპესკუ, ფლორენტინი, მუნტიანუ (ჩობოტარუ 89), მოლდოვანი (განეა 46), ლუპესკუ (მილდანი 74), ვლადოიუ (როსუ 68)

ბელგია: დე ვილდე, დეფლენდრე, ვიდოვიჩი, დე ბეკი, გოორი, ბასეჯიო (კიმონი 64), სტალენსი, ტანგე (პიერი 58), ე. მპენზა (კავენსი 58), ვალემი, ბოფინი

შეცვლაზე შესულმა თავდამსხმელმა იონელ განეამ მეორე ტაიმის მეორე წუთზე ბელგიელთა მეკარე დე ვილდეს გოლი გაუტანა და ნაკრებს მოაგებინა.

ბუქარესტის „რაპიდის" ფორვარდი იონელ განეა მწვრთნელმა მეორე ტაიმში ჩართო თამაშში და მანაც ბურთთან მეორე შეხებისთანავე იგი კარში გაგზავნა — მის მიერ მარცხენა ფეხით უძლიერესად დარტყმულმა ბელგიელთა კარის დარაჯს შანსი არ დაუტოვა. ნაკრებში ჩატარებული მეორე შეხვედრაში ეს განეას მესამე გოლი გახლდათ.

მეტოქეებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ და ამიტომაც იყო, რომ მატჩი მაინცდამაინც საინტერესო არ გამოდგა. ტერიტორიულ უპირატესობას უმეტესწილად მასპინძლები ფლობდნენ. რუმინელი თავდამსხმელები — ვიორელ მოლდოვანი და სტეფან ნანუ ძალიან ცდილობდნენ სტადიონზე მისული 6 ათასი ქომაგის გახარებას, მაგრამ ჯაფა არ უფასდებოდათ.

— სასიხარულოა, რომ მოვიგეთ. შესარჩევი თამაშების წინ გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა — განაცხადა რუმინელთა მეკარე ბოგდან სტელეამ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეშვიდე ჯგუფში მოასპარეზე რუმინეთი 5 ივნისს უნგრეთს მასპინძლობს, ოთხი დღის შემდეგ კი აზერბაიჯანს დაუპირისპირდება.

რუმინეთისგან ძლეული ბელგია, როგორც მომავალი ევროპის ჩემპიონატის თანამასპინძელი, შესარჩევი ტურნირებისგან თავისუფალია. სხვათა შორის, ბელგიელებმა ზედიზედ მეოთხე თამაში წააგეს და ყველა ერთნაირი ანგარიშით — 0:1.

### ირლანდია 2:0 შვედეთი

1:0 კავანა (75), 2:0 კენედი (77)

ირლანდია: გივენი, კარი, სტონტონი, მაკლაფლინი, კანინგემი, ბრინი (ბები 46), მაკატირი (კავანა 46), კინსელა (კილბენი 46), ქუინი (კინი 79), კონოლი (კასკარინო 71), კენედი (დაფი 79)

შვედეთი: კილშტედტი, კამარკი, პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი (იაკობსონი 46), ლუჩიჩი, შვარცი, მილდი (ალექსანდერსონი 46), დ. ანდერსონი, ბლომკვისტი, ლარსონი, პეტერსონი (იონსონი 82)

კუნძულელებმა ნახევარკუნძულელები ორი გვიანი გოლის წყალობით დაამარცხეს — ანგარიშის გამხსნელმა გრეჰემ კავანამ ქვეყნის ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა.

შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა. „ლენსდაუნ როუდზე" მიმდინარე ამხანაგურ თამაშს ისეთი პირი უჩანდა, ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 75-ე წუთზე ინგლისის „სტოკ სიტის" თავდამსხმელმა თავი მეურვის გარეშე დაიგულა და შვედების მეკარეს მაგნუს კილშტედტს აუღებლად დაურტყა.

ორი წუთის შემდეგ ინგლისის საფეხბურთო ლიგაში მოთამაშე კიდევ ერთმა ირლანდიელმა, ლონდონის „უიმბლდონის" თავდამსხმელმა მარკ კენედიმ სხვაობა გააორმაგა.

რამდენიმე საგოლე შანსი შვედებსაც ჰქონდათ, მაგრამ მათი შეტევებიდან უმრავლესობა სალი კლდესავით აღმართულ ირლანდიელთა დაცვას ასკდებოდა. სტუმართაგან გამოირჩეოდა შოტლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი, გლაზგოს „სელტიკის" თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი.

ირლანდიელებს აკლდათ ლიდერი, მანჩესტერიუნაიტედელი როი კინი, რომელმაც გათავისუფლება ითხოვა, რადგან ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალს ძალიან გადაუღლია.

### პოლონეთი 2:1 ჩეხეთი

1:0 ტრჟეჩიაკი (16), 2:0 ვიშნიარეკი (49), 2:1 ლოკვენცი (79)

პოლონეთი: მატიშეკი, ვალდოხი, ლაპინსკი, სიადაჩკა, ზელინსკი, პაიტო, მიხალსკი, ივანი, ვიშნიარეკი, ნოვაკი, ტრჟეჩიაკი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ნიკლი, ვოტავა, ნედვედი, რადა, ჩიჟეკი, ნემეცი, პობორსკი, კუკა, კოლერი, გალაშეკი

*(სასტარტო შემადგენლობები)*

გამარჯვებამ პოლონეთზე, უეჭველია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კარგად იმოქმედა. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამხანაგური შეხვედრა სხვაა, ოფიციალური კი — სულ სხვა.

ორივე გუნდმა ეს ამხანაგური მატჩი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის თამაშებისთვის კიდევ ერთხელ მოსამზადებლად გამოიყენა, თუმცა ივნისამდე, როცა ამ გუნდებს ოფიციალური თამაშები ელით, დიდი დროა.

ჩეხეთი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი, პოლონეთს უძლიერესი შემადგენლობით ესტუმრა. პოლონელებიც, რა თქმა უნდა, საუკეთესო ფეხბურთელებით დაუპირისპირდნენ.

კარგი თამაში გამოვიდა, საინტერესო, თვალსასეირო.

ანგარიში მე-16 წუთზე გაიხსნა — მიროსლავ ტრჟეჩიაკი იოლად გასცდა ორ ჩეხ მცველს და წამში სტუმართა კარიც დალაშქრა — 1:0.

პირველი ტაიმი ასეც დასრულდა, მეორეში კი, თამაში ოთხი წუთის დაწყებული იყო, მასპინძელთა უპირატესობა რომ გაიზარდა — პოლონეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა არტურ ვიშნიარეკმა ერთადერთ მეტოქეს, მეკარე პაველ სრნიჩეკს აჯობა და მეორე ბურთი გაიტანა.

მასპინძლები ძალიან ცდილობდნენ თავიანთი კარის მშრალად შენახვას, მაგრამ არ გამოუვიდათ — ჩეხთა ფორვარდმა, შეცვლაზე შესულმა ვრასტისლავ ლოკვინცმა ისე ძლიერად დაარტყა, რომ ბურთმა კინაღამ კარის ხარიხა გადატეხა. საბოლოოდ ბადე მაინც შეირხა და სხვაობა შემცირდა.

დაძაბულობამ კულმინაციას მატჩის ბოლო წუთზე მიაღწია — ჩეხებმა კარგად შეასრულეს საჯარიმო დარტყმა, თუმცა პოლონელთა მეკარე ადამ მატიშეკმა ივაჟკაცა და გუნდს გამარჯვება შეუნარჩუნა.

— შედეგით კმაყოფილი ვარ — ჩვენ ხომ ევროპის ვიცე-ჩემპიონები დავამარცხეთ — განაცხადა პოლონელთა მწვრთნელმა იანუშ ვოიჩიკმა.

### მალტა 1:2 ისლანდია

0:1 გუდიონსონი (36), 1:1 კუტაიარი (45), 1:2 დადასონი (53)

# ბულბულის იუბილე

### ბარსელონა 2:2 ბრაზილია

0:1 რონალდო (29), 1:1 ლუის ენრიკე (34), 1:2 რივალდო (40), 2:2 კოკუ (63)

ბარსელონა: ჰესპი (არნაუ 46), რაიციგერი (ნადალი 80), ფ. დე ბური, აბელარდო, სერხი, გვარდიოლა (ხავი 46), კოკუ (როხერი 64), ლუის ენრიკე, ფიგუ, კლუივერტი (ანდერსონი 46), ზენდენი

ბრაზილია: როჟერიო, ზე მარია (ფიდელისი 70), ოდვანი, შიდტი, ფლავიო კონსეისაო, რობერტო კარლოსი, ამოროზო (ჟოვანი 46), ემერსონი, რონალდო, რივალდო, რომარიო


REUTERS ბარსელონიდან

წვიმიან ამინდში, „კამპ ნოუზე" შესანიშნავი ფეხბურთელები ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „ბარსელონას" საუკუნოვან იუბილეს აღნიშნავდნენ. ამ ფოტოზე კატალონიელთა ლიდერის ხოსეპ გვარდიოლას და ყოფილი ბარსელონელის რონალდოს ორთაბრძოლაა აღბეჭდილი

„ბარსელონას" ახლო წარსულმა და აწმყომ, რონალდომ და რივალდომ, ორჯერ დააწინაურეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები კატალონიურ კლუბთან შეხვედრაში, რომელიც „ბარსელონას" საუკუნოვან იუბილეს მიეძღვნა.

98 ათასი მოზეიმე ქომაგის თვალწინ 22 ვარსკვლავი დიდ ფეხბურთს თამაშობდა. წვიმამ და ძლიერმა ქარმა ვერც ერთს და ვერც მეორეს გაუფუჭა სადღესასწაულო ხასიათი. მატჩს ისიც ალამაზებდა, რომ კარგა ხნის შესვენების შემდეგ ბრაზილიელთა შემადგენლობაში გამოჩნდა მსოფლიო ფეხბურთის ორი ვარსკვლავი — რონალდო და რომარიო, იგივე რორო. ფეხბურთელები, რომლებმაც სწორედ „ბარსელონაში" თამაშისას გაითქვეს სახელი.

მატჩამდე სადღესასწაულო ცერემონიალი გაიმართა. ბობი რობსონი, ჯიკა პოპესკუ, რონალდ კუმანი მაყურებელს მიესალმნენ. ამას კი თამაში მოჰყვა, ლამაზი, დაუძაბავი, საინტერესო. მის დებიუტში ანგარიშის გახსნა ორჯერ შეეძლოთ კატალონიელებს, მაგრამ გოლი მოპირდაპირე კარში გავიდა. საგოლე კომბინაცია ბარსელონური გამოდგა — ჰესპის კარის მისადგომებთან რომარიომ ბურთი დაამუშავა და მახვილგონივრული (იცის ხოლმე) პასით რონალდო მეკარესთან პირისპირ დატოვა, მრისხანე ფორვარდმა მშვიდად მოატყუა ჰესპი (ამანაც იცის ხოლმე) და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

ხუთ წუთში ბრაზილიელთა მეკარე როჟერიო პირველად შეცდა — მასპინძლებმა საჯარიმო ჩააწოდეს, როჟერიო ბურთზე ცუდად გამოვიდა, ხელიდან გაუვარდა და ლუის ენრიკემაც გაათანაბრა.

შეხვედრის მესამე გოლი ასევე ბარსელონური და ყველაზე ლამაზი გამოდგა. მისი ავტორი რივალდო გახლავთ. მიმდინარე სეზონში კატალონიელთა დამრტყმელმა ძალამ რონალდოსგან მოკლე პასი მიიღო, ბურთი გაისწორა და ცაციათი შორიდან დააგრუხუნა (ესეც არ უკლებს) — 2:1. წინ სამხრეთამერიკელები გავიდნენ.

63-ე წუთზე როჟერიომ მეორე შეცდომა დაუშვა და სტუმრები კვლავ დაისაჯნენ. დაახლოებით იგივე განმეორდა. ლუიშ ფიგუმ შორიდან დაარტყა, მეკარემ ბურთი ხელში ვერ შეიმაგრა და ამჯერად უკვე ფილიპ კოკუმ შეაგდო ცარიელ კარში.

ეს ამხანაგური ბურთაობაც, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე, მეგობრულად — 2:2 დასრულდა.

**დავით ძოვზირიძე**

**EURO 2000**
**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

## VI ჯგუფი

# მეჟენებლები

### ავსტრია 7:0 სან მარინო

1:0 მეირლიბი (24), 2:0, 3:0 ვასტიჩი (42, 44), 4:0 მეირლიბი (53), 5:0 ამერჰაუზერი (71), 6:0 ჰერცოგი (82პ), 7:0 ვასტიჩი (84)

ავსტრია: ვოლფარტი, ჩერნი (კიცბიხლერი 71), ვინკლოფერი (როსეანო 80), შოპი (გლიდერი 71), ფაიერზინგერი, ნოიკირხნერი, მეირლიბი, ჰერცოგი, ვასტიჩი, პრესნიკი, ამერჰაუზერი

სან მარინო: ფ. გასპერონი, ჯენარი (ს. ბაკიოჩი 46), ვანუჩი, გობი, გუერა, დელა ბალდა, ბ. გასპერონი (მანძაროლი 15), მუჩიოლი, მონტანა (ნ. ბაკიოჩი 78), სელვა, ძონძინი

32 დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგ მატჩში, ავსტრიის ეროვნული გუნდი 0:9 დამარცხდა ვალენსიაში ესპანეთის ნაკრებთან. იმ სამარცხვინო შეხვედრას ავსტრიელთა თავკაცის ჰერბერტ პროჰაზკას პოსტიდან წასვლა მოჰყვა, ორიოდ კვირის წინ მის შემცვლელად ცნობილი ხორვატი სპეციალისტი, ოტო ბარიჩი დანიშნეს.

— დიდად ვამაყობ ჩემი გუნდით. ისეთი ფეხბურთი ვითამაშეთ, როგორიც ავსტრიას ეკადრება — რაკი დღეს ამდენი მოვახერხეთ, შედარებით რთულ მეტოქესთან ორი-სამი გოლის გატანას ყოველთვის შევძლებთ. ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს. მართალია, ამის გაკეთება რთული იქნება, მაგრამ ეს მომენტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავუშვათ ხელიდან — ოტო ბარიჩი აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

ავსტრიელებმა მართლაც დიდებულად ითამაშეს. მერე რა, რომ სანმარინოს ხვდებოდნენ, მსოფლიო ფეხბურთის დონე ხომ საოცრად გათანაბრდა. შეუჩერებელი იყო ჰეთ-თრიქის შემსრულებელი, ივიცა ვასტიჩი.

ამ გამარჯვებით, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ბარიჩის ბიჭებმა ესპანელებს გადაასწრეს და ჯგუფის ლიდერები გახდნენ, თუმცა კამაჩოს გუნდზე თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული. მორიგ შეხვედრაში ავსტრიის ნაკრებს მეტად პრინციპული მატჩი ელის სტუმრად ერთ-ერთ კონკურენტ ისრაელთან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 1 | 1 | 15:11 | 10 |
| ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 19:4 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:27 | 0 |

*დარჩენილი შეხვედრები:*

*5 ივნისი.* ესპანეთი — სან მარინო
*6 ივნისი.* ისრაელი — ავსტრია
*4 სექტემბერი.* ავსტრია — ესპანეთი
*5 სექტემბერი.* კვიპროსი — ისრაელი
*8 სექტემბერი.* ესპანეთი — კვიპროსი; ისრაელი — სან მარინო
*9 ოქტომბერი.* ესპანეთი — ისრაელი
*10 ოქტომბერი.* ავსტრია — კვიპროსი


REUTERS გრაციიდან

მეირლიბმაც და ჰერცოგმაც (მარჯვნივ) გაიტანეს

## ...ოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# უბრალოდ მალი

რა შეიძლება ითქვას მალის ნაკრების გამოსვლაზე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში? ალბათ, კარგის მეტი არაფერი. პატარა ბიჭებმა, რომელთათვისაც თანატოლთა შორის ეს ყველაზე დიდი ტურნირი იყო, თავი არ შეირცხვინეს და დაამტკიცეს, რომ ახალგაზრდებს შორის ისინი ძლიერნი არიან.

მთელი ტურნირის განმავლობაში მალის ნაკრები თანაბარ, გაწონასწორებულ და თვალსასეირო თამაშს აჩვენებდა. გუნდის ძირითადი ბირთვი თავდაუზოგავად ირჯებოდა და სწორედ ფეხბურთელთა თავდადებამ, გამარჯვებისკენ სწრაფვამ მოიტანა ის, რომ მალის ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

— ჩემთვის მთავარია, კარგი გუნდი შევქმნა. გულდასაწყვეტია, როცა მსოფლიოს ჩემპიონატს ვერ იგებ, მაგრამ ყველაფერი ამით ხომ არ მთავრდება. ვგრძნობ, გუნდს დიდი მომავალი აქვს და მუხლჩაუხრელად ვიბრძოლებ, რათა ამ თაობამ კიდევ ბევრს მიაღწიოს — მალის ნაკრების მწვრთნელი ტიდიანი კულიბალი ნახევარფინალის შემდეგ სულაც არ გრძნობდა თავს დამარცხებულად.

ლაგოსში, ცენტრალურ სტადიონზე შვიდი ათასი მაყურებლის თვალწინ, მესამე ადგილისთვის მატჩში, მალიმ წინა ტურნირის ვერცხლის პრიზიორი ურუგვაი დაამარცხა 1:0. შედეგი სენსაციად არავის მოუჩნევია — მალი ამ დროისთვის უკვე სახელგანთქმული ნაკრები იყო.

რამდენადაც კარგი გუნდია მალი, არანაკლები ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს. მარტო ის რად ღირს, რომ ახალგაზრდული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ მალის ნაკრების ლიდერი სეიდუ კეიტა აღიარეს, ხოლო ტურნირის ორ ბომბარდირთაგან ერთ-ერთი მალელი გახდა.

გუნდის ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი მამადუ დისა ცალკე აღნიშვნის ღირსია. ტანმაღალი, ფიზიკურად ძლიერი და თავდამსხმელისთვის უმთავრესი — საგოლე ალღოთი დაჯილდოებულმა ბიჭმა ყველა ხუთი გოლი შეცვლაზე შესულმა გაიტანა. თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია. ერთადერთი შეხვედრა, რომელიც მამადუ დისამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, ჯგუფურ ტურნირში პორტუგალიასთან მატჩი გახლდათ.

— მთავარი გუნდის მოგება იყო. ძალიან კარგად ვიცი, რომ წარმატებამ შესაძლოა თავბრუ დამასხას, მაგრამ ვცდილობ, არ შევიმჩნიო. გაცილებით ბევრის მიღწევა მსურს და საამისოდ ყველაფერს გავილებ — ამბობს დისა.

**ლაშა გოდუაძე**

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

### III ადგილი მალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ბ. კეიტა | ბუბაქარ კეიტა | მ | სტედ მელიენი | 30.06.79 |
| 2. დ. კულიბალი | დრამანე კულიბალი | თ | მარსელი | 18.03.79 |
| 3. ა. ტრაორე | აბდუ ტრაორე | მც | C.S.K. | 05.08.81 |
| 4. ა. კულიბალი | ადამა კულიბალი | მც | ჯოლიბა | 09.10.80 |
| 5. სისე | სადიო ბაბა სისე | ნ | სტედ მელიენი | 02.04.79 |
| 6. ტუნკარა | ბაკოუ ტუნკარა | ნ | ჯოლიბა | 13.06.80 |
| 7. ნდიაე | ტენემა ნდიაე | თ | ჯოლიბა | 13.02.81 |
| 8. ნდიარე | მაჰამადუ ნდიარე | ნ | ოფი | 18.05.81 |
| 9. ბაგაიოკო | მამადუ ბაგაიოკო | თ | სენსი | 21.05.79 |
| 10. ს. კეიტა | სეიდუ კეიტა | თ | მარსელი | 13.12.81 |
| 11. სისოკო | სიდი მაკან სისოკო | თ | სიგუი | 10.04.81 |
| 12. ე. კულიბალი | ემედუ კულიბალი | მც | სიონი | 05.12.81 |
| 13. კამარა | აბდულაე კამარა | მც | უდინეზე | 02.01.80 |
| 14. დიარა | მამადუ დიარა | თ | სტედ მელიენი | 08.01.80 |
| 15. დისა | მამადუ დისა | თ | C.S.K. | 18.05.79 |
| 16. ი. ტრაორე | ისაკა ტრაორე | მ | ჯოლიბა | 02.03.80 |
| 17. დიაკიტე | სეგა დიაკიტე | მც | სტედ მელიენი | 14.11.80 |
| 18. დაო | ჩიკ დაო | მც | სტედ მელიენი | 25.09.82 |

*მწვრთნელი: ტიდიანი კულიბალი*

### ფინალი

**ესპანეთი 4:0 იაპონია**

1:0 ბაკერო (5), 2:0, 3:0 პაბლო (14, 20), 4:0 გაბრი (51)
ესპანეთი: არანსუბია, კოირა, იესუე, მარჩენა, ბერმუდო, ორბაისი, ვარელა (რუბენი 63), ხავი, ბაკერო (აგანსა 80), გაბრი (კოლსა 70), პაბლო
იაპონია: მინამი, საკაი, ცუჯიმოტო, ტეშიმა, ნაკატა, ოგასავარა, მოტოიამა, ენდო, უჯი (ინამოტო 46), ნაგაი (ტაკადა 69), ტაკაპარა (ბანდო 56)
გაფრთხილება: ბერმუდო (16), ენდო (47), იესუე (50), ორბაისი (73)
მსაჯი: ანჯელო ოსვალდო სანჩესი (არგენტინა)

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**მალი 1:0 ურუგვაი**

1:0 ს. კეიტა (29)
მალი: ბ. კეიტა, ა. ტრაორე, დ. კულიბალი, ა. კულიბალი, დიაკიტე, სისე, სისოკო (დისა 46), ე. კულიბალი, დიარა, ბაგაიოკო
ურუგვაი: კარინი, სოსონდო, კარენო (მაჩადო 48), პელეგრინო, პოუსო, მაკალესო (ალბერმაგერი 55), კორეა, ფორლანი (ლიგერა 52), ანჩენი, კანობიო, კარდოსო
გაფრთხილება: ე. კულიბალი (26), პოუსო (61), ა. კულიბალი (64), ს. კეიტა (89)
მსაჯი: ზელიკო სირიჩი (ხორვატია)

*გარკვეულ მიზეზთა გამო „სარბიელმა“ ნიგერიაში დასრულებული მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალის და მესამე ადგილისთვის მატჩის სტატისტიკური მონაცემები სრულად ვერ შემოგთავაზათ. დღეს, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც ვასწორებთ ხარვეზს და გაქვეყნებთ ორივე თამაშის სრულ სტატისტიკურ მონაცემებს.*

# უცნაური, უჩვეულო გადაწყვეტილება

ინგლისელი მწვრთნელი როი ჰოჯსონი „ინტერში“ დაბრუნებამ ცოტა კი შეაცბუნა, მაგრამ თავს იმით იმხნევებს, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა გარემოებებმა აიძულა.

„მართლაც უცნაური, უჩვეულო სიტუაციაა“ — ხელები გაშალა ლუჩანო კასტელინის მრჩევლად „სან სიროზე“ დაბრუნებულმა სპეციალისტმა — „მართალი გითხრათ, თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ ვალდებული ვიყავი, მეგობრებისთვის დახმარების ხელი გამეწოდებინა. ბედნიერი ვარ, მილანში რომ დავბრუნდი და იმდენი ქულის მოპოვებასაც ვიმედოვნებ, უეფას თასზე გამსვლელი ადგილი რომ მოვიპოვოთ“.

„გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტისთვის ნათქვამმა სიტყვებმა იმედი ჩაუსახა იმ გუნდის გულშემატკივრებს, რომელთაც მიმდინარე სეზონმა თავსატეხი გაუჩინა: დღეს „ინტერი“ სერია A-ს ცხრილში მეცხრე ადგილზეა და იმავდროულად, ყველა რანგის სათასო შეჯიბრებას გამოთიშულია.

მილანის კლუბებში დიდი სამწვრთნელო არეულობაც სუფევს. დეკემბერი იყო, როდესაც პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თანამდებობიდან ლუიჯი სიმონი გაათავისუფლა და მის ადგილას რუმინელი მირჩა ლუჩესკუ მიიყვანა, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს — გასავარდნთა ზონაში მოტრიალე „სამპდორიასთან“ 0:4 წაგების შემდეგ რუმინელიც უმუშევრად დარჩა და საჭე, მეკარეთა მწვრთნელს კასტელინის დარჩა, რომელსაც ახლა ჰოჯსონიც მიახმარეს.

მაგრამ არც ეს გახლავთ მწვრთნელთა გადაადგილება-გადმოადგილების ბოლო. სეზონი რომ ჩამთავრდება, „ინტერს“ სულ სხვა სპეციალისტი, „იუვენტუსიდან“ წასული „მაესტრო“ მარჩელო ლიპი გაუძღვება.

„ლიპის განკარგულებაში მიგულეთ“ — თქვა ჰოჯსონმა, რომელიც „ინტერს“ 1995-97 წლებში თავკაცობდა და მას მერე გადადგა, რაც 1997 წელს გერმანულ „შალკესთან“ უეფას თასის ფინალი წააგო — „მე აქ „ინტერის“ საქმის საკეთებლად ვარ, ხოლო კლუბის სურვილია, სათავეში ლიპი ჩაუდგეს“.

მორატის გადაწყვეტილებამ, მხნელად ჰოჯსონს უხმოს, იტალიაში ჯერ გაკვირვება გამოიწვია, მერე კი ირონიას დაუდო სათავე.

„დაუჯერებელია. თუ ჰოჯსონი მართლა გამოიძახეს, მაშინ ჩემი საწყალი მეგობარი, მასიმო, გაგიჟებულა“ — განაცხადა „ვიჩენცას“ პრეზიდენტმა, მაურიციო ძამპარინიმ.

ამასობაში კი მილანელთა ვარსკვლავმა, რონალდომ, რომელიც ოთხშაბათს, თავისი წინა გუნდის, „ბარსელონას“ წინააღმდეგ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა, ჰოჯსონზე ასეთი რამ თქვა:

„ინგლისელ მწვრთნელს ახლოდან არ ვიცნობ, მაგრამ მსმენია, რომ დიდებული სპეციალისტია და ჩვენი არეული სახლის დალაგება შეუძლია. მგონი, მისი მოწვევა სწორი გადაწყვეტილება იყო“.

**პაპუნა ძედია**

## როი ჰოჯსონი



დაიბადა 1947 წლის 9 აგვისტოს
სათამაშო კარიერა (1965-75): „კრისტალ პალასში“, „მეიდსტოუნ იუნაიტედი“, „ბერეა პარკი“ (სამხრეთ აფრიკა)
სამწვრთნელო კარიერა: „ჰალმშტადი“ (შვედეთი 1976-80) — მოიპოვა ორგზის ჩემპიონობა
„ბრისტოლ სიტი“ (1982) — თავიდან ბობ ჰაფტონის ასისტენტად დაიწყო მუშაობა, მაგრამ 27 მატჩის შემდეგ მთავარი მწვრთნელი გახდა და ამ თანამდებობაზე მანამდე დარჩა, სანამ გუნდი მაშინდელ მეოთხე (ახლანდელ მესამე) დივიზიონში გავარდებოდა.
კარიერა განაგრძო „ერებრუში“ (შვედეთი), საიდანაც „მალმიოში“ გადავიდა (1985-90) — მოიპოვა ზედიზედ ხუთგზის ჩემპიონობა და ორჯერ თასი.
„ქსამაქსი“ (შვეიცარია 1990-92).
შვეიცარიის ნაკრები (1992-96) — 1994 წელს 28-წლიანი ხელმოცარვის შემდეგ, გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა. მოიპოვა ევრო 96-ის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებაც.
„ინტერი“ (იტალია 1995-97) — 1997 წლის უეფას თასის ფინალისტი.
„ბლექბერნ როვერსი“ (ინგლისი 1997-98).

# ფიფა — კოკა-კოლას მსოფლიოს VIII ახალგაზრდული ჩემპიონატი

### A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.04.95 | ხალიფა | ყატარი | რუსეთი | | 1:1 |
| 14.04.95 | ხალიფა | სირია | ბრაზილია | | 0:6 |
| 16.04.95 | ხალიფა | ყატარი | სირია | | 0:1 |
| 17.04.95 | ხალიფა | რუსეთი | ბრაზილია | | 0:0 |
| 19.04.95 | ხალიფა | ყატარი | ბრაზილია | | 0:2 |
| 19.04.95 | ალ აჰლი | რუსეთი | სირია | | 2:0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:0 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| სირია | 3 | 1 | 0 | 2 | 1:8 | 3 |
| ყატარი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.04.95 | ალ აჰლი | ბურუნდი | ესპანეთი | | 1:5 |
| 14.04.95 | ალ აჰლი | ჩილე | იაპონია | | 2:2 |
| 16.04.95 | ალ აჰლი | ბურუნდი | ჩილე | | 1:1 |
| 17.04.95 | ალ აჰლი | ესპანეთი | იაპონია | | 2:1 |
| 19.04.95 | ხალიფა | ბურუნდი | იაპონია | | 0:2 |
| 19.04.95 | ალ აჰლი | ესპანეთი | ჩილე | | 6:3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:5 | 9 |
| იაპონია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ჩილე | 3 | 0 | 2 | 1 | 6:9 | 2 |
| ბურუნდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

### C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.04.95 | ყატარი | ჰოლანდია | არგენტინა | | 0:1 |
| 14.04.95 | ხალიფა | ჰონდურასი | პორტუგალია | | 2:3 |
| 16.04.95 | ხალიფა | ჰოლანდია | ჰონდურასი | | 7:1 |
| 17.04.95 | ხალიფა | არგენტინა | პორტუგალია | | 0:1 |
| 20.04.95 | ხალიფა | ჰოლანდია | პორტუგალია | | 0:3 |
| 20.04.95 | ალ აჰლი | არგენტინა | ჰონდურასი | | 4:2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| არგენტინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 7:5 | 3 |
| ჰონდურასი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:14 | 0 |

### D ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 13.04.95 | ალ აჰლი | ავსტრალია | კოსტა რიკა | | 2:0 |
| 14.04.95 | ალ აჰლი | კამერუნი | გერმანია | | 1:1 |
| 16.04.95 | ალ აჰლი | ავსტრალია | კამერუნი | | 2:3 |
| 17.04.95 | ალ აჰლი | კოსტა რიკა | გერმანია | | 2:1 |
| 20.04.95 | ხალიფა | ავსტრალია | გერმანია | | 1:1 |
| 20.04.95 | ალ აჰლი | კოსტა რიკა | კამერუნი | | 1:3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| გერმანია | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |

### მეოთხედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.04.95 | ხალიფა | ბრაზილია | იაპონია | 2:1 |
| 23.04.95 | ალ აჰლი | ესპანეთი | რუსეთი | 4:1 |
| 23.04.95 | ხალიფა | პორტუგალია | ავსტრალია | 2:1 |
| 23.04.95 | ალ აჰლი | კამერუნი | არგენტინა | 0:2 |

### ნახევარფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 25.04.95 | ხალიფა | ბრაზილია | პორტუგალია | 1:0 |
| 25.04.95 | ხალიფა | ესპანეთი | არგენტინა | 0:3 |

### მატჩი მესამე ადგილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.04.95 | ხალიფა | პორტუგალია | ესპანეთი | 3:2 |

### ფინალი. 28. 04. 95. ხალიფა. 65. 000 მაყურებელი

**ბრაზილია 0:2 არგენტინა**

0:1 ბიაჯინი (25), 0:2 გერერო (89)
ბრაზილია: ფაბიო, ღედიმარი, ფაბიანო, სეზარი, ლეონარდო, ელდერი (ლუისაო 57), ზე ელიასი, მურილიო (კლაუდინიო 73), გლაუბიო, კაიო, რეინალდო (დენილსონი 81)
არგენტინა: ირიგოიტია (პელუფი 89), სორინი, ლომბარდო, პენია, ხუან მარიანო, დომინგესი, ლარისა, იბაგასა, კოიტი, ჩამარო (არანიო 63), ბიაჯინი (გერერო 86)
მსაჯი: გალაჰერი (ინგლისი)

*საუკეთესო მოთამაშე:* კაიო (ბრაზილია); *ბომბარდირი:* ხოსება (ესპანეთი) — 5 გოლი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა



თასების თასი აიაქსის კაპიტან მარკო ვან ბასტენს უპყრია



## თასების მფლობელთა თასი

XXVII გათამაშება 1986-87 წლები

**აიაქსი**

ამსტერდამი, ჰოლანდია

*სოლომონ ქულისაშვილი*

Cup Winners' Cup

## სრული ისტორია

# აიაქსის დაბრუნება

„ახლა კი მჯერა, რომ ძლიერი გუნდი გვყავს. ადრე, როცა „აიაქსზე" ლაპარაკობდნენ, 70-იან წლებს გულისხმობდნენ. დღეს დავამტკიცეთ, რომ გუნდი 80-იანებშიც ევროპული კლასისაა" — თქვა „სარაგოსასთან" ნახევარფინალური რაუნდის შემდეგ „აიაქსის" მწვრთნელმა იოჰან კრუიფმა.

39 წლის კრუიფი, რომელსაც ოფიციალურად კლუბის ტექნიკური დირექტორის თანამდებობა ეკავა, თავად იყო ჩემპიონთა თასის სამჯერ მომგები „აიაქსის" მთავარი ფიგურა. 80-იანი წლების შუაში კი მას უნიჭიერესი ახალგაზრდა მოთამაშეებისგან დაკომპლექტებული გუნდი ჰყავდა. 1987-ში რაიკარდი 24 წლის გახლდათ, ვინტერი — 20-ის, რიხარდ ვიჩხე 17-ის, ვან ბასტენი — 22-ის, ხოლო ბერხკამპი 18-ის. ერთადერთი ვეტერანი 36 წლის არნოლდ მიურენი იყო, რომელსაც თავის დროზე კრუიფთან ერთადაც ჰქონდა ნათამაშები.

„სარაგოსას" შინ 20 წლის ურუგვაელი ფორვარდის, რუბენ სოსას იმედი ჰქონდა. სოსა ბოლო დროს მინდვრიდან უგოლოდ არ გადიოდა და ტრადიცია არც ამსტერდამელებთან დაურღვევია, მე-14 წუთზე ორი ჰოლანდიელი მცველი მოატყუა და ანგარიში გახსნა. მაგრამ მერე „აიაქსმა" სამი გაიტანა და საბოლოოდ 3:2 მოიგო. ჯერ კიდევ მატჩამდე მიმომხილველები სტუმრებს ორ უპირატესობას ანიჭებდნენ. ერთი ის, რომ კრუიფმა შესანიშნავად იცოდა ესპანური ფეხბურთი. მეორე, წვიმისგან დატბორილი მინდორი, რომელიც ჰოლანდიელებისთვის უფრო ჩვეული უნდა ყოფილიყო. ნამატჩევს კი იმავე მიმომხილველებმა აღნიშნეს: „აიაქსმა" მშვენივრად ითამაშა და „ის დიდი გუნდი" გაგვახსენაო.

ერადერთი უსიამოვნება, რაც იმ საღამოს ამსტერდამელებს შეემთხვათ, შემტევი ჯონი ბოსმანის მინდვრიდან გაძევება იყო. ბოსმანს ტურნირში ყველაზე მეტი — 8 ბურთი ჰქონდა გატანილი და დისკვალიფიკაციის გამო მომდევნო მატჩებში აღარ უთამაშია. თუმცა გათამაშების საუკეთესო ბომბარდირობისთვის ეს 8 გოლიც საკმარისი აღმოჩნდა.

ამსტერდამში „სარაგოსამ" შვიდი ძირითადი ფეხბურთელის, მათ შორის, სოსას გარეშე ითამაშა და ყველა კომპონენტში დაუთმო მასპინძლებს 0:3 მატჩის ლოგიკური შედეგი იყო. და კიდევ ერთი, ეს გახლდათ ტურნირის ყველაზე კორექტული შეხვედრა. მსაჯს არც ერთი მოთამაშე არ გაუფრთხილებია და წესის დარღვევაც სულ რამდენიმეჯერ დაუფიქსირებია.

მეორე ფინალისტი კი ცოტა მოულოდნელი გამოდგა. აღმოსავლეთგერმანულმა ლაიპციგის „ლოკომოტივმა" ნახევარფინალში ფრანგული ფეხბურთის ლიდერი „ბორდო" დაამარცხა. „ბორდომ" იმ წელს საფრანგეთის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც. ბატისტონი, ტიგანა, ლიაკომბი, ტურე, ტყუპი იუგოსლავიელები ზორან და ზლატკო ვუიოვიჩები — ასეთი იყო გუნდის ძირითადი ბირთვი. მწვრთნელი კი ემე ჟაკე გახლდათ. სწორედ ის ჟაკე, რომელმაც შარშან ფრანგებს მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა. „ბორდო" ტურნირის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა და მისი ნახვის საშუალება თბილისელებსაც ჰქონდათ. მეოთხედფინალში ფრანგებმა მოსკოვის „ტორპედოს" მოუგეს და საშინაო მატჩი მოსკოველებმა თბილისში ჩაატარეს.

აი, ასეთ გუნდს სძლიეს ლაიპციგელებმა. ბორდოში 64-ე წუთზე შულცის უძლიერესი დარტყმა ხარიხას მოხვდა, ნახევარმცველ ბრედოვის განმეორებითს კი ხელი ველარავინ შეუშალა — 1:0 და ფავორიტად „ლოკომოტივი" იქცა. თუმცა ლაიპციგში ზლატკო ვუიოვიჩმა მე-3 წუთზევე შეაგდო და მდგომარეობა გაათანაბრა. საქმე მატჩისშემდგომ პენალტებამდე მივიდა და მისი გმირი გერმანელი მეკარე რენე მიულერი გახდა. მან ზორან ვუიოვიჩის თერთმეტმეტრიანიც მოიგერია და გადამწყვეტიც თავად გაიტანა — 6:5 „ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

იოჰან კრუიფი მიიჩნევდა, რომ „აიაქსი" ძველ დიდებას დაიბრუნებდა, ოღონდ ამას დრო დასჭირდებოდა, მისი ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ჯერ თასების თასის ფინალში თამაშიც ნაადრევი იყო. თავად კრუიფი გუნდის მწვრთნელად 1985 წლიდან მუშაობდა, მაგრამ მწვრთნელის ოფიციალური ლიცენზია არ ჰქონდა და ფორმალურად კლუბის ტექნიკურ დირექტორად გააფორმეს. ფინალის წინ მისი მთავარი პრობლემა არნოლდ მიურენის ტრავმა გახლდათ, მაგრამ მიურენი მაინც გავიდა სათამაშოდ, გმირულად იბრძოდა და მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე შეცვალეს.

„ლოკომოტივის" მწვრთნელი ჰანს-ულრიხ ტომალეც ფეხბურთელების ტრავმებზე ფიქრობდა. საუკეთესო თავდამსხმელ ლაიტცკეს მუხლი აწუხებდა, ხოლო ვეტერან ნახევარმცველ კიუნს წელი სტკიოდა. ისინი მინდორზე მეორე ტაიმში გამოჩნდნენ. რაც შეეხებათ ფორვარდებს — რიხტერსა და მარშალს, მათ ჰოლანდიელებმა პერსონალური მეურვეები მიუჩინეს და თამაშიდან გამოთიშეს. სხვათა შორის, ეს ის ოლაფ მარშალია, რომელიც დღეს ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნში" თამაშობს.

ათენში „ლოკომოტივის" საქომაგოდ ათასამდე გულშემატკივარი ჩავიდა, ჰოლანდიელები მათზე ათჯერ მეტნი იყვნენ. ბერძენი პოლიციელები განსაკუთრებით ნიდერლანდელ ფანებს დარაჯობდნენ, რომლებიც ორი დღის განმავლობაში დროშებით დადიოდნენ ქალაქის ქუჩებში და შეზარხოშებულნი თავისი გუნდის სიმღერებს მღეროდნენ. სამართალდამცავების შეშფოთება უსაფუძვლო აღმოჩნდა. ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

21-ე წუთზე ნამდვილი აიაქსური გოლი გავიდა. მცველი სილოი სწრაფად გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, ახლო ძელთან ჩააწოდა და კაპიტანმა მარკო ვან ბასტენმა დაახლოებით ხუთი მეტრიდან თავურით ბურთი მეკარე მიულერისგან შორეულ კუთხეში გაგზავნა. ეს იყო ვან ბასტენის მე-6 გოლი ტურნირში. ამ დროისთვის იგი სამ მილიონ დოლარად უკვე იტალიურ „მილანს" ჰყავდა გადაბირებული, მაგრამ ფორვარდმა სეზონი „აიაქსში" ჩაამთავრა და მილანს ზაფხულში გაემგზავრა.

„ლოკომოტივის" შეტევებს შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, ვან ბასტენს მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ მიულერმა აუღო.

თამაშის შემდეგ კრუიფმა თქვა, მატჩი სანახაობრივად კარგი ვერ გამოვიდა, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ ყოფილაო: „ჰოლანდიელებს კვლავ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი გუნდით. მითუმეტეს, რომ ეს გამარჯვება ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მოიპოვეს" კრუიფი იმაშიც გამოტყდა, რომ მეორე ტაიმში უჩვეულოდ ნერვიულობდა — უხერხული განცდაა, სკამზე ზიხარ და გუნდს ხელმძღვანელობ, მაგრამ სულით და გულით მინდორზე, ფეხბურთელებთან ხარ და როცა რეალური დახმარება არ შეგიძლია, უფრო ღელავო.

ტომალემ „აიაქსს" გამარჯვება მიულოცა და აღიარა: „სამწუხაროდ, ვან ბასტენის მსგავსი მოთამაშე არ მყავს.



იოჰან კრუიფი ამსტერდამის აეროპორტში.

მას მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა და აკი გადაწყვიტა კიდეც".

ამგვარად დაიბრუნა „აიაქსმა" ათი წლის წინ დაკარგული დიდება. მაგრამ ეს დაბრუნება ხანგრძლივი არ ყოფილა. კრუიფიც და თითქმის მთელი გუნდიც მალე სხვადასხვა კლუბებში გადავიდნენ და ამსტერდამელები კიდევ რვა წელიწალს ელოდნენ, სანამ ახალი ნიჭიერი თაობა გამოჩნდებოდა და ჩემპიონთა თასს ისევ ჰოლანდიის დედაქალაქში ჩაიტანდა.



გამარჯვების წამი. აიაქსი ფინალის შემდეგ



ფინალი. ლოკომოტიველი ციოტშესა (მარცხნივ) და 18 წლის აიაქსელი ბერხკამპის დუელი

### პირველი წრე

აბერდინი (შოტლანდია) — სიონი (შვეიცარია) 2:1, 0:3; კოპენჰაგენი (დანია) — ვიტოშა (ბულგარეთი) 1:0, 0:2; ბენფიკა (პორტუგალია) — ლილესტრიომი (ნორვეგია) 2:0, 2:1; ბურსასფორი (თურქეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) 0:2, 0:5; ფრამი (ისლანდია) — გკს (კატოვიცე, პოლონეთი) 0:3, 0:1; გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ლოკომოტივი (ლაიპციგი, გდრ) 1:1, 0:2; მალმიო (შვედეთი) — აპოლონი (კვიპროსი) 6:0, 1:2; 17 ნანტორი (ალბანეთი) — დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) 1:0, 2:1; ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — უნიონი (ლუქსემბურგი) 3:0, 3:0; რაპიდი (ავსტრია) — ბრიუგე (ბელგია) 4:3, 3:3; რომა (იტალია) — სარაგოსა (ესპანეთი) 2:0, 0:2, პენ. 3:4; შტუტგარტი (გფრ) — სპარტაკი (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) 1:0, 0:0; ჰაკა (ფინეთი) — ტორპედო (მოსკოვი, სსრკ) 2:2, 1:3; ვაშაში (უნგრეთი) — ველეჟი (იუგოსლავია) 2:2, 2:3; უოტერფორდი (ირლანდია) — ბორდო (საფრანგეთი) 1:2, 0:4; ცურიეკი (მალტა) — რექსჰემი (უელსი) 0:3, 0:4

### მერვედფინალი

აიაქსი — ოლიმპიაკოსი 4:0, 1:1; ბენფიკა — ბორდო 1:1, 0:1; გკს — სიონი 2:2, 0:3; 17 ნანტორი — მალმიო 0:3, 0:0; რაპიდი — ლოკომოტივი 1:1, 1:2 დ.დ.; ტორპედო — შტუტგარტი 2:0, 5:3; ვიტოშა — ველეჟი 2:0, 3:4; სარაგოსა — რექსჰემი 0:0, 2:2 დ.დ.

### მეოთხედფინალი

ბორდო — ტორპედო 1:0 (ფარგონი), 2:3 (თბილისი) (ტურე 2; აგაშკოვი 2, შირინბეკოვი)

ლოკომოტივი — სიონი 2:0 (მარშალი, რიხტერი), 0:0

მალმიო — აიაქსი 1:0 (პერსონი), 1:3 (ლინდმანი; ვან ბასტენი 2, ვინტერი)

სარაგოსა — ვიტოშა 2:0 (რობერტო, კორტესი), 2:0 (პელაესი, რობერტო)

### ნახევარფინალი

ბორდო — ლოკომოტივი 0:1 (ბრედოვი), 1:0 (ზლ. ვუიოვიჩი) პენ. 5:6

სარაგოსა — აიაქსი 2:3 (სოსა, სენიორი; ვიჩხე, ბოსმანი 2), 0:3 (ვან'ტ სხიპი, ვიჩხე, რაიკარდი)

**ფინალი. ათენი. 13 მაისი. 61 000 მაყურებელი**

**აიაქსი 1:0 ლოკომოტივი**

1:0 ვან ბასტენი (21)

აიაქსი: მენცო, სილოი, რაიკარდი, ვერლაატი, ბუვე, ვაუტერსი, ვინტერი, ა. მიურენი (სხოლტენი 46), ვან'ტ სხიპი, ვან ბასტენი, ვიჩხე (ბერხკამპი 76)
ლოკომოტივი: მიულერი, კრეერი, ბაუმი, ლინდნერი, ციოტშე, შოლცი, ლიბერსი (კიუნი 62), ბრედოვი, რიხტერი, ედმონდი (ლაიტცკე 69), მარშალი
მსაჯი: ანიოლინი (იტალია)

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა.
XXIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30,04 | ბოხუმი — ნიურნბერგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ფრაიბურგი — აინტრახტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 1.05 | ლევერკუზენი — ჰერტა | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | ჰამბურგი — კაიზერსლაუტერნი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| | ვოლფსბურგი — შტუტგარტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ბაიერნი — მიონხენგლადბახი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჰანზა — მიუნხენი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 2.05 | დუისბურგი — დორტმუნდი | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა.
XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ულმი — ობერჰაუზენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ზტ. პაული — გიუტერსლო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | კიოლნი — ურდინგენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 2.05 | მაინცი — კოტბუსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ვატენშტაინი — ფიურტი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ჰანოვერი — ფორტუნა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | არმინია — კიკერსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | უნტერჰახინგი — დიუსელდორფი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 3.05 | კარლსრუე — ბერლინი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.
XXXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ჩარლტონი — ბლექბერნი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ჩელსი — ევერტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ქოვენთრი — უიმბლდონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ლივერპული — ტოტენჰემი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | მანჩესტერი — ასტონ ვილა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ნიუკასლი — მიდლსბრო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ნოტინგემი — შეფილდ უენსდეი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | საუთჰემპტონი — ლესტერი . | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ვესტ ჰემი — ლიდსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 2.05 | არსენალი — დერბი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
ILV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ბოლტონი — ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 1.05 | ბარნსლი — უოტფორდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ბრედფორდი — ოქსფორდი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ქრიუ — პორტსმუთი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | კრისტალ პალასი — ჰადერსფილდი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | გრიმსბი — ტრანმერი | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| | ნორვიჩი — სვინდონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | პორტ ვეილი — ქუინზ პარკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | შეფილდ იუნაიტედი — ბრისტოლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | სტოკპორტი — სანდერლენდი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ვესტ ბრომვიჩი — ბერი | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 2.05 | ბირმინგემი — იფსვიჩი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A.
XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | ბოლონია — კალიარი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | პარმა — ემპოლი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | სალერნიტანა — იუვენტუსი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | უდინეზე — ლაციო | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ფიორენტინა — პერუჯა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ბარი — პიაჩენცა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | მილანი — სამპდორია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ვენეცია — ვიჩენცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 3.05 | რომა — ინტერი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B.
XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ტორინო — ნაპოლი | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 2.05 | ჯენოა — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | ატალანტა — კრემონეზე | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | მონცა — ლეჩე | 3,2 | 2,7 | 2,2 |
| | ტერნანა — ლუკეზე | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| | პესკარა — რავენა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| | ფ. ანდრია — რეჯანა | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | კიევო — რეჯინა | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| | კოზენცა — ტრევიზო | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| | ჩეზენა — ვერონა | 3,0 | 2,7 | 2,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი.
XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | რეალი — ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ვალენსია — ალავესი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 2.05 | ვალიადოლიდი — ვილიარეალი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | ბარსელონა — დეპორტივო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | ბილბაო — ატლეტიკო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ბეტისი — მალიორკა | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | სარაგოსა — ტენერიფე | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | რასინგი — ოვიედო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ესტრემადურა — სოსიედადი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სელტა — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი.
XXXV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ბადახოსი — ალბასეტე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | მერიდა — ეიბარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ორენსე — ლას პალმასი | 5,0 | 3,2 | 1,4 |
| | სევილია — მალიორკა B | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ლეიდა — ლოგრონიესი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 2.05 | მალაგა — ერკულესი ($15^{00}$) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ოსასუნა — ბარსელონა B | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ლეგანესი — ტოლედო ($15^{00}$) | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | რეკრეატივო — სპორტინგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | კომპოსტელა — ატლეტიკო B | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ნუმანსია — რაიო ვალეკანო | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი.
XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ბორდო — მონაკო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | მარსელი — ლიონი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ტულუზი — ლორიანი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 1.05 | ბასტია — ლანსი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | მეცი — ოსერი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლე ავრი — ნანსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | მონპელიე — ნანტი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | სტრასბური — სოშო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რენი — პსჟ | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ბოავიშტა — ამადორა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 1.05 | გიმარაეში — ბეირა მარი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლეირია — სპორტინგი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| 2.05 | მარიტიმუ — ფარენსე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ალვერკა — რიუ ავე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | სალგეირუში — აკადემიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ბრაგა — შავეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ბენფიკა — კამპომაიორენსე . | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | პორტუ — სეტუბალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | მაასტრიხტი — ბრედა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 1.05 | კამბური — ჰერენვენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | ეინდჰოვენი — ვალვაიკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | როდა — გრააფსხაპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ტვენტე — სიტარდი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ვიტესი — ალკმაარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 2.05 | აიაქსი — ფეიენოორდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | ნაიმეგენი — უტრეხტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სპარტა — ტილბურგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | შარლერუა — ბრიუგე | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 1.05 | გენტი — ლომელი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ოსტენდე — ჰარელბეკი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ლიერსი — ლოკერენი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | ბევერენი — ვესტერლო | 1,9 | 2,9 | 3,2 |
| 2.05 | გენკი — სტ. ტრუიდენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | სტანდარდი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | კორტრაიკი — ეკერენი | 2,0 | 2,9 | 3,0 |
| | აალსტი — მუსკრონი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ლეგია — ვისლა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | კატოვიცე — რუხი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ლეხი — პოგონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 1.05 | ვიძევი — ბელხატოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ამიცა — ლკს | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | რაძიონკოვი — გურნიკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | სტომილი — ოდრა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ზაგლებე — პოლონია | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | აბერდინი — სტ. ჯონსტონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | დანდი იუნაიტედი — დანდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | კილმარნოკი — მოზერველი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 2.05 | სელტიკი — რეინჯერსი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 3.05 | ჰართსი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | გალათასარაი — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 1.05 | ქარაბუქი — ბეშიქთაში | 8,0 | 4,0 | 1,2 |
| 2.05 | ერზურუმი — ბურსა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ადანა — ანთალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ისთანბული — ქოჯაელი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სამსუნი — ანკარა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ტრაბზონი — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ფენერბაჰჩე — ალთაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | გრაცერი — ლინცერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | რაპიდი — ტიროლი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | რიდი — შტურმი | 6,0 | 3,3 | 1,4 |
| | ზალცბურგი — აუსტრია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | შტაირი — ლუსტენაუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ლოზანა — ბაზელი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ქსამაქსი — ციურიხი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სერვეტი — ლუცერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 2.05 | გრასჰოპერი — სტ. გალენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | სპარტაკი — ჩერნომორეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ცსკა — ზენიტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | როტორი — შინიკი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | როსტსელმაში — ურალანი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ტორპედო — ალანია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ნ.ნოვგოროდი — კრილია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სატურნი — დინამო | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | ჟემჩუჟინა — ლოკომოტივი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### შვედეთის ჩემპიონატი. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | აიკ — ჰელსინგბორგი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### შვედეთის ჩემპიონატი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.05 | მალმიო — ჰამსტადი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | კალმარი — ფრიოლუნდა | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 3.05 | იურგარდენი— ტრელებორგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | იორებრო — იორგრიტე | 2,3 | [illegible] | 2,8 |
| | ნორჩიოპინგი — ჰელსინგბორგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | გიოტებორგი — ელფსბორგი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 4.05 | ჰამარბი — აიკ | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი (36-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| იტალია (31-ე) | 23 და ნაკლები — 1,9 | 25 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (32-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |
| საფრანგეთი (31-ე) | 22 და ნაკლები — 1,9 | 24 და მეტი — 1,9 |
| პორტუგალია (30-ე) | 24 და ნაკლები — 1,9 | 26 და მეტი — 1,9 |
| ჰოლანდია (31-ე) | 25 და ნაკლები — 1,9 | 27 და მეტი — 1,9 |
| ბელგია (31-ე) | 26 და ნაკლები — 1,9 | 28 და მეტი — 1,9 |
| პოლონეთი (24-ე) | 19 და ნაკლები — 1,9 | 21 და მეტი — 1,9 |
| თურქეთი (30-ე) | 24 და ნაკლები — 1,9 | 26 და მეტი — 1,9 |

### ჰოკეი. NHL. პლეი ოფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | კოლორადო — სან ხოსე | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | ტორონტო — ფილადელფია | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ნიუ ჯერსი — პიტსბურგი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | კაროლინა — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფინიქსი — სტ. ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ნორვეგია)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.05 | ავსტრია — ჩეხეთი | 5,0 | 4,4 | 1,2 |
| | სლოვაკეთი — კანადა | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| | აშშ — იაპონია | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| | იტალია — ნორვეგია | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| 2.05 | ლატვია — შვეიცარია | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | ბელარუსი — რუსეთი | 5,6 | 4,4 | 1,15 |
| | საფრანგეთი — შვედეთი | 5,6 | 4,4 | 1,15 |
| | ფინეთი — უკრაინა | 1,2 | 4,4 | 5,0 |

### კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ორლანდო — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | შარლოტი — ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | ატლანტა — ინდიანა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | კლივლენდი — ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | მინესოტა — გოლდენ სტეიტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | ჰიუსტონი — იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | მილუოკი — დეტროიტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| | სიეტლი — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 2.05 | სან ანტონიო — პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | ბოსტონი — მილუოკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | ფილადელფია — ტორონტო | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | მაიამი — ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | მინესოტა — კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | დალასი — გოლდენ სტეიტი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | ფინიქსი — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 2.05 | ინდიანა — ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | სან ანტონიო — იუტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | სიეტლი — ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | კლივლენდი — ატლანტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | დეტროიტი — ფილადელფია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | მაიამი — შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | ჰიუსტონი — კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | საკრამენტო — ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 3.05 | ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | ნიუ იორკი — ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ჩიკაგო — დეტროიტი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | დენვერი — საკრამენტო | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | ვანკუვერი — გოლდენ სტეიტი | 3,1 | 12,0 | 1,25 |
| | ლეიკერსი — დალასი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# 29 ტური

საქართველოს ჩემპიონატი

## საუკეთესო მოთამაშე

### გია კაზანჯიანი
### ·შევარდენი·



ასპარეზობის ერთ-ერთ აუტსაიდერთან შეხვედრისას იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა „ვითამ“ რამდენიმე წამყვან კალათბურთელს (დავითულიანი, აბრამიძე, ჩუბინიძე, ტურაშვილი) დასვენების საშუალება მისცა და კინაღამ დაისაჯა. მატჩის გმირი უდავოდ „შევარდენის“ უკანა ხაზის მოთამაშე გია კაზანჯიანი იყო, რომელმაც უზუსტესი სამქულიანის სროლებით მოსვენება დაუკარგა მეტოქეს. აღნიშნულ შეხვედრაში კაზანჯიანი 36 ქულითა და 10 ზუსტი სამქულიანით ტურის ყველაზე შედეგიანი და, ამავე დროს, საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

**— გია, „ვითასთან“ თქვენი გუნდის ასეთი შემართებით თამაშს რით ახსნით?**

— „შევარდენის“ კოზირი სამქულიანებია. თუ გაგვიმართლა და სროლები წაგვივიდა, ნებისმიერ გუნდს შევუქმნით პრობლემებს. თანაც, ამ ბოლო დროს „ვითასთვის“ უხერხულ მეტოქედ გადავიქეცით და, ჩვენი სათამაშო ფორმის მიუხედავად, მართალია, ვერ ვამარცხებთ, მაგრამ ხშირად ვაყენებთ კრიტიკულ სიტუაციაში.

**— „შევარდენი“ 12 ქულით კი უგებდა მეტოქეს, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო...**

— მხოლოდ სამქულიანების იმედად თამაშის მოგება ძალიან ძნელია, თანაც ისეთ გუნდთან, როგორიც „ვითაა“.

**— რამ გაიძულათ, რომ სამქულიანების იმედად ყოფილიყავით?**

— გუნდი მხოლოდ ერთადერთი ცენტრის, ჩემპიონატის ყველაზე ხანდაზმული კალათბურთელის, მალხაზ ღვინეფაძის იმედად არის. მეორე წრეში, თსუ-თან შეხვედრაში ფეხი მოიტეხა მეორე ცენტრმა, დავით ცაგარეიშვილმა. კიდევ ერთი ცენტრის — ნუცუბიძის და უკანახაზელი აკოლაშვილის ასკ-ში გადასვლა კი „შევარდენისთვის“ ყველაზე დიდი დანაკლისი იყო. მოკლე სკამის გამო იძულებული ვართ, ჩვენთვის შეუფერებელ ამპლუაში ვითამაშოთ და ძირითადად სამქულიანების იმედად ვიყოთ.

**— კახა მაჭავარიანის შესახებ რას გვეტყვით. ისიც აღარ ჩანს „შევარდენში“...**

— მესამე წრეში, „ვითასთან“ შეხვედრის დროს კახამ ხელი მოიტეხა და ამიტომ ვერ თამაშობდა. დღეისთვის იგი ფორმაშია, „ვითას“ წინააღმდეგაც შეეძლო გამოსულიყო, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობამ თავი შეიკავა. ამჟამად ჩვენი უმთავრესი მიზანი სატურნირო ცხრილში მეზობლად მყოფი გუნდებთან წარმატებით გამოსვლაა. თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უმაღლესი ლიგის დატოვება მოგვიწევს. მაჭავარიანიც „შევარდენის“ ხელმძღვანელობამ სწორედ კარის მეზობლებთან თამაშისთვის შემოინახა.

**— როგორ ფიქრობთ, ასეთი შემადგენლობით „შევარდენი“, რომელიც მყარად ზის ბოლოსწინა ადგილზე, შეძლებს ადგილის შენარჩუნებას უმაღლეს ლიგაში?**

— აკოლაშვილი და ნუცუბიძე რომ შეგვენარჩუნებინა, უმაღლეს ლიგაში ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი სადავო არ იქნებოდა. როდესაც ისინი ჩვენს გუნდში თამაშობდნენ, კონკურენტებს დაუბრკოლებლად ვძლიეთ და სხვა გუნდებისთვისაც ანგარიშგასაწევ ძალად ვითვლებოდით. ამჟამად ლიგაში დარჩენის თეორიულ შანსს ჯერ კიდევ ვინარჩუნებთ. თუ დავამარცხებთ „მაკაბის“, „კოლხას“ და ასკ-ს. ხოლო „კოლხა“ მხოლოდ ერთი გამარჯვებით შემოიფარგლება, მაშინ მასთან თანაბარი ქულების შემთხვევაში უკეთესი მაჩვენებლებით ლიგაში ადგილს შევინარჩუნებთ.

**— თუ „შევარდენი“ გავარდა, პირველ ლიგაში ითამაშებთ?**

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენთან ჯერ უმაღლესი ლიგა რაა და პირველი რა უნდა იყოს. დონეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, იქ ძალიან ცოტა მატჩები იმართება.

**— თქვენ ადრე თსუ-ში თამაშობდით. „შევარდენში“ როგორღა აღმოჩნდით?**

— თსუ-ში სტუდენტობის დროს ვთამაშობდი, ძირითადად სტუდენტურ ლიგაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვალდებული აღარ ვიყავი თსუ-ში მეთამაშა და გუნდიც გამოვიცვალე.

**— ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ მამათქვენი, ბატონი ანტონ კაზანჯიანი 60-იანი წლების თბილისის „დინამოს“ წევრი იყო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და 1969 წელს თასების თასის ფინალშიც ითამაშა. თქვენი არჩევანი ოჯახური ტრადიციის გაგრძელების აუცილებლობამ ხომ არ განაპირობა?**

— კალათბურთის სიყვარულმა და ოჯახური ტრადიციის გაგრძელების სურვილმა. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება.

**— კონკრეტულად ხომ ვერ გვეტყვით თქვენი ოჯახის შესახებ?**

— მამაჩემი წარმოშობით ბათუმიდანაა, ხოლო დედაჩემი ქუთაისელი ჯორბენაძის ქალია. მყავს ერთი ძმა, რომელიც დროებით ცხოვრობს მოსკოვში. ვარ უცოლო.

**— ასეთი ქერა, დედას ხომ არ ჰგავხართ?**

— რატომ, არც მამაჩემია შავგრემანი. დედის და მამის მხრიდანაც ბებიები მყავს პოლონელები და შეიძლება, იმათი გენი გამომყვა.

**— ამჟამად მარტო კალათბურთის თამაშით ხართ დაკავებული?**

— ვსწავლობ სპორტის აკადემიაში, მწვრთნელთა ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. თითქმის 5 წელიწადია, მამაჩემთან ერთად ვავარჯიშებ ბავშვებს.

**— მომავალშიც ბავშვებთან მუშაობას აპირებთ?**

— ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

**როლანდ ლაბუჩიძე**

---

რეგულარული ჩემპიონატი

# სტეფანია: ყველაზე მეტი

NBA

### პორტლენდი 119:84 სიეტლი

**პორტლენდი:** სტედემაიერი (31), ჯეკსონი (5), ვილიამსი (20), ბ. გრანტი (8), საბონისი (16 ქულა, 11 მოხსნა), რაიდერი (14), ოგმონი (11), ვოლესი (8), ონილი (4), კატო (2), ენტონი, გ. გრანტი

**სიეტლი:** პეიტონი (7), ჰოკინსი (4), შრემპფი (13), მაკლინი (7), პოლინაისი (6), ელისი (13), კოტონი (10), მაკკოი (10), **სტეფანია** (6), ვილიამსი (5 ქულა, 8 მოხსნა), კროტი (3)

ტრავმამოშუშებულმა ვოვა სტეფანიამ ზედიზედ მეორე, საერთოდ კი ოცდამეერთე თამაშში მიიღო მონაწილეობა. მან წინა ოცზე მეტ ხანს დაჰყო მოედანზე, მთელი 24 წუთი ითამაშა და ექვს ქულას სამ-სამი მოხსნა-დაფარება და ერთიც შედეგიანი გადაცემა დაურთო.

იმ დღეს „სონიქსის“ ლიდერის გერი პეიტონის მეურვეობა და შეჩერება სტუმართაგან დეიმონ სტუდმაიერს დაევალა, მაგრამ დიდი შრომა არ დასჭირდა, გერი ფაქტობრივად იდგა, შეტევაში (და დაცვაშიც) საცოდავად გამოიყურებოდა. არადა, ლიგაში ზუსტი სროლებითა და შეტევათა ორგანიზებით ცნობილი სიეტლი არც საკუთარი ფარის მისადგომების გამაგრებაში მოიკოჭლებს. პორტლენდთან შეხვედრაში კი პეიტონი აშკარად დაჩაგრა მასზე 15 სანტიმეტრით „მოკლე“ სტუდემაიერმა, რომელმაც ამ სეზონში უჩვეულოდ ბევრი ქულა ჩაუგდო მეტოქეს. 31 ქულაზე მეტი წლეულს პორტლენდელთაგან მხოლოდ აიზია რაიდერს ჩაუგდია. სიეტლის უმთავრეს დამრტმელ ძალასა და გონებას — პეიტონს, სხვა „ზებგერითებმაც“ მიბაძეს და მეტოქეს ყველაფრის გაკეთების საშუალება მისცეს. მოწინააღმდეგეც ბომბავდა და ბომბავდა მათ კალათს. ყოველივე ამის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი — სიეტლმა, პორტლენდში იქაურ „თრეილ ბლეიზერსს“ რომ მაინც ვერაფერს დააკლებდა, ძალები დაზოგა, გაცილებით სუსტი მეტოქეებისთვის შემოინახა. იქნებ ეს ასეც იყოს, რადგან დარჩენილი ოთხი მეტოქიდან სიეტლზე ძლიერ გუნდად მხოლოდ ლეიკერსი თუ ჩაითვლება. დანარჩენი სამის — დენვერის, დალასის და კლიპერსის სახით სტეფანიას გუნდს არცთუ მძლავრი მეტოქეები ჰყავს, თუმცაღა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ სამეულს სიურპრიზები უყვართ. კლიპერსი კი სულაც ამის „დიდოსტატად“ ითვლება ლიგაში.

### მინესოტა 97:92 ფინიქსი

**მინესოტა:** მიჩელი (25), ბრენდონი (16 ქულა, 16 პასი)

**ფინიქსი:** კიდი (29 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა, 6 ჩაჭრა)

ორივე გუნდი — მინესოტა და ფინიქსიც სიეტლის კონკურენტები არიან, მაგრამ „სუპერსონიქსს“ მინესოტას მოგება უფრო აძლევდა ხელს, რადგან ამ გუნდმა ფინიქსთან შეხვედრამდე ზედიზედ ოთხი შეხვედრა წააგო და დასავლეთში მეექვსე ადგილიდან მერვეზე ჩამოვარდა. ახლა იგი სიეტლის და საკრამენტოს ეომება პლეი ოფის საგზურისთვის.

რაც შეეხება ფინიქსს, აქ საქმე პირიქითაა. იგი მინესოტას მიერ განთავისუფლებულ მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა და ახლა მისთვის რომ ეჯობნა, უფრო მყარად მოკალათდებოდა, მაგრამ იმ დღეს მეტოქე უკეთ ირჯებოდა. მასპინძლებმა პირველი ნახევარი 14 ქულით მოიგეს 52:38. ფინიქსს ასეთ სიტუაციაში დათმობა და ყურების ჩამოყრა არ სჩვევია და ჯეისონ კიდის წინამძღოლობით თითქმის მიაღწიეს საწადელს, მაგრამ ბოლო წუთებზე სემ მიჩელის და ტერელ ბრენდონის თავგამოდებამ თავისი გაიტანა. საბოლოოდ მიჩელმა სეზონში მისთვის უმეტეს, 25 ქულას გამოჰკრა ხელი, მარბერიმ — კარიერაში სარეკორდო 16 პასს.

### მილუოკი 115:102 ტორონტო

**მილუოკი:** ტომასი (21), რობინსონი (18)

**ტორონტო:** ბრაუნი (29), კარტერი (20)

მილუოკის თავი ქუდში აქვს, მის მეტოქე ტორონტოს კი თავის ოთხწლიან ისტორიაში პლეი ოფში მოხვედრის ურეალურესი შანსი გაუჩნდა, მაგრამ ამას გამოყენება და რაც შეიძლება მეტი მოგება უნდა, რასაც ნბა-ში ეგრეც არ არიგებენ. ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კანადურმა გუნდმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, ამისთვის ძალა არ მიჰყვა სეზონის ბოლომდე.

მილუოკისთან მატჩის დასაწყისისთანავე გაფუჭებული საქმის გამოსწორება სტუმრებმა სამქულიანებით განიზრახეს. ეს საქმე დი ბრაუნმა ითავა და თავის მიერ დამყარებული კლუბის რეკორდი — 7 სამქულიანი — ორით გააუმჯობესა, მაგრამ ამაოდ...

### ორლანდო 93:86 ვაშინგტონი

**ორლანდო:** არმსტრონგი (21 ქულა, 9 პასი)

**ვაშინგტონი:** ჩინი (19)

ორლანდოს მწვრთნელ რაკ დეილის თავისი გუნდისთვის ახალი სქემა მოუფიქრებია — სამი უკანახაზელით ათამაშებს გუნდს და ეს გარკვეულწილად ამართლებს კიდეც. ცენტრ ოსტონისა და თავდამსხმელ გრანტის მხარდამხარ „მეჯიქის“ სასტარტო ხუთეულში თამაშობენ — დარელ არმსტრონგი, პენი ჰარდევეი და ნიკ ანდერსონი. დედაქალაქელებს ხუთივემ ათზე მეტი ქულა ჩაუგდო და მასპინძლებმაც ღირსეულად იმარჯვეს. არა, ვაშინგტონი კი იბრძოდა, მაგრამ გამარჯვება მაინც ძლიერს დარჩა.

### დეტროიტი 101:93 ნიუ ჯერსი

**დეტროიტი:** ჰილი (25), ვილიამსი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** გილი (22), მარბერი (21 ქულა, 12 პასი)

ნიუ ჯერსის ვარსკვლავები თავზე საყრელად ჰყავს, მაგრამ ამ გუნდმა მაინც ვერ შეძლო პლეი ოფისთვის ბრძოლა — იმედები გადაეწურა. აი, დეტროიტი კი ვფიქრობ, მოხვდება პლეი ოფში, ამისთვის ერთი-ორი გამარჯვებაც ყოფნის.

### ატლანტა 76:73 ნიუ იორკი

**ატლანტა:** მუტამბო (18 ქულა, 18 მოხსნა)

**ნიუ იორკი:** სპრიუელი (29)

ამ ერთობ დაძაბული მატჩის ბედი ატლანტელმა სტივ სმიტმა (17 ქულა) გადაწყვიტა. მან ბოლო 9 წამში არც მეტი, არც ნაკლები, 7 საჯარიმო ჩაუგდო ნიუ იორკს.

**ირაკლი ფირაშვილი**

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| მაიამი* | 31 | 14 | 68,9 |
| ორლანდო* | 31 | 17 | 64,6 |
| ფილადელფია | 26 | 19 | 57,8 |
| ნიუ იორკი | 24 | 22 | 52,2 |
| ბოსტონი | 18 | 28 | 39,1 |
| ვაშინგტონი | 16 | 30 | 34,8 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 32 | 30,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ატლანტა* | 29 | 17 | 63,0 |
| ინდიანა* | 29 | 17 | 63,0 |
| მილუოკი | 26 | 20 | 56,5 |
| დეტროიტი | 26 | 20 | 56,5 |
| შარლოტი | 23 | 22 | 55,1 |
| ტორონტო | 22 | 24 | 47,8 |
| კლივლენდი | 21 | 24 | 46,7 |
| ჩიკაგო | 12 | 34 | 26,1 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| იუტა* | 34 | 12 | 73,9 |
| სან ანტონიო* | 32 | 13 | 71,1 |
| ჰიუსტონი* | 28 | 17 | 62,2 |
| მინესოტა | 23 | 23 | 50,0 |
| დალასი | 17 | 29 | 37,0 |
| დენვერი | 14 | 31 | 31,1 |
| ვანკუვერი | 8 | 38 | 17,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი* | 34 | 11 | 75,6 |
| ლეიკერსი* | 27 | 19 | 58,7 |
| ფინიქსი | 24 | 22 | 52,2 |
| საკრამენტო | 23 | 23 | 50,0 |
| სიეტლი | 22 | 24 | 47,8 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 25 | 44,4 |
| კლიპერსი | 9 | 36 | 20,0 |

** — გავიდნენ პლეი ოფში*




დეტროიტი — ნიუ ჯერსი. კერი კიტლზი უკნიდან ცდილობს დეტროიტელი გრანტ ჰილისთვის ბურთის წართმევას

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# არ გინდოდა მწვანეები?



გორან ივანიშევიჩი

**ჩეხეთის** ღია პირველობის პირველ წრეში გორან ივანიშევიჩმა მატჩზე გაცილებით მეტი წააგო.

ექსტრავაგანტულმა ხორვატმა ყველასათვის უცნობ გერმანელ მარკუს ჰანჩკესთან პირველი სეტი 7:6 (7:4) მოიგო, როდესაც სიბნელის გამო მატჩი მეორე დღისთვის გადაიტანეს. დილით კი გორანი თამაშის ხასიათზე სულაც არ გახლდათ: რამდენჯერმე დარტყმული განზრახ ააცილა, სირბილი დაიზარა, ზუსტად ერთ საათში დარჩენილი ორი სეტი 2:6, 4:6 წააგო და მაყურებლების ბარაქიანი სტვენაც დაიმსახურა.

ჰოდა, ივანიშევიჩის საქციელმა მასპინძლები მართლაც რომ ძალიან განარისხა. წესით, თავის შეწუხებისთვის და პრალელების თვალწინ გამოჭიმვისთვის ხორვატს 100 000 დოლარი უნდა მიელო, მაგრამ ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორის, პეტრ კოვარჩიკის თქმით, ამ თანხიდან უმადურ სტუმარს ცენტიც არ ერგება: „მისი თამაში არაფრად ღირდა, ამიტომ არაფერსაც არ მიიღებს“.

ივანიშევიჩი გაჭირვებული კაცი ნამდვილად არ არის, მაგრამ ქვა ალმართში მაინც დააწიეს: რაკილა თამაშის გარდა უიმბლდონის სამგზის ფინალისტი პრესკონფერენციაზე გამოცხადების გუნებაზეც არ გახლდათ, ცალკე ამაზეც გამოუწერეს ჯარიმა.

თუმცა პრალაში მარტო გორანი არ დაზარალებულა. როგორც კოვარჩიკმა მოგვიანებით განაცხადა, იგივე 100 000 არც ტურნირზე პირველად განთესილ ევგენი კაფელნიკოვს წაუღია ჩეხეთის დედაქალაქიდან.

# სამპრასის მორიგი რეკორდი

**გასულ** კვირაში მონტე კარლოში ATP ტურის თავგამოჩენილ ჩოგბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალი შედგა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის საუკეთესო ჩოგბურთელად, ზედიზედ მეექვსედ, პიტ სამპრასი დაასახელეს. ამერიკელის ისედაც ფრიად წარმატებულ კარიერას ამით კიდევ ერთი რეკორდი მიემატა — აქამდე, პისტოლ პიტის დარად, მსგავსი პატივი ზედიზედ ხუთჯერ ლეგენდარულ ბიორნ ბორგსაც რგებოდა (1976-1980).

წლის საუკეთესო წყვილად მფრინავი ჰოლანდიელები — იაკო ელტინგი და პოლ ჰაარჰიუსი შერაცხეს, რომლებმაც შარშან ორი დიდი სლემის ტურნირი და მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. მუხლის ტრავმის გამო ელტინგი სეზონის ბოლოს დიდ სპორტს გამოეთხოვა, თუმცა მონტე კარლოში მაინც თავისი პროფესიის გამო იმყოფებოდა — იგი ახლა ევროსპორტის კომენტატორია.

აშშ-ის ორგზის ჩემპიონ პატრიკ რაფტერს არტურ ეშის სახელობის წლის ქველმოქმედის ჯილდო გადასცეს. ავსტრალიელმა თებერვალში საქველმოქმედო ორგანიზაცია „მოვუაროთ პატარებს“ დააარსა, რომელიც უსახლკარო, ნარკომან და ავადმყოფ ბავშვებს დაეხმარება.



პატრიკ რაფტერი

სხვა ჯილდოები ასე განაწილდა:

სპორტული სულისთვის — ალექს კორეტხა

წლის ახალბედა — მარატ საფინი

ყველაზე გაუმჯობესებული ჩოგბურთელი — ანდრე აგასი

საუკეთესო ტურნირები — კი ბისკეინი და დუბაი

საუკეთესო ვეტერანი — ჯონ მაკინროი

# ბილეთები, ბილეთები...

**უიმბლდონზე** მატჩებით ტკბობა რომ ძვირი სიამოვნებაა, ალბათ, ყველას მოეხსენება, მაგრამ სუსტგულიანებს ამ ამბის ბოლომდე ჩაკითხვას მაინც არ გირჩევთ.

სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთის ასოციაციამ (AELTG) 2001-2005 წლებისთვის უიმბლდონზე დასასწრები აბონემენტები გამოუშვა, სულ 23900 ცალი და თითოეულის 23500 ფუნტ სტერლინგად (37400$) გაყიდვას აპირებს. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვეულებრივ აბონემენტებს წყვილ-წყვილად ასაღებენ, ინგლისის ზოგიერთ ნაწილში კერძო სახლის ღირებულებაზე მეტ თანხას მიიღებთ.

თუმცა რარიგ განცვიფრებულიც უნდა დარჩეთ, ამ აბონემენტების უსაშველოდ სქელჯიბიანი პატრონები, პირიქით მოგებულნი რჩებიან. ჯერ ერთი, უიმბლდონზე ფინალის თითოეული ბილეთი 2000 ფუნტზე მეტი ღირს ხოლმე. მეორეც, შეგიძლიათ, თქვენი საკუთრება მოგვიანებით არანაკლებ სარფიანად გაყიდოთ. მაგალითად, ძველი, 1996-2000 წლების აბონემენტი, რომლითაც მხოლოდ ორ ჩემპიონატსღა შეგიძლიათ დაესწროთ, ახლაც კი დაახლოებით 17000 ფუნტი ღირს.

* * *

**ბევრს** საუბრობენ იმის შესახებ, რომ აშშ-ში კაცების ჩოგბურთი, მით უმეტეს, დევისის თასის გათამაშება სულ უფრო კარგავს პოპულარობას, მაგრამ ფაქტები სულ სხვაზე მეტყველებს.

მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებული მეოთხედფინალური შეხვედრა აშშ-სა და ავსტრალიას შორის 16-18 ივლისს უნდა გაიმართოს, მაგრამ ამერიკის ჩოგბურთის ასოციაციამ (USTA) ბილეთები ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გამოიტანა გასაყიდად. გამოიტანა და მოულოდნელად რეკორდიც დაამყარა: ბოსტონის 5342-ადგილიან სტადიონ „ლონგვუდ კრიკეტ ქლაბში“, სადაც 1900 წელს პირველი დევისის თასის შეხვედრა გაიმართა, ბილეთები 81 წუთში დაიტაცეს.

ასე რომ ახლა USTA დამატებითი სკამების დადგმასაც კი აპირებს. გვინდა, რაც შეიძლება მეტ ქომაგს მივცეთ ამ გამორჩეულ მატჩზე დასწრების შესაძლებლობაო, ასე ბრძანა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ჯეფ რაიენმა ხელის კიდევ უფრო მოთბობის თაობაზე.

**ავთანდილ სვანიძე**





ლუდმილა ენკვისტი: კიბო მე რას დამაკლებს... მაინც ვირბენ

# მაინც ყველაზე დიდი მექნება



ლუდმილა ენკვისტი ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე

**ამ** ოცდათხუთმეტიოდე წლის წინ, რუს ნაროყილენკოდ შობილი, ხოლო 1993-დან შვედ ენკვისტად ქცეული ლუდმილა 100 მეტრზე თარჯრბენში ატლანტის 1996 წლის ოლიმპიური და მსოფლიოს 1991 და 1997 წლების ჩემპიონია. ამ ერთი თვის წინ იგი მის ერთ-ერთ ღონიერ მკერდს შეუწუხებია. ექიმებს კიბო დაუდგენიათ და უმალ სადასტაქრო მაგიდაზე გაუწვენიათ. ნაოპერაციევს კი ისე უთქვამთ, რომ სარბიელზე სავარჯიშოდ გასვლა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ და ისიც, ან კი, ან არა, შეიძლებაო. მაგრამ რაღა გინდა — ლუდას ექიმებისა არ შეუსმენია და უკვე რამდენიმე დღეში ალმართებში ტუნძულს შესდგომია.

შესდგომია და ისე მაგას კაი დაემართა. მეორე ვარჯიშზევე სენმა ხელახლა გამოიღვიძა და ორგანიზმს მეტი დაუნდობლობითაც დაერია. ახლა თურმე მთელი იმედები მარტო ქიმიოთერაპიაზე ყოფილა...

„პირველი რეაქცია ის იყო, რომ თავის მოკვლა მომინდა. ვიფიქრე, აბა, უმკერდო და უთმებო ქალი (ამბობენ ნაქიმიოთერაპიევს ეგრეც ხდებაო) ჩემს მეუღლე იოჰანს რაღა ჯანდაბად უნდამეთქი... მაგრამ მერე ცოტა დავწყნარდი. განა ახლა ისეთ დროში არა ვცხოვრობთ, როცა ქალს ახალი მკერდის დაყენებაც შეუძლია და ახალი ღინლლით შემოსვაც? ამიტომაც, გაისად სიდნეის ოლიმპიადაზე იმხელა მკერდებს გამოვიბამ, ავ თვალს კი არა, არანაირს რომ არ დანახვებოდეს... სხვა რომ არა იყოს რა, დიდი მკერდი სხეულს სიმძიმის ძალასაც შეუცვლის და თარჯებს ისევე მარდად გადავახტები... როგორც ჩემს იოჰანს!“, - უკურნებელი სენით შეპყრობილი ქალისგან ასეთი სიტყვების მოსმენა, დაგვეთანხმებით, დიდი უცნაური რამაა, და თუკი ჩვენ მისი ტექსტიდან რამეს ვცვლით, ერთადერთი იმას, რომ უფრო კეთილხმოვან „ძუძუს“ ნაცვლად ნაკლებ მჟღერ „მკერდს“ ვხმარობთ.

სიდნეის ოლიმპიადაზე გამოსვლას კი ლუდმილა მართლაც ჰალალად ემურება: „აბა როგორ გინდათ? სიკვდილზე მეტად იმის მეშინია, მთელი ცხოვრება სამზარეულოში ჯდომა და უნალექო ყავის სმა არ მომიხდეს. მაშინ ლუდა მოკვდეს, ჩემი ერთადერთი მიზანი მხოლოდ გადარჩენა რომ იყოს. ჩემი მიზანი ფორმის დაბრუნება და ძველებურად სირბილია. არც მეტი და არც ნაკლები!“, — ამბობს ქალი და ისე იღიმება, კაცს ყავის სმასა და მცონარობაში გაფლანგული წლებისა გრცხვენია და იმ იოჰან ენკვისტისა გშურს, ეგეთი გულის ხვაშიადი რომ ჰყოლია...

**ლევან ძელაურაძე**



# ოსკარმა მეკობრე გაქარცვა




მარკო პანტანის დამმარცხებელ ოსკარ კამენზინდს გვერდს იტალიელი ლამაზმანები უმშვენებენ

**ამ** კვირაში ველოსიპედისტთა მორიგ შეჯიბრს ავსტრია და იტალია მასპინძლობენ. „ტრენტინის ტურში“ ბევრი ცნობილი და ძლიერი სპორტსმენი ჩაება.

პირველი ეტაპი, რომელიც ორშაბათს გაიმართა, იტალიელი პაოლო სავოლდელის (საეკო) გამარჯვებით დასრულდა. გზა საკმაოდ მთიანი და ძნელად გასავლელი იყო, რაც პირველი ეტაპისათვის მეტად უჩვეულო რამაა. სავოლდელიმ, ვისაც აქ შარშან უმარჯვია, ხუთი წამი მოუგო გერმანელ იენს ჰეპნერსა და იტალიელ კრისტიან გასპერონის.

ფინიშამდე 30 კილომეტრით ადრე რამდენიმე მრბოლი, რომელთა შორის თითქმის ყველა ფავორიტი იყო (იტალიელი მარკო პანტანი, შვეიცარიელი ოსკარ კამენზინდი, ფრანგი რიშარ ვირანკი...), პელოტონს გამოეყო. ამათგან ყველაზე უიღბლო ფრანგი აღმოჩნდა, რომელიც წაიქცა და მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც მეორე ეტაპზეც გაუშვა ხელიდან მოგების შანსი. დანარჩენებმა ბევრჯერ სცადეს შეტევა, მაგრამ საუცხოო ფორმაში მყოფმა პანტანიმ არავის მისცა ჯგუფიდან მოწყვეტის საშუალება.

ფინიშისწინა დაღმართზე კი ის, რაც სხვებმა ვერ მოახერხეს, სავოლდელიმ შეძლო და ლიდერის ყვითელი მაისურიც ირგუნა.

176 კმ-იანი მეორე ეტაპი რიკარდო ფორკონიმ (იტალია, მერკატონე უნო) მოიგო, საერთო ჩათვლაში პირველობა კი სავოლდელიმ შეინარჩუნა.

მეკობრის, ასე ეძახიან მარკო პანტანის, ერთგულმა თანაგუნდელმა სპრინტში აჯობა ყველას, სპრინტი კი „პასოს“ მწვერვალზე, ზღვის დონიდან 1363 მეტრ სიმაღლეზე გაიმართა. თვითონ მეკობრემ საბოლოო შეტევა 3 კმ-ით ადრე განახორციელა, მაგრამ დანარჩენებმა უმალ იგუმანეს და გაქცევის საშუალება არ მისცეს. სპრინტში ყველა ფავორიტი ერთმანეთს მეთვალყურეობდა და ფორკონის, რომლისთვისაც სამშაბათს მიღწეული წარმატება თავისი შვიდწლიანი კარიერის მანძილზე ყველაზე დიდია, არავინ მეურვეობდა. ამით მან კარგად ისარგებლა და პანტანის მიერ გაქანებულმა პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

მესამე ეტაპი ავსტრიაში დაიწყო და იტალიაში დასრულდა. მისი მოგება მსოფლიოს ჩემპიონმა ოსკარ კამენზინდმა შეძლო (ლამპრე). შვეიცარიელისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო ამ სეზონში. საერთო ჩათვლაში კი პირველი კვლავაც სავოლდელი დარჩა. მარკო პანტანი, რომელიც მეორე ადგილზეა, მას მხოლოდ 7 წამით ჩამორჩება და ამიტომ, შეძლებს თუ ვერა სავოლდელი შარშანდელი წარმატების გამეორებას, ძნელი სათქმელია.

157 კმ მრბოლებმა დიდი ვნებათაღელვის გარეშე გაიარეს. ბოლო 400 მეტრიღა იყო დარჩენილი, როცა პანტანიმ იერიში სცადა. კამენზინდი მას უმალ ბორბალში ჩაუჯდა და ფინიშამდე 50 მეტრით ადრე გადაასწრო კიდეც.

„ტრენტინის ტურის“ ბოლო ეტაპი გუშინ გვიან გაიმართა და ვინ გაიმარჯვა, ხვალ გაცნობებთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

რაგბი

# ჯეისონ, ვისი გორისა ხარ?!

უელსის სარაგბო ნაკრები 5-დან 12 ივნისამდე არგენტინას ეწვევა და იქ 5 შეხვედრას გამართავს. საამტურნეოდ უელსელთა ახალზელანდიელმა თავკაცმა გრემ ჰენრიმ 37 მობურთალს უხმო. მათ შორის სამს: „სუანსის“ 27 წლის ნახევარმცველ რობერტ ჯოუნსს, ახალზელანდიური წარმომავლობის მორკინალ რიჩარდ ერნოლდსა და „ლანელის“ ფლანკერ იან ბუბაიერს პირველად მიეცემათ ნაკრების მაისურის მორგების შანსი.

უფრო შორეული ამბებისთვის კი გრემ ჰენრის 22 წლის ავსტრალიელი მორაგბე, შუამარბი ჯეისონ ჯოუნს-ჰიუზიც შეუგულებია და მას უელსის ნაკრებში გადმოსვლას ეაჯება. ჯოუნს-ჰიუზზე ამბობენ, ახალგარდა ავსტრალიელთა შორის უნიჭიერესი ვინმეაო და, რამდენადაც უელსელთა სახელით გამოსვლას მისი მამის უელსური წარმომავლობაც უწყობს ხელს, იმდენადვე ჰენრისა და ამქარს მაგრად ეიმედებათ, რომ ამ საქმისათვის ეუვნის შებმასაც მოახერხებენ. ეს მით უფრო, რომ თავად მორაგბე უელსური რაგბის თანამედროვე მდგომარეობაზე მეტად მაღალი წარმოდგენისა ბრძანებულა და შემოთავაზებასაც საკმაოდ მიმზიდველად მიიჩნევს.

ლევან ძელაურაძე

ოლიმპიზმი

# როჟემ, გვაპატიეთ!



სოკ-ის ერთ-ერთ ბობოლას, სიდნეი-2000-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარესა და სამარანჩის მემკვიდრეთა შორის არცთუ ხელწამოსაკრავად მიჩნეულ ჟაკ როჟეს, ამ დღეებში მხოლოდ ეპო-სა და სხვა აკრძალულ პრეპარატებზე არ უსაუბრია. ავსტრალიაში იქაური სპონსორებისთვის დასაყვავებლად და მათ ჯიბეებში საჯირგალაოდ ჩასულს, თუკი სოკ-მა ამ ბოლო დროს რამე მიჰქარა და მისთანანები, გვაპატიეთო, აი, ეგეთი ზეთისხილიანი ტონითაც ულადავია.

როჟეს ავსტრალიური მისიის შიგთავსი ადვილად განსაჭვრეტია რამაა. სოკ-ის სახელგატეხილობითა და ქრთამიანობით დამფრთხალი სპონსორები საოლიმპიადო თანხებს ოდინდელი სიხალისით აღარ იძლევიან და სიდნეელებს ამ მიზეზის გამო თავიანთი ბიუჯეტის 48,5 მილიონით შეკვეცა მოუხდათ, ამიტომაც ანაზღაურებასაც სოკ-ისაგან გამოელიან. სოკ-ს კი, ბაბაია, ამდენი ფული არა აქვს და ერთი ისღა დარჩენია, თავზე ნაცარი მოიყაროს, მარჯვნივ-მარცხნივ ბოდიშები და გამოსწორების დაპირებები არიგოს და ამგვარი ქმედები დაუბრებულ მეფულეთათვის ოდნავ კრიჭის გახსნაც სცადოს და ქისისაც.

ჰოდა, აბა, გუშინ როჟესათვის უნდა გესმინათ... ეს ჩვენი დიდი ბოდიშობანაო, ეს ყველაფერში დამნაშავე ჩვენა ვართო, ეს თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირსო, ეს ათლეტები თუ სპონსორები როგორ დავაღალატეთო, ეს, ჩვენ დედებს ვფიცავართ, მრუდი განიმართება და ხმელი განედლდებაო და მრავალი ეგეთი.

ხოლო სპონსორებმა რაღა? — ეგ ჯერ-ჯერობით არ ვიცით, თუმც კი დიდი იმედი გვაქვს, რომ დასავლური წყაროები მაგ ამბავსაც უკლებლივ დაგვიკაკლავენ და ჩვენც თქვენთან ოლიმპიურად გასაუბრების კიდევ ერთი შანსი მოგვეცემა.

ლევან ძელაურაძე

თხილამურები

# ჯერ სამშობლო, მერე კაცი

ვეტერან შვედ სამთო მოთხილამურეს, პერნილა ვიბერგს ბოიფრენდი, ანუ ჩვენებურად მეწყვილე მამრი ნორვეგიელი ჰყოლია. ჰოდა, ამ თავის მეწყვილის ხათრით, მთელი წინა სეზონი ხომ ნორვეგიელებთან ერთად ივარჯიშა და მომავალსაც, თურმე, მათსავე ბანაკებში გატარებას უპირებს. მაგრამ ვარჯიში ვარჯიშად, ხოლო ბოიფრენდი ბოიფრენდად. და რაწამს საქმე ოფიციალურ ასპარეზობამდე მივა, პერნილა, წინისა არ იყოს, ახალ სეზონშიც ისევ შვედურ ლაბადას მოისხამს და მშობლიური ნაკრების რიგში ჩადგება. ამის შესახებ პერნილა, მისი მეწყვილე ხვადი და შვედთა ფედერაცია ხელახლა და მოყვრულად მოთათბირებულან.



პერნილა ვიბერგი

ჰოკეი

# ადრე შეგდება ზარალია

STANLEY CUP PLAYOFFS

28 აპრილი

აღმოსავლეთი

**კაროლინა — ბოსტონი 2:2**

**ბოსტონი — კაროლინა 4:1**

**0:1 1:0 3:0**

0:1 შეპარდი 4'21 (4); 1:1 სუინი 38'18 (1); 2:1 უილსონი 43'54 (1); 3:1 ჰაინცე 51'16 (2); 4:1 დიმაიო 59'23 (2)

მატჩის შემდეგ კაროლინელებმა მარცხის მიზეზად ერთხმად დაასახელეს მათ მიერ გატანილი გოლი: „ჩვენ ძალიან ადრე შევაგდეთ და მოვდუნდით, თანაც ჩვენთვის ჩვეულ ხისტ თამაშს ვუღალატეთ. ამიტომაც დავისაჯეთ“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა პოლ მორისმა. თუმცა ბოსტონელებსაც მივაგოთ კუთვნილი — ისინი ზედმიწევნით კარგად იცავდნენ კარს და მეკარე ბაირონ დაფოს სულ 23 დარტყმა მოაგერიებინეს. იგიც ძალიან ემადლიერებოდა თანაგუნდელებს, ბიჭები ყველანაირად ცდილობდნენ, რათა ყველაფერი დამენახა და არც ერთი დარტყმა არ გამომპარვოდაო.

მეორე პერიოდის შემდეგ, მიუხედავად მასპინძელთა უპირატესობისა, ანგარიში საყაიმო იყო. ბოლო მესამედში კი მაყურებელი კიდევ ერთხელ მოიხიბლა 19 წლის ვუნდერკინდის ჯო ტორნტონის ოსტატობით. შარშანდელი დრაფტის პირველმა ნომერმა წლეულს ჩინებულად იასპარეზა (გასული სეზონის სამისგან განსხვავებით, 16 გოლი გაიტანა) და აგერ, ახლა, სერიის გადამწყვეტ მატჩშიც ივარგა. გამოჯანმრთელდა თუ არა (ფორვარდმა სერიის პირველი ორი შეხვედრა გამოტოვა) ტორნტონი, უმალ ათამაშდა „დათვების“ მეორე სამეული. გადამწყვეტი, მეორე და მესამე შაიბები სწორედ ჯოს პასების შემდეგ გავიდა.

**ტორონტო — ფილადელფია 2:2**

**ფილადელფია — ტორონტო 5:2**

**2:2 2:0 1:0**

1:0 ბერუბი 6'28 (1); 1:1 ბერეზინი 9'47 (1); 2:1 ლეკლერი 11'44 (2); 2:2 სალივანი 12'22 (1); 3:2 დეჟარდენი 23'19 (2); 4:2 ლეკლერი 37'57 (3); 5:2 ბრინდამორი 59'38 (1)

ისევე, როგორც კაროლინა — ბოსტონის პაექრობაში, აქაც მთავარი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. ისეც შეიძლება მოხდეს, სერიების ბედი ბოლო, მე-7 მატჩებში გადაწყდეს.

ამ თამაშში კი ბევრი რამ 23-ე წუთზე მომხდარმა ინციდენტმა განაპირობა. წინა შეხვედრაში წაკინკლავებულმა სენდი მაკარტიმ და ტაი დომიმ (მაკარტის თქმით, იგი დომის რასისტულმა გამონათქვამებმა გააცხარა) კვლავ იჩხუბეს, ოღონდ ახლა ფილადელფიელმა უხეშობისგან თავი შეიკავა და სტუმრის გამოხდომას არ უპასუხა. შედეგად ტორონტოელი დაჯარიმდა, მასპინძლებმა კი რიცხვმრავლობაში გაიტანეს და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს. ასე გაუმკლავდა მაკარტი მეტოქეს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ გოლში მისი წვლილიცაა, გამოდის, რომ იგი მატჩის გმირია. თუმცა არც ერიკ დეჟარდენი და ჯონ ლეკლერი უნდა დავივიწყოთ, რომლებმაც 5 ქულა მიითვალეს. დიდი იყო „მფრინავთა“ საგანგებო ბრიგადების დამსახურებაც — მეორე პერიოდის მიწურულს, როცა მასპინძლებმა მთელი ორი წუთი დაჰყვეს ორკაციან უმცირესობაში, მათ მეტოქეს გოლის გატანა არ დაანებეს.

**კოლორადო — სან ხოსე 2:1**

**კოლორადო — სან ხოსე 2:4**

**0:1 1:0 1:3**

0:1 რიჩი 15'18 (1); 1:1 ფორსბერგი 26'08 (1); 1:2 შტურმი 49'52 (1); 1:3 შტურმი 53'08 (2); 2:3 დედმარში 58'09 (1); 2:4 ნოლანი 59'21 (1)

„მაიკისგან ამას ველოდი. იგი ყოველთვის მებრძოლი სულისკვეთების კაცი იყო“ — ვის-ვის და, კოლორადოს ლიდერსა და კაპიტან ჯო საკიკს არ ესწავლება, თუ რა შესაძლებლობების პატრონია მისი ყოფილი პარტნიორი მაიკ რიჩი. სხვა დენვერელებმაც კარგად უწყიან 1997 წლის ნოემბრამდე მათთან მოთამაშე ჰოკეისტის ავ-კარგი, მაგრამ რად გინდა, ამ მატჩში მას ვერაფერი მოუხერხეს. რიჩიმ მარტო ანგარიშის გახსნა როდი იკმარა — სამჯერ (!) თავის პარტნიორებსაც გაატანინა. აქედან ორი შაიბა ახალგაზრდა გერმანელმა მარკო შტურმმა შეაგდო, რომელმაც გულწრფელად აღიარა, ამ სერიამდე ძალიან ვღელავდი და სწორედ მაიკი დამეხმარა ფსიქოლოგიური ბარიერის დაძლევაში.

თუმცა კოლორადოელებმა ისევ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ, რომ ორი საგარეო მოგების შემდეგ ვეღარ შეძლეს უპირატესობის გაზრდა. საწყის 12 წუთში მასპინძლები ოთხჯერ იყვნენ რიცხვმრავალნი, მაგრამ ვერც ერთხელ ივარგეს და მერეც, მიუხედავად იმისა, რომ 36-ჯერ დაარტყეს, სტუმართა მეკარე მაიკ ვერნონი დიდად ვერ შეაწუხეს.



REUTERS ბოსტონიდან

ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფო თავად, მცველთა დაუხმარებლადაც გაუმკლავდა კაროლინელ გერი რობერტსს

სანამ პიტსბურგი უიაგროდ გმირულად ებრძვის ნიუ ჯერსის, კლუბის მომავალს რეალური საფრთხე ემუქრება. როგორც გაირკვა, ლიგა ერთობ აღუშფოთებია იმას, რომ „პინგვინთა“ პატრონები არაფერს აკეთებენ გაკოტრების პირას მისული გუნდის გადასარჩენად. თუ უახლოეს მომავალში არაფერი შეიცვლება, ნჰლ, ალბათ, სასამართლოს მიმართავს „პინგვინთა“ ორგანიზაციის გაუქმების თაობაზე.

ლიგის ერთ-ერთი მესვეურის, უილიამ დეილის თქმით, პიტსბურგელებს გულზე ხელები დაუკრეფიათ, ამ საკითხს კი ივლისამდე უცილობლად უნდა მოეფინოს ნათელი. ამ პატივცემულ პიროვნებას კლუბისთვის საბოლოო ვადა, ანუ „დედლაინი“ არ დაუთქვამს, მაგრამ მის მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი. ორგანიზაციის გაუქმების შემთხვევაში „პინგვინებს“ სხვა ქალაქში გადაბარგება მოუწევთ, ჯერჯერობით კი გუნდის შეძენით მხოლოდ მისი ყოფილი სუპერვარსკვლავი მარიო ლემიეა დაინტერესებული. თუმცა ჯერ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

* * *

ფილადელფიისა და ტორონტოს თავგამოდებული ბრძოლა იქნებ უფრო გამწვავდეს. ამის საბაბი მესამე მატჩში მომხდარი ინციდენტი გახლავთ. შუა თამაშში „მფრინავი“ სენდი მაკარტი და ტაი დომი წაიჩხუბნენ და, როგორც ჩანს, საკმაოდ სერიოზულადაც. მატჩის შემდეგ მაკარტიმ (მამით ზანგია) განაცხადა, რომ დომის გამოხდომა რასისტული ხასიათის იყო. დომიმაც არ დააყოვნა პასუხი, ჯერ შემაფურთხა და მერე თავისი უხამსობის გასამართლებელი ტყუილი მოიგონა, ნახონ ჩანაწერი და მერე განსაჯონო.

ISHOCKEY VM '99

# კანადას პირველობა ახსოვს და უნდა

ხვალ, 1 მაისს ნორვეგიის ქალაქებში ჰამარსა და ლილეჰამერში დაიწყება მსოფლიოს ჩემპიონატი, რომლის მთავარი ფავორიტიც, როგორც ჩანს, კანადის ნაკრები იქნება. ჰოკეის დამაარსებლებს ჩემპიონობის დაბრუნება სურთ (შეგახსენებთ, რომ 1997 წლის ტრიუმფის შემდეგ შარშან „ნეკერჩხლის ფოთლები“ მე-6 ადგილს დასჯერდნენ), ამიტომაც იყო, რომ რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შეუდგნენ ტურნირისთვის მზადებას. გუნდის გენერალურ მენეჯერად დანიშნულმა ბრაიან მიურეიმ ამ 18 ჰოკეისტს უხმო.

*მეკარეები:* შონ ბურკი (ფლორიდა) და ფრედი ბრეტუეიტი (კალგარი); *მცველები:* რობ ბლეიკი, შონ ოდონელი, დუგ ბოჯერი (სამივე ლოს ანჯელესი), ბრაიან მაკეიბი (ვანკუვერი), სტეფან კინტალი (მონრეალი) და დერეკ მორისი; *თავდამსხმელები:* ენდრიუ კესელსი, კორი სტილმანი (სამივე კალგარი), ადამ გრეივსი, პეტრ ნედვედი (ორივე რეინჯერსი), რობ ნიდერმაიერი, რეი უიტნი (ორივე ფლორიდა), სკოტ უოკერი (ნეშვილი), კლოდ ლაპოინტი (აილენდერსი) და ერიკ დაზე (ჩიკაგო).

ამ შემადგენლობიდან გამოსარჩევია ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ბლეიკი და გრეივს — ნედვედის „რეინჯერული“ წყვილი. აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ჩეხმა, კანადის მოქალაქეობა მიღებულმა ნედვედმა სამშობლოს ღირსების დაცვას კანადის ნაკრების გაძლიერება ამჯობინა.

„ნეკერჩხლის ფოთლების“ ხელმძღვანელობას არც უეინ გრეცკი დავიწყნია. „დიადმა“, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში კანადელებმაი შვედებთან საკონტროლო მატჩების გამართა ირჩიეს. გუნდის ამჟამინდელმა მწვრთნელმა მაიკ ჯონსტონმა კი გადაწყვიტა სამი ვაკანსიის დატოვება იმ ვარსკვლავებისთვის, რომლებიც პლეი ოფის პირველი რაუნდის შემდეგ გათავისუფლდებიან.

კანადელთაგან განსხვავებით, ევროპული ნაკრებები ნჰლ-დან ესოდენ სოლიდური დახმარების იმედად ვერ იქნებიან, თუმცა ჩეხებმა და ფინელებმა ოთხ-ოთხი ლეგიონერი მაინც მიიწვიეს: მცველები პაველ კუბინა (ტამპა), იაროსლავ შპაჩეკი, ფორვარდები რადეკ დვორჟაკი (ორივე-ფლორიდა) და მარტინ რუჩინსკი (მონრეალი) ოლიმპიურ ჩემპიონებს გააძლიერებენ, ხოლო ფინელებს მცველი კიმო ტიმონენი, ფორვარდები ვილე პელტონენი (ორივე ნეშვილი) ოლე იოკინენი (ლოს ანჯელესი) და თვით საკუ კოივუ (მონრეალი) — ფინეთის ნომერ მეორე ჰოკეისტი (პირველი, ცხადია, ტეემუ სელიანეა) შეუერთდებიან. რუსთა ექვსივე სავარაუდო კანდიდატმა კი, მათ შორის ფლორიდელმა ვიქტორ კოზლოვმა და ჩიკაგოელმა ალექსეი ჟამნოვმა, იუარა ჩემპიონატში მონაწილეობა. ნაკრების თავკაცებმა ორი ადგილი მაინც შემოინახეს — იქნებ პლეი ოფიდან გავარდნილთაგან რომელიმემ ისურვოს ჩამოსვლაო.

სამველ ლარიბიანი



REUTERS კუალა ლუმპურიდან

# იგრძენით განსხვავება

სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ცხენები [illegible] ისევე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ადამიანებისა... აგერ, ამ კუალალუმპურელ რაშებს, პატარა ბიჭუკელა ნაბალახევს საჯინიბოსაკენ რომ მიუძღვება, ღორის ჭირი სჭირთ (ამ მავნე სენმა თურმე მალაიზიაში უკვე ასამდე ადამიანი შეიწირა); აგერ, ეს ჭაკი კი სხვა ბედისა და მოდგმისაა: მზრუნველი მხედარი მას კენტუკის (აშშ) 125-ე დერბისათვის ალამაზებს...



REUTERS ლუისვილიდან

# აქა ბერიცა გაყმდების



მეჩოგნე ბერიკაცები, შვედი ბიორნ ბორგი (ქვედა ფოტოზე მარცხნივ), ფრანგი იანიკ ნოა (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) და ძმანი მათნი პრაღის საღლაბუცო ტურნირზე შეყრილან და ისე რა თამაშის გარდა გვარიანადაც მასხარაობენ.



REUTERS პრაღიდან

# ბელასია თუ თელასი?



REUTERS ბრემენიდან

ძაბვა ისეთი რამეა, რუსთაველზე რომ ეცემა და უნტერ დენ ლინდენზეც... აი, გუშინწინ გერმანელ დ[ა] სქოთ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩისას ეს კეთილი ფენომენი ბრემენის „ვეზერშტადიონზეც" დაეცა და შეხვედრა კაი 10 წუთით შეაყოვნა. წარმოდგენილი ფოტოც დროის ამ უხერხული მონაკვეთის ერთ რამ წამს ასახავს.

# ვისთვის შარი, ვისთვის ხეირი

ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროს ამ ბოლო დროს ისეთი გრიგალები შემოეჩვია, რომ მონაპირე მაცხოვრებლები 650-მილიონიან ზარალში გადავარდნენ... მაგრამ, ამ ჭკუამხიარულ ადამიანსა და მისნაირად ამჩატებულებს ეგ ამბავი პირუკუ, მაგრადაც გაჰხარებიათ. ძლიერი გრიგალები მაღალი ტალღების საწინდარია, მაღალ ტალღებთან ჭიდილს კი მათთვის ვერაფერს შეედრება.



REUTERS სიდნეიდან

# სიკვდილი მოსკოვში

მოსკოვში, საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს რუსეთის სპორტის ეროვნული ფონდის ვიცე-პრეზიდენტი ბორის ფიოდოროვი. ექიმთა განცხადებით, უკეთეს სამყაროში იგი გულის მძაფრი შეტევის გამო უნდა გადასულიყო. 40 წლის ფიოდოროვი, ფონდის პრეზიდენტ ვლადიმირ ვასინს თუ ვენდობით, „ორგანიზაციის ნამდვილი ძრავა იყო და მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისია".

თავის დროზე აწ განსვენებული თავადვე პრეზიდენტობდა რუსული სპორტის საკეთილდღეოდ დაარსებულ ამ ფონდს. მაგრამ ამ სამიოდე წლის წინ მას კოკაინის გვარიანი რაოდენობა უპოვეს და ჯერ სულ გააძევეს, მოგვიანებით კი მხოლოდ ვიცეს თანამდებობაზე აღადგინეს. ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ კი მას ვიღაც უცნობი ტიპები დაესხნენ და ცივი იარაღით 12 მეტნაკლებად სერიოზული ჭრილობა მიაყენეს.

მოკლედ, მოსკოვში ერთი რთული და ხიფათიანი ცხოვრება დასრულდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, ძამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29